პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გაიხსნა ინგლისის ტრედიუნიონთა ყრილობა.
- დაიღუპა საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი ბოკანოვსკი.
- აღმოაჩინეს დაღუპულ აეროპლან „ლატამი"-ს ნაწილები.
- ერთა ლიგა და ნანკინის მთავრობა.
- საბჭ. კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს 10 წლის თავი.
- 1926 წლის სესხის მოგებათა გათამაშება.
- „კრასინი"-ი მივიდა კინგსბეიში.

სამშაბათი, 4 სექტემბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 205 (2248)

კომუნისტური ინტერნაციონალის მანიფესტი

მსოფლიოს ყველა მუშებს, ყველა მშრომელთ და გლეხებს, კოლონიების ჩაგრულ ხალხებს, კაპიტალისტური არმიების ჯარისკაცებს და მეზღვაურებს

ამხანაგებო! ძმებო!

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესი—მსოფლიოს ყოველი კუთხის რევოლუციონური მუშების, ყველა ხალხის, ყველა ერის და რასის წარმომადგენელი, იმაღლებს თავის ხმას მოსკოვიდან, ახალი ქვეყნის მშენებელი წითელი დედა-ქალაქიდან და მოგიწოდებთ თქვენ—ხალხების მილიონიან მასებს, მოამზადოთ ყველა თქვენი ძალები კაპიტალის გათავხედებული ძალების ასალაგმავად.

მსოფლიოს მპყრობელი კაპიტალი უწყალოდ ჰყლეჯს მუშა-ხელს, აცლის მას სასიცოცხლო ძალას, დაუნდობლად სცვეთავს პროლეტარის ორგანიზმს და ხდის მას კაპიტალისტური ტექნიკის უბრალო დანართად, მეცნიერების განსაცვიფრებელ გამოგონებებს უმორჩილებს ოქროს კერპს და ამისათვის იყენებს ახალ საუცხოო მანქანებს და აპარატებს, უფრო და უფრო აფართოებს კონვეიერის სისტემას, მასებს მილიონობით ჰყრის ქუჩაში და პურის მაგივრად აძლევს მათ ქვას,—ეს მსოფლიოს მპყრობელი კაპიტალი ელაშქრება მუშათა კლასის უფლებათა და [illegible]ების წინააღმდეგ, უფრო და უფრო ამცირებს მის საარსებო დონეს, აღმართავს მის წინააღმდეგ თეთრი ტერორის სისხლიან მახვილს, რასაც თვალთმაქცურად ჰფარავს ყალბი და გახრწნილი ფრაზით მთელი მსოფლიოს მშვიდობიანობის შესახებ და ამზადებს გამანადგურებელ ფუგასებს ახალი მსოფლიო ომისათვის.

იმპერიალიზმი კვლავ დღის წესრიგში სვამს ხიშტების გამოყენების საკითხს. დღითი-დღე მწვავდება კონკურენცია უდიდეს სახელმწიფოების ფინანსიურ-კაპიტალისტურ წრეებს შორის, უფრო და უფრო ძლიერი ხდება მათი შეტევა კოლონიების წინააღმდეგ და უფრო და უფრო მაგრად სურთ მოუჭირონ სალტე პროლეტარული რესპუბლიკების კავშირის უზარმაზარ სხეულს.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის ზღვის კარებთან სდგას თავისუფლების ქანდაკება, უფრო და უფრო თამამად ადებს ხელს ამერიკის ახალ ქვეყნებს, მათ შორის თავისი უმთავრესი მეტოქის—ინგლისის ძველ სამფლობელოებს.

ამერიკის კაპიტალი, ზის რა ოქროთი მაგრად გატენილ სკივრზე, იმ ოქროთი, რომელიც მიღებულ იქნა ევროპის ველებზე დაღვრილი სისხლით, აფუთქებს მექსიკის რესპუბლიკას, გზავნის თავის დამსჯელ ექსპედიციებს ნიკარაგუაში, თავის სამხედრო გემებს ჩინეთის ნავთსადგურებში; ევროპის და სამხრეთ-ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები მას დაბმული ჰყავს კრედიტების ოქროს მსხვილი ჯაჭვით და თამამად შესძახებს ხოლმე მათ: „კრინტი!", როცა მათ არ სურთ შეასრულონ ამერიკის კაპიტალის ნება-სურვილი.

წყნარი ოკეანის ნაპირებზე, ჩინეთის უსაზღვრო ტერიტორიაზე ის ეხლება იაპონიის მტაცებელ იმპერიალიზმს, თავხედურ, გაიძვერულ და მზაკვრულ იმპერიალიზმს, რომელმაც თავისი ჯარებით უკვე დაიკავა ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და გამანადგურებელ ომს აწარმოებს ჩინეთის ხალხის ყველა ძალის წინააღმდეგ, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს მის ბარბაროსულ, სისხლიან რეჟიმს. ჩინეთის მრავალი მილიონი მუშა, გლეხი და ხელოსანი გმინავს იაპონიის იმპერიალიზმის მძიმე უღელ-ქვეშ, რომელიც ყლეტავს ჩინეთის ხალხს, საშინელ ბრძოლას ამზადებს თავის ყოველ ამერიკელ მეტოქესთან და ამავე დროს თავის ერთგვარ შესვენებას ჰყიდულობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციული გამოსვლების ფასით.

ეს გამოსვლები არის ერთ-ერთი გამოხატულება იმპერიალისტური სახელმწიფოების მტრული განწყობილებისა პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოს მიმართ, რომელიც სცხოვრობს და ყოველმხრივ ვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ მტრების ბანაკში გაისმის გაბოროტებული ღმუილი და იარაღის ჟღარუნი, რომლითაც სურთ დააშინონ და დაახრჩონ მუშათა სოციალისტური დიქტატურა.

მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა კაპიტალის სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად ღრმა და ძლიერი შუღლისა მათ შორის, ისინი, დიდი ბრიტანეთის მეთაურობით, მაინც ამზადებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ამ ომს ამზადებენ სისტემატიურად, ამზადებენ მთელი თავისი ძალ-ღონით და საშუალებებით, ამზადებენ ყოველ ხაზით.

ფინანსიურ-ეკონომიური ბლოკადის ცდა მთელი რიგი სახელმწიფოების მხრივ—დაწყებული ძლიერი ამერიკით და გათავებული უბადრუკი ავსტრიით, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, დიპლომატიური და სამხედრო კავშირების შეკვრა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, განუწყვეტელი პროვოკაციული მუქარები პილსუდსკის მხრივ,—ამ თავხედი „სოლდაფონის" მხრივ, რომელიც ეგრედწოდებულ „ხალხის წარმომადგენლებს" ცინიკურად უწოდებს პროსტიტუტკებს, რომელიც მით უფრო მეტად აბაკუნებს თავის უხეშ ჩექმებს, რაც უფრო უსირცხვილოდ და დამამცირებლად ლოკავს ინგლისის და საფრანგეთის გენერლების და მინისტრების ჩექმებს,—ანტისაბჭოთა სამხედრო შტაბების აშკარა მუშაობა ბალტიის მხარეში და რუმინეთში, დაბოლოს, თავხედური პროპაგანდა იაპონიის იმპერიალიზმის მხრივ,—ყოველივე ამან სერიოზულად უნდა დააფიქროს ყოველი სინდისიერი მუშა, ყოველი პროლეტარი, ყოველი ჩაგრული მსოფლიოში, რომლებიც საბჭოთა კავშირს უყურებენ როგორც ნამდვილ სამშობლოს, რომელიც მოპოვებულ იქნა მუშათა კლასის შვილთა სისხლით, მძაფრი ბრძოლით მემამულეებისა და კაპიტალისტების, მოძალადეთა და ხალხის დაუძინებელ მტერთა წინააღმდეგ.

ეს „კულტურული" მტაცებლები, რომლებიც დანაშაულებრივ ბრძოლას აწარმოებენ ჩინეთში, ყუმბარებს უშენენ ჩინეთის ქალაქებს, იტაცებენ ჩინეთის მიწებს, იტაცებენ ჩინეთის ხალხის არსებობის უკანასკნელ წყაროებს, სიცოცხლეს უსპობენ მის საუკეთესო შვილებს, ამზადებენ თავდასხმას ერთი-მეორეზე, რაზმავენ თავის ძალებს საბჭოთა კავშირზე შეტევისათვის, თავით ფეხამდე იარაღდებიან მიწაზე და წყალში, იყენებენ მეცნიერებას უაღრესად გამანადგურებელ, უაღრესად ბარბაროსულ, უაღრესად ულმობელ ომის საქმისათვის, იმ ომის, რომელმაც უნდა ჩაახრჩოს კაცობრიობა მოწამლულ გაზებში და აწამოს იგი ხელოვნურად შეყრილ სასიკვდილო ავადმყოფობებით, აწყობს საშუალო საუკუნეთა „მაიმუნების პროცესებს" დარვინის თეორიის წინააღმდეგ, მე-19 საუკუნის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თეორიის წინააღმდეგ, სცემენ სასტიკ კანონებს „მავნე შეხედულებათა" აღმოსაფხვრელად, ელექტრონის სკამებზე სვამენ საკოსა და ვანცეტის,—როდესაც უცებ შეჩერდა მილიონთა მაჯისცემა და უიმედოდ გაისმა შურისძიების და კაპიტალის წყევლის ამოძახილი,—ეს „კულტურული" მტაცებლები, გენერალური შტაბების ყაჩაღები, საიდუმლო დიპლომატიის ოინბაზები, ბანკების და ტრესტების მეფეები, თავის სწავლულ და უსწავლელ სამოქალაქო და სასულიერო მსახურთა კრებულთან ერთად, გაჰკივიან ბოლშევიკების ბარბაროსობის და თავის „მშვიდობიანობისადმი მიყვარულობის" შესახებ.

ისტორიას არ ახსოვს იმაზე უფრო უსირცხვილო სიყალბე და თვალთმაქცობა, იმაზე უფრო ცრუ და საზიზღარი იდეოლოგია, როგორიცაა იმპერიალისტების „პაციფისტური იდეოლოგია", იმ იმპერიალიზმის, რომლის საგარეო პოლიტიკის „პროფესიას" წარმოადგენს ომის ყველაზე უსინდისო, ყველაზე ბარბაროსული, ყველაზე კონტრ-რევოლუციონური, ყველაზე გამანადგურებელი სახე.

რაც უფრო მეტად მძვინვარებს შეიარაღება და კონკურენცია, მით უფრო მეტი ენერგიით ცილობენ ერთმანეთს ოფიციალური და არაოფიციალური აგენტები „მშვიდობიანი" სიტყვიერების წარმოებაში „მშვიდობიან" ხელშეკრულებების, კონფერენციების, ყრილობების, პროექტების და წინადადებების შესახებ.

ერთა ლიგა—ეს პირმშო შვილი უკანასკნელი ათეული წლების ყველაზედ უფრო მძარცველი ვერსალის ხელშეკრულებისა, ხელს აფარებს თავის წევრთა ნამდვილ სამხედრო მუშაობას განიარაღების პროექტების გამომუშავებით. საბჭოთა კავშირი აშკარავებს მათ ოინბაზობას: მშვიდობიანობის დიდი მოტრფიალენი უარს ამბობენ განიარაღებაზე. დიპლომატიური კომედია იქცევა უმსგავსო ფარსად. მშვიდობიანობის ნიღაბი ჩამოიხსნა და ყველა ნათლად ხედავს იმპერიალიზმის ნამდვილ მხეცურ სახეს.

ერთა ლიგა, უპირველეს ყოვლისა, კონტრ-რევოლუციონური და მასთან ერთად ანტიამერიკული ორგანიზაციაა, ამიტომ დოლარის რესპუბლიკამ თავის მოხელის მეშვეობით დღიურ წესრიგში დააყენა „პაქტი"-ს საკითხი. ყველაზე უკეთესი სამხედრო ტექნიკის მქონე ამერიკის კაპიტალის შეგმონილმა ხომ უნდა მიიღოს ბოლოს და ბოლოს საერთაშორისო იურიდიული დასტური. ომი „აკრძალულია", იაპონია „როდი ომობს" ჩინეთში, იგი მხოლოდ „იცავს თავის ინტერესებს". შეერთებული შტატები როდი ომობენ ნიკარაგუაში, ისინი მხოლოდ „წესრიგს იცავენ", კაპიტალისტური ქვეყნები განა ომისთვის იხმენ ფარხმალს. მათ სურთ დაიცვან „ცივილიზაცია".

თავის იმპერიალისტურ მისწრაფებათა და სამხედრო სამზადისის გახვევით პაციფისტურ პაქტებისა და პაციფისტური ლაყბობის დამაჩლუნგებელ საძმლავის ბურუსში, იმპერიალისტური პოლიტიკის ოინბაზები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ თავის დროზე ალაგმონ მუშათა კლასი, ხერხემალი გადაუტეხონ რევოლუციონურ მოძრაობას კოლონიებში და შეასუსტონ საბჭოთა რესპუბლიკები. ტერორი, კორუპცია, დაუზოგავი ექსპლოატაცია მუშებისა, მათი ზედაფენების მოსყიდვა, მთლიანი ფრონტი ფართო მასების წინააღმდეგ, როგორც კი მოსალოდნელი ხდება მათი სახიფათო გაძლიერება, მუშათა რიგების გათიშვისა და დაუძლურების პოლიტიკა, სულ უფრო და უფრო ძლიერი პოლიციური იერიშები კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ—აი რა ახასიათებს დღევანდელ ეპოქას.

ინგლისის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის და იაპონიის სასტიკ რეპრესიების მძვინვარე ტალღას ბანს ეუბნება იტალიისა და ბალკანეთის ფაშისტების გააფთრებული ტერორი, ჩინეთის ხალხის დაუზოგავი ხოცვა-ჟლეტა. შეუჩერებლად მუშაობს ბურჟუაზიული „ცივილიზაციის" სისხლიანი ხმალი, ულმობელი თვალებით შეჰყურებენ თავის მსხვერპლებს იმპერიალისტური ჯალათები, თუმცა კი ჰგრძნობენ, რომ დახოცილთა სისხლით მორწყულ ნიადაგზე აღმოცენდება შურის მაძიებელთა ათასეულები.

იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ახდის ტყვია-წამლის და სისხლის სუნი, იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური წინააღმდეგობანი უკიდურესობამდე არიან მისული, როცა მწვავდება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა და ფეხზე დგება კოლონიალურ მონების მილიონიანი მასები, როცა განმანთავისუფლებელ მოძრაობათა დედა-ბოძის—საბჭოთა კავშირის—დასაცავად მიდის ჩაგრულთა სულ ახალი და ახალი რიგები,—კლასა აშკარა ხდება სოციალ-დემოკრატიის, მეორე ინტერნაციონალის და მისი ამსტერდამის განყოფილების გამყიდველი როლი.

პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით დღეს გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე უწინ, საჭიროა სრული [illegible] პროლეტარიატის კლასობრივი განკერძოებისა და მისი ინტერესების შეურიგებლობისა კაპიტალის და კაპიტალისტურ სახელმწიფოს ინტერესებთან. კაპიტალის თავხედი იერიშებისა, ულმობელ ექსპლოატაციისა, უმუშევრობის, მუშათა ორგანიზაციების განადგურების პოლიტიკის და ფაშისტური ტერორის საპასუხოდ საჭიროა პროლეტარიატის მედგარი კონტრ-იერიშები.

სწორედ ამ დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქურუმები, რომელნიც უსირცხვილოთ ღალატობენ კლასობრივი ბრძოლის ტრადიციებს და ღორის ჩლიქებით სთელავენ პროლეტარების ელემენტარულ სიამაყეს, ქადაგებენ კლასობრივ თანამშრომლობას, „სამრეწველო ზავს" და „სამეურნეო დემოკრატიას" და ყველა ამის განხორციელებას სცდილობენ ტრესტებში გაერთიანებული კაპიტალის ლურსმნებიანი ჩექმის ქვეშ.

„სამრეწველო ზავი" ეკონომიკაში, „კოალიცია ბურჟუაზიასთან" პოლიტიკაში—აი ასეთია ღალატით შეზავებული სიბრძნე სოციალ-დემოკრატებისა.

პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით განსაკუთრებით ეხლა არის საჭირო მხილება ბურჟუაზიის ყოველი სამხედრო ნაბიჯისა, მითითება ომის საფრთხეზე და, საერთოდ, გაფრთხილება მშრომელებისა. სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკოსები სწორედ ამ დროს, ამ მომენტში აგებენ ჯავშნოსნებს, ხდებიან საზიზღარი „სამხედრო კანონების" ინიციატორებად, მუცლით დახოხავენ მილიტარიზმის წინაშე, აქტიურად „ამუშავებენ" კაპიტალისტურ არმიებს, ქებათა-ქებას ასხამენ იმპერიალისტურ ერთა ლიგას, ცილს სწამებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, სიამოვნებას განიცდიან საკოს და ვანცეტის ჯალათებს თვალთმაქცური [illegible] კუჩენტის გამო და [illegible] პაციფისტურ [illegible]რბლებს ანთხევენ, ისინი ყოველი ღონით და საშუალებებით ამართლებენ იმპერიალიზმის ნამდვილ მზადებას ომისათვის და ამავე დროს საბჭოთა კავშირს ბრალს სდებენ „იმპერიალიზმში", ისინი, 1914 წლის აგვისტოს ეს გმირები, ეხლავე მუხლის თავებზე დგებიან და ზარავე ემზადებიან, რომ იმპერიალისტურ [illegible] შტაბებთან ერთად ხელი-ხელ [illegible] იმოქმედონ. ეს ვაჟბატონები [illegible] ხელ-გაშვერილნი დგანან, რომ მიიღონ მოწყალება იმ დღეებისათვის, როცა ისინი [illegible] გამოწყობილნი, ბურჟუაზიის [illegible] იდგებიან პროლეტარულ რევოლუციის [illegible] ჯარისკაცების წინააღმდეგ.

პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით, ეხლა უფრო [illegible], ვიდრე როდესმე, საჭიროა ინდუსტრ[illegible] პროლეტარიატის ერთობა კოლონ[illegible] მშრომელ მასებთან. მაგრამ სოციალ-დემოკრატიული პარტიები ამ საკითხში დადგნენ [illegible] მხარეზე, იმპერიალისტების მხარეზე, [illegible] იმპერიალისტური სახელმწიფო[illegible] აგენტების მხარეზე. საფრანგეთის სოციალისტები მხარს უჭერდნენ თავის [illegible] მთავრობას მაშინ, როცა ეს მთავრობა [illegible] და ყუმბარებით მიწასთან ასწორებდა [illegible]ების სოფლებს და სირიის ქალაქებს. ინგლისის [illegible] მთავრობა აშკარად და ყველაზე წინ ახრჩობდა ინდოეთს, ხოლო ინდოეთში [illegible] შათა პარტიის წევრები ბურჟუაზიის [illegible] ციელებენ ბრიტანეთის [illegible] ლებებს. ყველა სოციალისტური პარტია [illegible] ნების საკითხში მხარს უჭერს თავის მთავრობას; ეს პარტიები მხოლოდ ათასში ერთ [illegible] გამონაკლის შემთხვევებში, როცა მასები [illegible] ლას ატანენ, იძულებულნი ხდებიან [illegible] ისიც მხოლოდ ზედაპირზე [illegible] მსუბუქი კრიტიკული შენიშვნა [illegible] რობებს მხდალი [illegible] ბით. სოციალისტების ბრიუსელის კონგრესი [illegible] იმ სოციალისტებისა, რომელნიც სრულებით არ უჭერდნენ მხარს გომინდანს მის რევოლუციონურ პერიოდში, აშკარა სოლიდარობას უცხადებენ გომინდანს ეხლა, როდესაც იგი გადაიქცა იმპერიალიზმის ქოფაკ ძაღლად, მუშათა მოძრაობის უსაზღვრო ჯალათად. ბრიუსელის კონგრესმა მიიღო საზიზღარი, მართლაც რომ სამარცხვინო გადაწყვეტილება კოლონიალურ საკითხში, მან სიტყვა-სიტყვით გადაიწერა [illegible] ერთა ლიგის დოკუმენტები.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატია გადაიქცა იმ მთავარ ძალად, რომელიც სთიშავს, აშორებს ერთმანეთს ინდუსტრიალური ქვეყნების მუშებს და კოლონიების მშრომელთა მასებს.

ბოლოს, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით, ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა თვით მუშათა კლასის ერთობა და მთლიანობა. ძლიერ, დარაზმულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, იმ ბრძოლაში, რომელიც უნდა გაეწიოს გოლიათ ტრესტებს, კაპიტალის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, რომელიც ფინანსიურ-კაპიტალისტურ ოლიგარხიას იცავს, საჭიროა მუშათა რიგების მაქსიმალური მთლიანობა. სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერები, ბურჟუაზიასთან, მის ტრესტებთან და სახელმწიფოსთან ერთობის მქადაგებელნი, სამრეწველო ზავის და ბანკებისა და ბირჟების მეთაურებთან კოალიციის მოციქულები აკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რომ კომუნისტები და, საზოგადოდ, რევოლუციონერი პროლეტარები განდევნონ ყველა მასიურ ორგანიზაციიდან. ისინი სთიშავენ პროფკავშირებს, აქუცმაცებენ სასპორტო ორგანიზაციებს, ანგრევენ „თავისუფალ მოაზროვნე" მუშების რიგებს, რაც უფრო მტკიცედ იცავენ სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიასთან ერთობას, მით უფრო გაშმაგებით იბრძვიან ისინი პროლეტარიატის ერთობისა და მთლიანობის წინააღმდეგ.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მუშას და ყველა მშრომელს უდიდესად შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები, შექმნან მუშათა კლასის მთლიანობა, მთლიანობა მუშათა კლასისა მშრომელ გლეხობასთან, მთლიანობა პროლეტარიატისა კოლონიების დაჩაგრულ ხალხებთან.

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესმა მიიღო საერთაშორისო პროგრამა, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა ყველა მისი სექციისათვის. მას შემდეგ, რაც მუშათა რევოლუციონური მოძრაობა არსებობს, მუშათა კლასმა პირველად მიიღო ისეთი დოკუმენტი, რომლის დებულებანიც წარმოადგენენ კანონს დარაზმული პროლეტარიატისათვის მსოფლიოს ყველა ნაწილში, დედამიწის ყველა რასისა და ერის შორის. ეს არ არის დოკუმენტი მშვიდობიანი ქვეშევრდომობისა ბურჟუაზიის წინაშე, მასთან მშვიდობიანობის დამყარების სურვილით გამოწვეული ქვეშევრდომობის დოკუმენტი. ეს არ არის ფარისევლური და საზიზღარი დეკლარაცია ერთობისა ბურჟუაზიასთან, იმ ერთობისა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ კლასობრივი მტრის ბანაკში გადასვლას, დეზერტირობას, ღალატს და გამცემლობას.

ეს არის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი მრავალი მილიონი ჩაგრულის ბრძოლაში მჩაგვრელთა წინააღმდეგ, თეთრი, ყვითელი და შავი რასის მშრომელთა ბრძოლაში ტროპიკებზე, პლანეტის შორეულ ადგილებზე, ქარხნებში, პლანტაციებში, მაღაროებში, რკინიგზებზე, ტყეებში, უდაბნო ველებში და ყველგან სადაც კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს. ეს არის მუშათა კლასის მთლიანობის და ბურჟუაზიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის პროგრამა. ეს არის პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პროგრამა.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს მშრომელთ დაირაზმონ კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარული რევოლუციის, მუშათა კლასის დიქტატურის დროშის ქვეშ. კაპიტალისტურმა მსოფლიომ მუშათა კლასის უდიდესი ყვლეფის, საშინელი რეპრესიების საშუალებით ძლივს-ძლივობით დააძრინა თავი პირველი იმპერიალისტური ომის გამანადგურებელ შედეგებს. მაგრამ იგი კვლავ იხრჩობა თავის წინააღმდეგობათა რკალში. ისტორიული ბედისწერა მძაფრი სტიქიური ძალით კვლავ მაქანებს მას უდიდესი კატასტროფების ქარტეხილისაკენ, რომლის გუგუნი უკვე გაისმის მთელ მსოფლიოში. მათ ეშინიათ საკუთარი ისტორიული ბედის-წერისა, რომლის იარაღსაც ისინი წარმოადგენენ, ვერ ბედავენ აუშვან ომის ბოროტი სულები და ამავე დროს ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რომ ამ ბოროტმა სულებმა თავი აიწყვიტონ და გააჩაღონ თავიანთი სისხლიანი ცეკვა. ისინი ყველას ატყუებენ პაციფიზმზე ლაყბობით და ამავე დროს ამზადებენ გამანადგურებელ იარაღს და კაცობრიობას უახლოვებენ საშინელ განსაცდელს.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს მშრომელთ მზად იყვნენ ბრძოლისათვის ამ განსაცდელის თავიდან ასაცილებლად.

ეხლავე დაუღალავად დღითი-დღე უნდა გავამრავლოთ მებრძოლთა რიგები, დავრაზმოთ მასები, არმიაში და ფლოტში ჯარისკაცებთან და მეზღვაურებთან გავგზავნოთ მუშათა კლასის ერთგული შვილები და მოვამზადოთ ის დღე და საათი, როცა პროლეტარები—საპასუხოდ იმპერიალისტების საძაგელი მოწოდებისა, რომ პროლეტარებმა ულეტონ ერთმანეთი—შეატრიალებენ ზარბაზნების და თოფის ლულებს იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც საუკეთესო დასამიზნებელნი [illegible] იმპერიალისტური ომის დროს.

იმპერიალიზმი ჰგავს ბრმა ლორს, რომელიც თავისი ამღვრეული თვალებით ხედავს მხოლოდ ისტორიულ წარსულს, არ ძალუძს ახადოს მომავლის ფარდა და თავს ინუგეშებს ილიუზიით მშვიდობიანობის შესახებ ევროპაში, რომელიც ამერიკის ვეშაპისაგან პერიოდულად იღებს გამაცოცხლებელ ოქროს შპრიცებს. პროლეტარის ფხიზელი თვალი, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა კაპიტალისტური რაციონალიზაციის მთელი სიმძიმე და „სამრეწველო ზავის" ცინიზმი, დაცინვა, კარგად ხედავს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა უდრესად გამწვავებას და კლასობრივი ბრძოლის ზრდას. გაფიცვა ინგლისში, ვენის აჯანყება, გაფიცვები გერმანიაში, არჩევნების შედეგები საფრანგეთსა და გერმანიაში, გერმანელი მუშების რეაქცია და სოციალ-დემოკრატიის მორიგი გამცემლობა, ჩინეთის მუშებისა და გლეხების შეუპოვარი წინააღმდეგობა, რევოლუციონური მოძრაობის ზრდა ინდოეთში, უკმაყოფილების ზრდა სამხრეთ-ამერიკაში, ზანგების თვითშეგნების ზრდა და ათასი სხვა სიმპტომი განა არ მოწმობს, რომ ისტორიის თხუნელა კარგად სთხრის მიწას.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მშრომელს და, პირველ რიგში, ინდუსტრიალურ მუშებს—იბრძოლონ მოპოვებული პოზიციების თვითეული გოჯისათვის, იბრძოლონ კაპიტალის იერიშების წინააღმდეგ, იბრძოლონ ულმობელი ექსპლოატაციის, პროლეტარიატის დამონების, იმპერიალისტური პოლიტიკისა და ომის წინააღმდეგ. კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა მშრომელს და ჩაგრულს—დაიცვას ჩინეთის რევოლუცია, დაიცვას იმ გმირთა დაწამებულთა თავები, რომელთაც ულმობლად სჭრის ჯალათების გაუმაძღარი ხმალი.

კომუნისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს ყველა პატიოსან პროლეტარებს რკინისებურ კედლად შემოკრბნენ საბჭოთა კავშირის გარშემო, რომელსაც ემუქრება იმპერიალიზმის აღმართული ხმალი. კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებთ სიფხიზლისაკენ, პირდაპირ ბრძოლისაკენ. პაციფისტური ლაყბობის და სიცრუის წინააღმდეგ. კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებთ—გასწყვიტოთ ყოველივე კავშირი ბურჟუაზიასთან, თავგანწირულად გამოდგეთ მუშათა კლასის მთლიანობისა, პროლეტარიატის მტრებთან დაუზოგავი ბრძოლისაკენ.

[illegible] ბურჟუაზიასთან სოციალ-დემოკრატიული [illegible]ების წინააღმდეგ, პროლეტარიატის [illegible] მთლიანობისაკენ, სოციალ-იმპერიალიზმის წინააღმდეგ კოლონიალურ ძმე[illegible] მედგარი დახმარებისაკენ.

[illegible] პაციფისტური სიცრუის წინააღმდეგ, იმპერიალისტურ ომთან თავდადებული ბრძოლისაკენ.

[illegible]მისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, [illegible] გამარჯვებულ რევოლუციისაკენ.

საბჭოთა პროლეტარულ დიქტატურას გაუმარჯოს!

[illegible] მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესი.

უცხოეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის ნოტის შესახებ

პოლონეთის „მუშაობა" ბალტიის ქვეყნებში

ჩან-სიუე-ლიანის და ჩან-კაი-შის შეთანხმება

საბჭოთა ნოტის კომენტარიები

პარიზი, 2 სექტ. რადგან ლიტვინოვის ნოტის ტექსტი გვიან მოვიდა, გაზეთების უმრავლესობამ იგი უკომენტარიებოდ გამოაქვეყნა.

„იუმანიტე" აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ხელშეკრულების დადება უნდოდათ საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე, ესე-იგი მის წინააღმდეგ; გაზეთი აცხადებს, რომ ჩიჩერინის გამოსვლამ, რომელსაც პროლეტარიატმა ყველგან მხარი დაუჭირა თავისი დემონსტრაციებით, აიძულა სახელმწიფოები შეეცვალათ ტაქტიკა და მოეწვიათ საბჭოთა კავშირი.

„ფიგარომ" მოათავსა შენიშვნა ამ სათაურით „საბჭოების ირონიული მიმხრობა"; იგი სწერს:

„მშვიდობიანობის მეგობარნო, როგორც თავის თავს უწოდებენ მოსკოველები, აცხადებენ, რომ მზად არიან შეუერთდნენ ხელშეკრულებას. მაგრამ ისინი ამას სჩადიან ცინიზმით, თითქმის ზიზღით და ისეთი პოზა უჭირავთ, თითქოს მთელ მსოფლიოს პაციფიზმის ახალ გაკვეთილს აძლევდნენ. არა გვგონია, რომ ვაშინგტონი და ხელშეკრულების სხვა მონაწილენი ამის ცდაში ყოფილიყვნენ, რომ მათ საბუთი ჰქონდეთ იამაყონ მიღწეული შედეგებით". (ადს).

ბერლინი, 2 სექტემბერი. გარეშე საქმეთა მინისტრთან დაახლოვებული გაზეთი „დოიჩე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენცია" კომენტარიებს უძღვნის ლიტვინოვის ნოტას, და სწერს:

„კელოგის ხელშეკრულების შედეგთა შორის დღევანდლამდე უეჭველად ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა საბჭოთა მთავრობის პასუხი. საბჭოთა მთავრობის ნოტა აღნიშნავს ნამდვილი განიარაღების დიდ მნიშვნელობას, რადგან იგი მშვიდობიანობის ყველაზე უფრო საიმედო გარანტიაა. ეს მთლიანად შეეფერება გერმანიის პოლიტიკის მიმართულებას. საბჭოთა ნოტის მითითება, რომ ახალ ხელშეკრულების დადებამდე უკვე დიდი ხნის წინათ დადებ. ომის უარმყოფელი ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და რამდენიმე სხვა სახელმწიფოს შორის,—ეხება აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხელშეკრულებასაც. საბჭოთა კავშირი რომ კელოგის ხელშეკრულებას მიმხრობოდა, ეს საჭირო იყო ევროპის თვალსაზრისით, რათა ხელშეკრულების სისრულე არ მოჰკლებოდა. საბჭოთა კავშირთან ჩვენი საკუთარი ურთიერთობის გამო, ჩვენ განსაკუთრებით მივესალმებით იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი შეუერთდა ხელშეკრულებას.

გერმანია მხურვალედ მიესალმება საბჭოთა კავშირის პაქტისადმი შეერთებას; მას საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება მიაჩნია პოლიტიკური გამჭრიახობის საბუთად და მომავალში ყველა ქვეყნის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სასიკეთო ნიშნად". (ადს).

შანხაი, 2 სექტემბერი. რეიტერის სააგენტომ მოკლე ცნობა დაბეჭდა იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა შეუერთდეს პარიზის ხელშეკრულებას. სააგენტომ არ გამოაქვეყნა ლიტვინოვის ნოტის შინაარსი (ადს).

პოლონეთი ბალტიის კავშირის შექმნას სცდილობს

ბერლინი, 2 სექტემბერი. „კოლნიშე ცაიტუნგის" რიგელი კორესპონდენტი იუწყება, პოლონეთის დიპლომატია ბალტიის სახელმწიფოებში ხელახლა აძლიერებს მუშაობას, რომლის მიზანია ბალტიის სახელმწიფოთა კავშირის შექმნა პოლონეთის ხელმძღვანელობით. მაგრამ ამჟამად პოლონეთის დიპლომატია ცდილობს დაჩრდილოს პოლონეთის ხელმძღვანელობის იდეა. ბალტიის მცირე კავშირში, მისი ახლანდელი გეგმით, შედიან ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, პოლონეთის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

კორესპონდენტის სიტყვით, „ვარშავული ფორმულა" მეტყველებს: „ჯერ კავშირი შეიქმნას, ხოლო შემდეგ თანდათან ინგლის-საფრანგეთის დახმარებით პოლონეთმა ხელმძღვანელობა ჩაიგდოს ხელში".

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება: ესტონეთი თანაგრძნობით ეკიდება ამ გეგმას, რომლის აშკარა მომხრეა ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი რაბანე. ლატვიაში, პირიქით, პოლონეთის გეგმებისადმი ნაკლებ თანაგრძნობას იჩენენ, მაგრამ პოლონეთის დიპლომატია იმედოვნებს, რომ მდგომარეობა შეიცვლება ლატვიის სეიმის ახალი არჩევნების შემდეგ. (ადს).

ერთა ლიგა და ნანკინის მთავრობა

ჟენევა, 2 სექტემბერი. ჩინეთის წარმომადგენელმა ერთა ლიგის საბჭოში ვან ცზიან-ჩიმ აცნობა ლიგის გენერალურ სამდივნოს, რომ ნანკინის მთავრობა თანახმაა გადაუხადოს ლიგას ის შესატანი, რომელიც მას ჩინეთისაგან ეკუთვნის და რომელიც ჩინეთს ხუთი წლის განმავლობაში არ გადაუხდია. ვან ცზიან-ჩიმ განაცხადა, რომ ნანკინის მთავრობა შესატანს მომავალშიაც თავის დროზე გადაიხდის.

ეს აქტი და ის გარემოება, რომ ჩინეთის წარმომადგენლის ადგილი ერთა ლიგაში ნანკინის მთავრობის დელეგატმა დაიჭირა, საბოლოოდ აყალიბებს ერთა ლიგის მიერ ნანკინის მთავრობის ცნობას. (ადს).

ინგლისის ტრედიუნიონთა ყრილობა

ლონდონი, 2 სექტემბერი. 3 სექტემბერს სვონსში (ქვემო უელსი) გაიხსნება ინგლისის ტრედიუნიონთა ყრილობა. ამის გამო სვონსის მუნიციპალიტეტმა ტრედიუნიონების კონგრესის გენსაბჭოს გაუმართა ტრადიციული ბანკეტი. ბანკეტის მონაწილეებმა წარმოსთქვეს სიტყვები. როცა წარმოითქვა მეფის ერთგულების სადღეგრძელო, გენსაბჭოს წევრები—ჰიქსი, პერსელი და კუკი—დანარჩენებთან ერთად არ წამოდგნენ ფეხზე და განაგრძობდნენ ჯდომას. ბანკეტის დამთავრების შემდეგ ხიქსმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა:

„გარწმუნებთ, ეს არ ნიშნავდა მისი უდიდებულესობის პირად უპატივცემლობას"-ო.

გენსაბჭოს თავმჯდომარემ ბენ-ტერნერმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხიქსის პერსელის და კუკის საქციელს „უხერხულ" საქციელს უწოდებს.

„მე დარწმუნებული ვარ,—განაცხადა ბენ-ტერნერმა,—რომ გენსაბჭო გაიმიჯნება ამგვარი დემონსტრაციისაგან". (ადს).

ტრედიუნიონების ყრილობის გარშემო

სვონსი, 3 სექტემბერი. მიტინგი, რომელიც ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურმა საბჭომ მოიწვია ყრილობის გახსნის წინ, ნამდვილ კომედიად გადაიქცა. თეატრი, სადაც მიტინგი გაიმართა, ნახევრად ცარიელი იყო. გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ ბენ ტერნერმა წარმოსთქვა „ღვთისნიერი" სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „ყოვლად ძლიერმა ღმერთმა მოგვანიჭა უსაზღვრო მსოფლიო და ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი გამოყენება". ხიქსი გაურბოდა სიტყვის ჩამოგდებას „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების" შესახებ. გენერალური საბჭოს მდივანი სიტრინი გადაკვრით იცავდა მოლაპარაკებას „მშვიდობიანობის შესახებ მრეწველობაში", თუმცა მიტინგამდე შეთანხმება მოხდა, რომ ამ საკითხს მიტინგზე ორატორები არ შეეხებოდნენ, ამავე დროს გამართულმა კომუნისტურმა მიტინგმა დიდის წარმატებით ჩაიარა. მიტინგზე გამოვიდა კომუნისტი დეპუტატი საკლატვალა და მემაღაროეთა ლიდერი ხორნერი. ორივემ ამხილეს „მრეწველობაში მშვიდობიანობის" შესახებ გამართული მოლაპარაკების ნამდვილი აზრი. აუდიტორიამ მათ ოვაცია გაუმართა. (ადს).

ერთა ლიგაში

ჟენევა, 2 სექტემბერი. ერთა ლიგის დახურულმა სხდომამ განიხილა განცხადება უნგრეთის მთავრობისა, რომელმაც მოითხოვა, რომ დღის წესრიგში ხელახლა დაისვას საკითხი უნგრეთ-რუმინეთის კონფლიქტის შესახებ. ეს კონფლიქტი გამოიწვია სემიგრადიის უნგრელ ოპტანტების მიწების კონფისკაციამ. სარწმუნო წყაროების თანახმად, ჩემბერლენი, შუბერტი და შალოია მხარს უჭერდნენ უნგრეთის თხოვნას. უნგრეთის თხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ გაილაშქრა პოლ ბონკურმა, რომელმაც ხაზი გაუსვა რუმინეთის სიმართლეს და აღნიშნა, რომ ერთა ლიგამ კონფლიქტი უკვე ამოსწურაო. საბჭოს გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ ჯერ არ გამოუქვეყნებიათ. როგორც ხმა დადის, საბჭომ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება, და საკითხი შეტანილი იქნება საბჭოს ახალი შემადგენლობის სესიის დღის წესრიგში. სესია შესდგება ერთა ლიგის საზოგადო კრების შემდეგ (ადს).

„მხედველობაში" მიიღეს

ჟენევა, 2 სექტემბერი. ერთა ლიგის საბჭომ მოისმინა რუმინეთის წარმომადგენლის მოხსენება იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც მინდობილი აქვს იარაღის (კერძო) წარმოებაზე კონტროლის გაწევის საკითხი. საბჭო დაკმაყოფილდა იმით, რომ მხედველობაში მიიღო კონფერენციის წინასწარი პროექტი. ამას გარდა, საბჭომ მიიღო ფორმალური გადაწყვეტილება ამ კომისიის დოკუმენტების შინაარსის ერთა ლიგის საზოგადო კრების მონაწილეებს. ამრიგად კომისიის მოხსენება იქნება შეტანილი საზოგადო კრების დღის წესრიგში, საკითხი, იმის შესახებ, რომ იარაღის წარმოების კონტროლის თაობაზე მოწვეულ იქნას კონფერენცია, არც კი აღძრულა. (ადს).

კელოგის ხელშეკრულება

ხელს აწერენ

ვაშინგტონი, 2 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიამ, ფინეთმა და ბრაზილიამ აუწყეს ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მათ განზრახული აქვთ შეუერთდნენ კელოგის ხელშეკრულებას (ადს).

შვეცია უერთდება პაქტს

სტოკჰოლმი, 2 სექტემბერი. შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა ამერიკის ელჩს სტოკჰოლმში, რომ შვეციის მთავრობას განზრახული აქვს შეუერთდეს პაქტს. (ადს).

შეთანხმდნენ

პეკინი, 2 სექტემბერი. იაპონიის სააგენტოს „ტოხოს" ცნობით, მოლაპარაკება ჩან-სიუე-ლიანისა და ჩან-კაი-შის წარმომადგენლებს შორის საკითხის დამაკმაყოფილებლად გადაჭრით დამთავრდა.

იაპონური ოფიციოზის (მანჯურიაში) ცნობით, ჩან-სიუე-ლიანის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„პრინციპიალურად გადაწყვეტილია, რომ მომავალში ყველა დიპლომატიური საკითხი, რომელიც შეეხება აღმოსავლეთის სამ პროვინციას, ნანკინის მთავრობას წარედგინება გადასაწყვეტად. ამის გამო მე ვფიქრობ, რომ გომინდანის დროშის აღმართვა მანჯურიაში მხოლოდ დროის საკითხია". (ადს).

გერმანია ცნობილი იქნა

წესიერ გადამხდელად

ბერლინი, 2 სექტემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„გამოქვეყნებულ იქნა სარეპარაციო გადასახადთა გენერალური აგენტის ანგარიში. ანგარიშში აღნიშნულია, რომ გერმანიამ სრულიად და წესიერად შეიტანა ის თანხა, რომელიც ვადიანად ითვლებოდა დაუესის გეგმის მოქმედების მეოთხე წელიწადს. გენერალურ აგენტს ფაქტიურად გადაეცა 1.746.000 ოქროს მარკა". (ადს).

შემდეგი ეტაპი

ვარშავა, 2 სექტემბერი. ვილნოში ბელორუსიის სასკოლო საზოგადოების დაკეტვასთან დაკავშირებით „ძენიკ ვილენსკი" სწერს:

„ხელისუფლების მოქმედება ამ საზოგადოების მიმართ უნდა ჩავთვალოთ შემდეგ ეტაპად ბელორუსიის გრომადის ლიკვიდაციის საქმეში". (ადს).

თვითკრიტიკის გაღრმავების გზით

(საკავშ. კომპ. ცენ. საკ. კომ. პლენუმის გამო)

მას შემდეგ, რაც თვითკრიტიკა აღიარებულ იქნა ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად, ჩვენ უკვე განვლეთ საკმაო დრო იმისათვის, რომ შევაფასოთ, თუ რა შედეგები მოგვცა საკუთარ დეფექტების წინააღმდეგ წარმოებულ მასიურმა გალაშქრებამ. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმის რეზოლიუციაში თვითკრიტიკის შესახებ ამ კითხვაზე ჩვენ ვპოულობთ სწორ და ავტორიტეტულ პასუხს.

მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს, როგორც თვითკრიტიკის ნაკლი, ეს არის ის, რომ თვითკრიტიკა, მიუხედავად მთელ რიგ გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებებისა, რომელიც მიიღო პარტიის ცენტრალურმა ორგანოებმა, ჯერ კიდევ არ გადაქცეულა ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ეს ნაკლი, საჭიროა ერთხელ და კიდევ ერთხელ დაისვას საკითხი თვითკრიტიკის საქმეში მასის აქტიურად ჩაბმის შესახებ. ის, რაც გაკეთდა დღემდე ამ მიმართულებით, თავისთავად ცხადია, საკმარისად ვერ ჩაითვლება.

ბევრგან შემჩნეულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ჩვენი აღმშენებლობის კრიტიკას აწარმოებს მხოლოდ პრესა, ან მხოლოდ კრიტიკოსთა განსაზღვრული წრე. მაგრამ კრიტიკა მარტო ბეჭდვითი სიტყვით არ ამოიწურება. გარდა პრესისა, ჩვენ გვაქვს მშრომელი მასის ნებაყოფლობის გამომხატველი მრავალი სხვა გზები. ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს ბეჭდვითი კრიტიკა ჩვენში სათანადო დონეზე იდგეს პირიქით, აქ ჯერ კიდევ მრავალი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ პრესა, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი (კედლის გაზეთები) თვითკრიტიკის ნამდვილი გამტარებელი გახდეს.

ამისათვის უნდა ამოძრავებულ იქნან მუშა და გლეხ კორესპონდენტთა რაზმები. უნდა ჩაბმულ იქნან პრესის მუშაობაში უპარტიო მშრომელი მასების ახალი ფენები.

ამასთან ერთად, რომ თვითკრიტიკა ისე არ იქნეს გაგებული, როგორც მარტო პრესის ამოცანა, საჭიროა სათანადო მუშაობის გადატანა ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლის ღარიბ გლეხკაცობაში. ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას თვითკრიტიკის გასაშლელად წარმოება-დაწესებულებაში უნდა ჩაითვალოს საწარმოო თათბირები და ეკონომიური კომისიები. თუ თვითკრიტიკას წარსული თვეების განმავლობაში განვიხილავთ ამ მხრივ, უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა ოდნავათაც ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად.

საწარმოო თათბირებისადმი უყურადღებობა თითქმის საყოველთაო მოვლენას წარმოადგენს. არ სდგება საწარმოო თათბირების მუშაობის გეგმები, არ ტარდება ცხოვრებაში მუშათა წინადადებები, ხშირად არ ესწრება თათბირებს წარმოების ხელმძღვანელი ტექნიკური პერსონალი და, თუ ესწრება, არ ღებულობს სათანადო აქტიურ მონაწილეობას საკითხების გაშუქება-დამუშავებაში და სხვა. ასეთია ბევრ შემთხვევაში ჩვენი საწარმოო თათბირების სურათი. ამის პირდაპირი შედეგი კი ის არის, რომ მუშათა მასებში იკარგება ინტერესი საწარმოო თათბირებისადმი, ეცემა მასის აქტივობა თვითკრიტიკის საქმეში.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს თვითკრიტიკის გაღრმავებისათვის მშრომელი ახალგაზრდობის მასიურად ჩაბმას ამ მოძრაობაში. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეგრედ წოდებული „მსუბუქი კავალერიის" იდეამ, რომელიც ასე პოპულიარული გახდა კომკავშირისა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის წრეებში, ჯერ-ჯერობით ყველგან ვერ ჰპოვა სათანადო პრაქტიკული გამოხმაურება. კომკავშირის ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ამ საკითხის მოგვარებას. კომკავშირმა და მის ირგვლივ დარაზმულ ახალგაზრდობამ თავისებური ალტყინებით შეუპოვარი იერიში უნდა მიიტანოს ჩვენი სინამდვილის მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ. პარტია და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა სამართლიანად მოელის მისგან ასეთ გამოძახილს.

მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც ახასიათებს ჩვენს თვითკრიტიკას, მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ ზევრჯერ დეფექტების ძებნაში ვივიწყებთ იმ მიღწევებს, რომელნიც ჩვენ უთუოდ ხშირად საკმაოზე მეტი გვაქვს და რომელთა პროპაგანდასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ჩვენი შემდგომი წარმატებითი მუშაობისათვის. თვითკრიტიკასთან ერთად ჩვენ უნდა გვახსოვდეს საკუთარი მიღწევების გაშუქებაც. მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს საქმის ცოდნით, უფრო დამახასიათებელი მიღწევების შერჩევით, მათი გადაუჭარბებლად აღწერით და სხვა.

ადგილობრივი ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი შეცდომა, სხვათა შორის, ბევრგან იმაში მდგომარეობს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი გაგებულ იქნა, როგორც მორიგი კამპანია. ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ ადგილებში, თითქოს კიდეც მისცხრა თვითკრიტიკის ძლიერი ტალღა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ლოზუნგის გამოცხადების პირველ ხანებში. ბევრგან თვითკრიტიკას „ყური შეაჩვიეს".

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმს ეს ნაკლი აღუნიშნავი არ დარჩენია. თავის რეზოლიუციაში თვითკრიტიკის შესახებ აღნიშნული პლენუმი ხაზგასმით ამბობს, რომ თვითკრიტიკა არ არის მორიგი კამპანია, ის წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ მუდმივ მთავარ ამოცანას. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის ეს გადაწყვეტილება მტკიცედ უნდა დავიხსომოთ და აქედან სათანადო პრაქტიკული დასკვნა გავაკეთოთ.

კომინტერნის VI კონგრესი

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 3 სექტემბერი. კომინტერნის კონგრესის საღამოს უკანასკნელ სხდომაზე 1 სექტემბერს ამხ. **ბუხარინმა** გააკეთა მოხსენება კომინტერნის პროგრამის შესახებ. პროგრამა ერთხმად იქნა მიღებული.

პროგრამის მიღების შემდეგ კონგრესის ყველა მონაწილეებმა ფეხზე დგომით იმღერეს „ინტერნაციონალი".

მოსკოვი, 3 სექტემბერი. 1 სექტემბერს კომინტერნის კონგრესის საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია საბჭოთა კავშირისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) მდგომარეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო. რეზოლუცია დაწვრილებით ეხება სოციალისტური მშენებლობის გიგანტურ პროგრესს პროლეტარული დიქტატურის პირველ ქვეყანაში და აღნიშნავს, რომ რუსეთის პროლეტარიატმა წარმატებას მიაღწია საკუთარი ძალ-ღონით. კონგრესი აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა შორის და ადასტურებს მე-15 პარტიული ყრილობისა და კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიიდან ტროცკისტული ოპოზიციის გამორიცხვის შესახებ. კომინტერნის მე-6 კონგრესი აღნიშნავს, რომ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას საფრთხეს უმზადებს არა პროლეტარიატის გარდაქმნა, როგორც ამას ოპოზიცია ამტკიცებს, არამედ იმპერიალისტების თავდასხმა; ამიტომ იგი მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროლეტარებსა და მთელი მსოფლიოს დაჩაგრულ ხალხებს—თავიდან აიცილონ საბჭოთა კავშირს სამხედრო თავდასხმის შესაძლებლობა. რეზოლუცია საბჭოთა კავშირისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) მდგომარეობის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული, რამაც მთელი კონგრესის მხურვალე ტაში გამოიწვია.

ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ ამხ. კალაროვმა მოხსენება გააკეთა სხვადასხვა ჯგუფებისაგან კონგრესის სახელზე შემოსული აპელიაციების შესახებ. ტროცკის და სხვათა აპელიაციის გამო კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს მე-15 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებას პარტიიდან ტროცკისტული ოპოზიციის გამორიცხვის შესახებ, რადგან ეს გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანად და აუცილებელი იყო. რეზოლუცია უარყოფს ტროცკის, რაკოვსკის და სხვათა შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ ისინი დაბრუნებულ იქნან პარტიაში. კონგრესმა რეზოლუცია ერთხმად მიიღო, რამაც მხურვალე ტაში გამოიწვია.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია [illegible] მასლოვისა და რუთ ფიშერის აპელიაციის გამო (1928 წლის 23 აგვისტო). კონგრესმა უარყო მასლოვისა და რუთ ფიშერის შუამდგომლობა კომუნისტურ ინტერნაციონალში მათი უკან მიღების შესახებ და დაწვრილებით დაასაბუთა ეს უარი. ამავე დროს მან მოიწონა გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის დადგენილება, რომ პარტიაში უკან დაბრუნების გზა გახსნილია იმ მუშებისათვის, რომელნიც სრულიად და უყოყმანოდ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია საფრანგეთის ოპოზიციის (სიუზანა ჟირო და სხვ.), ჰოლანდიის ჯგუფის—ვან კოოპის და დასავლეთ უკრაინის კომპარტიიდან გამორიცხულთა ჯგუფის შესახებ. (ადს).

ჯავშნოსანის აგების გარშემო

ან აქეთ, ან იქით

ბერლინი, 2 სექტემბ. რადგან სოციალ-დემოკრატი მუშები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის უკმაყოფილონი არიან, კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კომიტეტმა გამოაქვეყნა ღია ბარათი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა ხელმძღვანელი ორგანოს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრისადმი. კომპარტია წინადადებას აძლევს მათ გადასწყვიტონ შემდეგი საკითხი: ან კომპარტიასთან ერთად მოითხოვონ საყოველთაო კენჭის ყრა, წინააღუდგნენ ჯავშნოსანის აგებას, მხარი დაუჭირონ ფართო მასების ამხედრებას ომის იმპერიალისტური საფრთხის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის აქტიურ დაცვას ან სოციალ-დემოკრატ მინისტრებთან და სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მხარი დაუჭირონ ჯავშნოსანის აგებას, შეიარაღებას, გერმანიის ბურჟუაზიის არამშვიდობიან პოლიტიკას (ადს).

ახალი ანტისაბჭოთა კამპანია

ბერლინი, 2 სექტემბ. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უკანასკნელ დღეებში კამპანია დაიწყო კომპარტიის წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ სოციალ-დემოკრატთა შორის გაძლიერებული უკმაყოფილება მოსპოს და შეაფერხოს მათი მიდრეკილება კომპარტიისაკენ. მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული გაზეთები „ხემნიცერ ფოლკსშტიმე", „ლეიპციგერ ფოლკსცაიტუნგი" და სხვ. აფრთხილებენ სოციალ-დემოკრატ მუშებს „კომპარტიაში სიმპატიურებელთა" გავლენისაგან და ურჩევენ მუშებს მონაწილეობა არ მიიღონ მთლიანობის კომიტეტებში, რომლებსაც კომუნისტები აწყობენ. „ფორვერტსი" ცდილობს შეანელოს საპროტესტო მოძრაობა ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ ახალი კამპანიის საშუალებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს).

რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხი

ვარშავა, 2 სექტემბერი. პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა კვლავ იპყრობს პრესის ყურადღებას. „პშეგლონდ ვეჩორნი" აცხადებს, რომ პარიზიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების მიხედვით სრულიად უარყოფილია რეინის ოლქის ევაკუაციის პროექტი ეკვივალენტოთ. გაზეთის სიტყვით, საფრანგეთის ოფიციალურ წრეებში ჯერ-ჯერობით ლაპარაკია იმის შესახებ, რომ საჭიროა ერთმანეთს დაუკავშირდეს რეინის ოლქის ევაკუაცია და ვალების საკითხის მოწესრიგება. გაზეთებს საკითხის ასე დაყენება არ აკმაყოფილებს. გაზეთების სიტყვით, თუ რეინის ოლქის ევაკუაცია მოხდა, გერმანიამ გარანტია უნდა მისცეს მარტო საფრანგეთს კი არა, არამედ თავის აღმოსავლეთის მეზობლებსაც, ამ გარანტიამ ისინი უნდა უზრუნველყოს გერმანიის აგრესივობისაგან. (ადს).

საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრის დაღუპვა

პარიზი, 2 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო გულიდან იუწყება:

„აეროპლანი, რომელზედაც საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრი იყო, ძირს დავარდა და დაიწვა. ბოკანოვსკი დაიღუპა" (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ბოკანოვსკის დაღუპვის შესახებ

პარიზი, 2 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება დაწვრილებით ცნობებს ბოკანოვსკის დაღუპვის შესახებ. ბოკანოვსკი 2 სექტემბერს ჩაჯდა თვითმფრინავში და გაემგზავრა კლერმონისა და მერანისაკენ. თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა ჰაერში 500 მეტრის სიმაღლეზე მეხუთმეტე წუთზე აფრენის შემდეგ. ბოკანოვსკის გარდა დაიღუპნენ აგრეთვე თვითმფრინავზე მყოფნი მფრინავი ბორტი, მექანიკოსი-მეთვალყურე და საჰაერო კომპანიის ტექნიკური დირექტორი ლეფრანკი. (ადს).

წყალქვეშა ნავი „ლ-55"

ლონდონი, 2 სექტემბერი. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენი" სწერს:

საბჭოთა მთავრობას ვერ დავძრახავთ იმის გამო, რომ კრონშტადტში არ შეუშვა ინგლისის სამხედრო გემი, რომელსაც უნდა წამოესვენებინა წყალქვეშა ნავის „ლ—55" ეკიპაჟის ნეშტი. გაზეთი სწერს:

„ნავის დაღუპვა მხოლოდ ინტერვენციის ერთი მრავალ შედეგთაგანია. ინტერვენციის შემდეგ ადგილი ჰქონდა „არკოს"-ზე თავდასხმას და დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტას. ამიტომ ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირმა არავითარი სურვილი არ გამოიჩინა რაიმე განსაკუთრებული ზრდილობით მოპყრობოდა ინგლისს".

ცნობა ამუნდსენის დაღუპვის შესახებ

ბიპლან „ლატამ"-ის ნაწილები იპოვეს

„ლატამ"-ის საცურავის პოვნა

ოსლო, 2 სექტემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ტრომსეს ნავთსადგურში მოვიდა მეთევზეთა გემი. მან ყინულებზე იპოვა საცურავი, როგორც სჩანს, ბიპლან „ლატამ"-ისა, რომელზედაც იყვნენ ამუნდსენი, საფრანგეთის მფრინავი გილბო და სხვანი. მეთევზეთა გემმა თან მოიტანა საცურავი, რომელიც შეღებილია ლურჯად და ნაცრის ფერად. საცურავის პოვნის ამბავი ტელეგრაფით ეცნობა საფრანგეთის კრეისერს „სტრასბურგს", რომელიც ტრომსეში უნდა მოვიდეს.

გემის „მიქაელ სარსისა" და საფრანგეთის ნავთისმზიდავი გემის „დიურანსის" ოფიცრებმა განუცხადეს ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ აღმოჩენილი საცურავი მართლაც ბიპლან „ლატამ"-ს ეკუთვნისო. ამას ადასტურებენ აგრეთვე ფოტოგრაფიული სურათები.

ბერგენის საზღვაო სადგურის უფროსმა, რომელმაც მიიღო ბიპლანი „ლატამ"-ი ნორვეგიის ხელისუფალთა სახელით, დაადასტურა, რომ „ლატამ"-ის საცურავი მართლაც შეღებილი იყო ლურჯად და ნაცრის ფერად (ადს).

სვერდრუპი „ლატამ"-ის ბედის შესახებ

ბერლინი 2 სექტემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ცნობილმა პოლიარულმა მკვლევარმა კაპიტანმა სვერდრუპმა თავისი აზრი გამოსთქვა ბიპლან „ლატამ"-ის საცურავის აღმოჩენის შესახებ. სვერდრუპმა განაცხადა, უკანასკნელი ცნობები იმის საბოლოო საბუთად მიაჩნია, რომ იმედი აღარ უნდა გვქონდეს „ლატამ"-იდან ვინმე ცოცხალი გადარჩენილიყოს (ადს).

დაღუპული „ლატამ"-ის კვალი

ოსლო, 2 სექტემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

ნორვეგიის ფლოტის სარდალი ოფიციალურ კომუნიკეში აცხადებს: „მიქაელ სარსის" ოფიცრებმა დაათვალიერეს ნაპოვნი საცურავი და ის აზრი გამოსთქვეს, რომ იგი, უეჭველია, „ლატამ"-ის ტიპის მანქანის ნაწილიაო. საფრანგეთის ტრომსეელი კონსული დარწმუნებულია, რომ საცურავი ეკუთვნოდა „ლატამ"-ს.

ნორვეგიის ექსპერტების აზრით, უბედური შემთხვევა მომხდარა ნორვეგიასა და დათვის კუნძულს შუა. შეიძლება ავიატორები უკან დაბრუნებას აპირებდნენ, მაგრამ კატასტროფა მოხდა. პრესა აცხადებს, „ლატამ"-ი, ალბად, ზღვაში ჩავარდა და ყველა ზედ მყოფი დაიღუპა. თუ ამუნდსენი დაღუპულია, მაშინ ნორვეგიამ დაჰკარგა ერთი უდიდესი პიროვნება ნორვეგიის ისტორიაში. ყოველ შემთხვევაში, ამუნდსენი, დიტრიხსენი და მათი გულადი ფრანგი ამხანაგები ისეთის სიკვდილით დაიღუპნენ, რომელიც სახელს მოუხვეჭს მათ და მათს სამშობლოს (ადს).

იპოვეს „ლატამ"-ის მეორე ტივტივა

ოსლო, 2 სექტემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება ტრომსედან:

„გავრცელდა ხმები, რომ ზღვაში იპოვეს ბიპლან „ლატამ"-ის მეორე ტივტივა. მოახდინეს გამოკვლევა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეეფერება ეს ხმები სინამდვილეს, აღმოჩნდა, რომ ერთი თევზისმჭერი გემის ეკიპაჟმა პირველი ტივტივას პოვნის რაიონში მართლაც შეამჩნია ტივტივას მსგავსი რაღაც, ნახული საგანი არ აუტანიათ გემზე, რადგანაც არავინ ყურადღება არ მიაქცია მას. როდესაც თევზმჭერი გემის კაპიტანმა დაინახა ტრომსეში მიბმული ტივტივა, მან განაცხადა, რომ მის მიერ ზღვაში ნახული მორის ნაჭერი უეჭველად იქნებოდა ბიპლან „ლატამ"-ის მეორე ტივტივა". (ადს).

„კრასინი" კინგსბეიში

პარიზი, 2 სექტემბერი. 2 სექტემბერს დილით ყინულისმჭრელი „კრასინ"-ი მოვიდა კინგსბეიში. ჩამოსვლისთანავე მან კავშირი გააბა ნობილეს ექსპედიციის მცურავ ბაზასთან „ჩიტა დი მილანო"-სთან. „ჩიტა დი მილანო"-ს კაპიტანი ესტუმრა „კრასინ"-ს და აუწყა ამ დღეებში კინგსბეიში წყალისა და სურსათის მარაგის შესავსებად ჩამოსული „ბრაგანცა"-ს მუშაობის შედეგები. „ჩიტა დი მილანო" უცდის იტალიის მთავრობის შემდგომ განკარგულებებს „კრასინ"-თან ერთად მუშაობის შესახებ. „კრასინ"-ი შეუდგა ჩუხნოვსკის ავიო-ბაზის დატვირთვას, რის შემდეგ წავა ვერდესკის ონცხის შვიდი კუნძულის რაიონში, სადაც მოწყობილ იქნება ახალი ავიო-ბაზა, და საიდანაც, თუ პირობები ხელს შეუწყობენ, მოხდენილი იქნება საჰაერო დაზვერვა. (ადს).

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4-ე
# მორიგი პლენუმი
მაზრკომების და ოლქკომების მდივნებთან ერთად
იხსნება აიწ. 10 სექტემბერს
ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ღოღობერიძე

უკანასკნელი ცნობები

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე რეპრესიები შანხაიში

შანხაი, 3 სექტემბერი. გუშინ, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს, შანხაიში დააპატიმრეს 24 ჩინელი, უმთავრესად, სტუდენტები. პრესა ირწმუნება, რომ დაპატიმრებულნი ავრცელებდნენ ბროშურებს იმპერიალიზმისა და ნანკინის მთავრობის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ ხალხს გომინდანის ხელისუფლების დასამხობად (ადს).

დღესასწაული ბერლინში

ბერლინი, 3 სექტემბერი. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღემ ბერლინში ჩაიარა მუშა ახალგაზრდობის მთლიანი ფრონტის ლოზუნგით მილიტარიზმის წინააღმდეგ. ბერლინში აღმოსავლეთ რაიონებში შეუწყვეტლივ მიიმართებოდნენ ახალგაზრდათა რაზმები. პლაკატებთან ერთად დემონსტრანტებს მიჰქონდათ ჯავშნოსანისა და ყუმბარების მსროლავი ჰაეროპლანის მოდელები, რომლებიც სატირიკული ფორმით გამოხატავდნენ იმპერიალისტების მზადებას ომისათვის სოციალ-დემოკრატების დახმარებით. ლიხტენბერგის სტადიონზე (ბერლინის მიდამო), საითკენაც მიიმართებოდნენ დემონსტრანტები, მათ მოლოდინში თავი მოიყარა დაახლოვებით 25.000 მუშამ. დემონსტრანტებს განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ კომკავშირში გადასულნი ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის ყოფილი წევრები. (ადს).

დემონსტრაციის დაშლა

ვარშავა, 3 სექტემბერი, ვარშავაში პოლონეთის მუშა ახალგაზრდობის დემონსტრაციები უკვე შაბათს დაიწყო. უმეტეს ნაწილად პოლიცია მაშინვე ჰფანტავდა დემონსტრანტებს. კვირას პოლიციამ დაშალა დიდი მიტინგი კაზიმირის მოედანზე. ორატორი დააპატიმრეს. საღამოთი გაიმართა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. ებრაელების უბანში დარაჯმა პოლიციელმა მოულოდნელად სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, რომელთაგანაც 7 დაიჭრა, სროლის შემდეგ ქუჩა დაიჭირა პოლიციის რაზმმა, რომელიც დემონსტრანტებს ჰფანტავდა. სულ შეტაკების დროს დაიჭრა და მოკვდა 70 კაცი. ერთ მძიმედ დაჭრილს ახლახან შეუსრულდა 15 წელი. ზოგიერთი მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში მიიყვანეს. ერთი მათგანი დღეს მოკვდა. პოლიციასთან შეტაკების ამბავს იუწყებიან აგრეთვე ლვოვიდან და სხვა ქალაქებიდან. (ადს).

ჩხრეკა

ვენა, 2 სექტემბ. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, პოლიციამ გაჩხრიკა კომუნისტური ორგანიზაციების შენობები. გაჩხრიკეს აგრეთვე ცნობილი კომუნისტები. კონფისკაცია მოუხდინეს კომუნისტურ მიმოწერას და ლიტერატურას (ადს).

მიწისძვრა შუშტარში

თეირანი, 2 სექტემბ. გაზეთების ცნობით, შუშტარში (ხუზისტანშია, სპარსეთ - ირაქის საზღვრის მახლობლად) მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ბევრი სახლი დაინგრა. არიან დაშავებულნიც (ადს).

დემონსტრაციებში მონაწილეობის აკრძალვა

ვენა, 2 სექტემბ. ზაგრებიდან მიღებული ცნობით, დემოკრატიული კოალიციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ კოალიციის წევრები არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას ისეთ დემონსტრაციებში და კრებებში, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ მთავრობისა და მთავრობის პარტიების წარმომადგენლები (ადს).

ფაშისტების თავდასხმა

ვენა, 2 სექტემბ. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით, ამ დღეებში შალგოტარიანში (ქვანახშირის დიდი რაიონი უნგრეთში) ფაშისტური ორგანიზაციის „არწივის“ წევრები თავს დაესხნენ მუშებს, თავდასხმის დროს მოჰკლეს ერთი მუშა და სამი დასჭრეს (ადს).

მეგობრული მიღება

სტოკჰოლმი, 2 სექტ. მუნიციპალიტეტმა მეგობრულად მიიღო მოსკოვის და ლენინგრადის საბჭოების დელეგაცია სტოკჰოლმში. პრესა მეგობრული ტონით აღნიშნავს დელეგაციის ჩასვლას.

მფრინავის ვიხარეკის გადაფრენა

პრაღა, 2 სექტემბ. 31 აგვისტოს მფრინავი ვიხარეკი პრაღადან გაფრინდა აეროპლანით, რომელსაც 80 ძალიანი მოტორი აქვს. ვიხარეკს განზრახვა აქვს დაუშვებლად გადაფრინდეს ომსკში. უკან დაბრუნებისას ვიხარეკი დაეშვება ჩელიაბინსკში, ყაზანში და მოსკოვში. მოსკოვში, უკან დაბრუნების შემდეგ, ვიხარეკს 5 სექტემბერს მოელიან (ადს).

ახმედ - ზოგუს ალბანეთის მეფედ გამოცხადება

ვენა, 3 სექტემბერი. ტირანიდან იუწყებიან: ალბანეთის დამფუძნებელმა კრებამ მოისმინა ალბანეთის კონსტიტუციის ცვლილებათა დამმუშავებელი სპეციალური კომისიის მოხსენება და დაადგინა — შესცვალოს კონსტიტუცია და გამოაცხადოს ახმედ - ზოგუ ალბანეთის მეფედ.

ახმედ - ზოგუმ იმავე სხდომაზე მიიღო კონსტიტუციის ერთგულების ფიცი (ადს).

ახალი ოპერა „ომი და ზავი“

მოსკოვი, 3 სექტემბერი. ტოლსტოის საიუბილეო დღესასწაულისათვის კომპოზიტორი კოლომიაცი დაამთავრებს ოპერას „ომი და ზავი“. ოპერა დაწერილია ტოლსტოის რომანის სიუჟეტის მიხედვით (ადს).

„ლიუფტ-განზა“ მოსკოვში

მოსკოვი, 3 სექტემბერი. 1 სექტემბერს ირკუტსკიდან მოსკოვში მოფრინდა გერმანელთა საზოგადოების „ლიუფტ-განზას“ აეროპლანი, რომელიც ფრენით უნდა დაჰგლოს ბერლინი-ირკუტსკი-ბერლინი. 3 სექტემბერს აეროპლანი მოსკოვიდან ბერლინში გაფრინდება.

ნიაღვარი აფხაზეთში

სოხუმი, 3 სექტემბერი. 1 და 2 სექტემბერს, ღამე, არაჩვეულებრივი წვიმა მოვიდა. სოხუმის მეტეოროლოგიური სადგურის ცნობებით უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ამისთანა წვიმა არ ყოფილა.

სოხუმში ნიაღვარმა ამოავსო სარდაფები და წაიღო რამდენიმე სახლი. ზღვაზე ღელვაა.

საბჭ. კავშ. სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ათი წლისთავი

წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველოს საინფორმაციო ცნობა

მოსკოვი, 3 სექტემბერი. 2 სექტემბერს შესრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში დაარსდა სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო.

ათი წლის წინად, 1918 წლის შემოდგომიდან, საბჭოთა რესპუბლიკას შემორტყმული ჰქონდა კონტრ-რევოლიუციისა და ინტერვენციის რკალი. ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით გაჩაღებული იყო მედგარი, ულმობელი ბრძოლა. პროლეტართა ახეული რაზმები, პოლკები და დივიზიები იბრძოდნენ რევოლიუციის დასაცავად.

წარმოშობილ ფრონტებზე შექმნილმა საშიშმა მდგომარეობამ საჭირო გახადა, რომ 1918 წლის 2 სექტემბრის დეკრეტით რუსეთის ცაკს საბჭოთა რესპუბლიკა გამოეცხადებინა სამხედრო ბანაკად და შექმნილიყო ერთი მთლიანი სამხედრო რევოლიუციონური მმართველობა ფრონტსა და ზურგში, რისთვისაც დაარსდა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო. შემდეგ თვეებში სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოები შეიქმნენ ყველა ფრონტზე და ყველა არმიაში; ისინი თანდათან გადაიქცნენ იმ ორგანიზაციულ ფორმად, რომლის წყალობითაც შეძლებისამებრ სრულად განხორციელდა რთული სამხედრო მუშაობის კოლექტიური ხელმძღვანელობა.

სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოები არ გაუქმებულან. ისინი დარჩნენ წითელი არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობის ორგანოებად. მათი ათი წლის მუშაობის გამოცდილება სამოქალაქო ბრძოლისა და მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში სრულიად გამართლებულია. სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოებში საუკეთესოდ არის მიღწეული არმიის მუშაობის ყველა დარგის კავშირი როგორც ერთმანეთს შორის, ისე პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან. კავშირს ამ ორგანოებთან ახორციელებს პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების შეყვანა ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრებად.

სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო წარმოადგენს მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ფლოტის უმაღლესი მართვა-გამგეობის ერთად-ერთ შესაძლებელ ფორმას მსოფლიო იმპერიალიზმის თანდათან გადიდებული საფრთხის დროს (ადს).

მანევრები გორის მაზრაში

შეხვედრითი ბრძოლა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მანევრების პირველი ამოცანა იყო შეხვედრითი ბრძოლის ჩატარება „წითლებსა“ და „ლურჯებს“ შორის.

ბრძოლა ჩატარდა 30 აგვისტოს დილით.

„წითლების“ ამოცანას შეადგენდა „ლურჯებისათვის“ უკანდახევის გზის გადაჭრა სურამის უღელტეხილისაკენ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ამისათვის საჭირო იყო სწრაფი დაკავება მნიშვნელოვან სიმაღლეებისა ღოღეთისა და ფცის მიდამოებში. ამ სიმაღლეებისაკენ მიეშურებოდნენ „წითლებიც“ და „ლურჯებიც“.

ორივე მხრის მიერ გაგზავნილი იყო მაძიებელთა რაზმი.

მთავარ ხელმძღვანელობამ აღნიშნა წითელ არმიელთა მიერ სამხედრო საქმის საუკეთესო შეთვისება.

სწავლების საზამთრო და საზაფხულო პერიოდის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბეს.

მიუხედავათ იმისა, რომ დღე იყო ძალიან ცხელი, „ბრძოლის“ ველზე არ მოიძებნებოდა დასალევი წყალი და თვით რაიონიც არ წარმოადგენდა ხელსაყრელ ადგილს ბრძოლისათვის, ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული „წითლების“ მიერ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: „წითლების“ ერთმა ნაწილმა სწრაფი იერიში მიიტანა „მოწინააღმდეგის“ მარცხენა ფლანგზე. „წითლები“ შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ „ლურჯებს“, 2 ნახევარ კილომეტრის მანძილზე, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელები მოელოდნენ შეტევას მარჯვენა ფლანგით.



სქემა
„წითელი“ მხარის მოქმედებისა შეხვედრითი ბრძოლაში, 30 აგვ. 1928 წ.
(ისრებით ნაჩვენებია „წითლების“ მიმართულება)

წითლებმა ამოცანა შეასრულეს ბრწყინვალედ. სწრაფი მოძრაობით მათ ხელთ იგდეს სიმაღლეები 370, 375, 380, რითაც „ლურჯები“ ჩააყენეს უხერხულ მდგომარეობაში.

„წითლების“ მაძიებელთა რაზმმა, რომელშიაც შედიოდა 1 ქვეითი ასეული, 1 ბატარეია და ტყვიამფრქვევის ოცეული, 15 კილომეტრის მანძილი ს. შინდისიდან „ბრძოლის“ ველამდე გაიარა 3 საათში, მიუხედავათ ცუდი გზებისა.

წითელ არმიელთა მოქმედება იყო საუკეთესო.

საუკეთესოდ მოქმედებდა „წითლების“ მთავარი რაზმიც.

30 აგვისტოს „ბრძოლამ“ ერთხელ კიდევ დაამტკიცა ჩვენი წითელი არმიის საუკეთესო მომზადება ომისათვის.

ელ. ხუციშვილი.

ხ. ხაქაშეთი.

უბის წიგნიდან

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აკაკი, ვასო და სარდიონი

აკაკი მე-2-ე ლეგიონის სამნეო გუნდის წითელ არმიელია. გაუწვევიათ ის წითელი არმიის რიგებში 1926 წლის შემოდგომაზე, წრეულს იგი გაშვებული იქნება გრძელვადიან შვებულებაში.

მე და აკაკიმ ვიმგზავრეთ ორთვალათი შინდისიდან გორამდე. მკვირცხლი ბიჭია აკაკი, თან მიარბენინებს ორთვალას და თან გელაპარაკება, რომ არ მოიწყინო.

— ორ წელიწადში ბევრი რამე შევიძინე. ჯერ ის რად ღირს, რომ უკვე პარტიის წევრი ვარ. ყაზარმაში რომ მოვედი, არა მქონდა არავითარი წარმოდგენა პოლიტიკაზე, ეხლა კი საუკეთესოდ ვერკვევი ყოველივე საკითხში. ბევრსა ვკითხულობ, გავეცანი საქართველოს და რუსეთის მწერლებს.

— აკაკი! რა საქმეს მოჰკიდებ ხელს სახლში დაბრუნებისას?

— სოფლად სამუშაო ბევრია. ყოველი ცოტათ თუ ბევრად შეგნებული მოქალაქე საჭიროა სოფლისათვის. წითელ არმიაში ბევრი რამ სასარგებლო შევიძინე სოფლისათვის და ვეცდები გადავცე გლეხობას ჩემი ცოდნა.

— მაინც არა გვაქვს მტკიცედ გარკვეული მომავალი მუშაობის გეგმა? —ვეკითხები აკაკის.

—გეგმა როგორ არა მაქვს გარკვეული. უგეგმოდ მუშაობა არ ვარგა— ამბობს აკაკი და ეხება ვრცლად იმ მუშაობას, რომელშიაც ჩაებმება იგი სახლში დაბრუნებისას.

ლაპარაკობს აკაკი. აქ არის კოლმეურნეობა, კოოპერატივი, გლეხობის გასამხედროება, სკოლა, სამკითხველო.

აკაკი მარტო არ არის. წითელი ყაზარმა ათასობით აძლევს სოფელს ყოველწლიურად აკაკისთანა ამხანაგებს.

მათ სჭირიათ სათანადოთ გამოყენება. შვებულებს უნდა მიეცეთ ფართე გზა.

⁂

ვასო პოეტია.

მასაც უწევს შემოდგომაზე სახლში დაბრუნება.

ვასო ლექსებით ლაპარაკობს. ყოველ შემთხვევისათვის მას ლექსი მზადა აქვს.

ლეგიონში იგი ითვლება ლექსების საუკეთესო მკითხველად. უიმისოდ არ ჩატარდება არც ერთი საღამო.

— ვასილ! აბა სთქვი ახალი რამე— ეუბნებიან ამხანაგები.

ვასილიც დაუზარებლივ ასრულებს მათ თხოვნას.

ავდექ, ჩემბერლენს მივწერე:
„ჩემბერლენ! იყავ ჭკვიანად,
თორემ მოვალ და მიგტყიპავ,
მიგტყიპავ ცილინდრიანად“.

ვასო ამ სიტყვებს ამბობს ისეთი გამომეტყველებით, რომ არმიელნი იხოცებიან სიცილით.

ვასო ყაზარმაში მოვიდა სავსებით უცოდინარი, ეხლა კი იგი, როგორც ამბობენ მისი ამხანაგები, აბულბულებს წიგნებს.

⁂

სარდიონი საარტილერიო ლეგიონის არმიელია. ის კარგათა გრძნობს თავსა, როდესაც ცხენზეა გამოჭიმული.

— სწავლა მწყურია სულით და გულით. აი ეხლა მივდივარ ჯარიდან გრძელვადიან შვებულებაში და მჭირია დახმარება. არ ვიცი, რა გზას დავადგე. უნდა ვინმე დამეხმაროს, მიჩვენოს გზა, თორემ დავრჩები უსწავლელი.

სარდიონს სახეზე ეტყობა, რომ ჭკვიანი ბიჭია და მართლაც სურს სწავლა.

მას უნდა მივსცეთ ამის შესაძლებლობა.

— ამხანაგო! თუ ჩვენს მხარეს მოხვდე, მეწვიე სახლში, ნახე, როგორა ვცხოვრობ — მეუბნება სარდიონი და მიწერავს უბის წიგნაკში შემდეგ მისამართს: კახეთის მაზრის სოფ. კარდანახის მცხოვრები სარდიონ გიგოლის ძე ბერიკელაშვილი.

ე. ხუციშვილი.

ს. ქარელი.

თათბირი პარტ-ინფორმაციის შესახებ

მოსკოვი, 3 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკაში გაიხსნა მეორე საკავშირო პარტიული თათბირი ინფორმაციის შესახებ. ცენტრალურ, საოლქო, საგუბერნიო და საოკრუგო პარტორგანი

გარდა თათბირზე მონაწილეობას იღებენ სახალხო კომისარიატების, პროფკავშირების, კოოპერაციის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მუშაკების გარდა თათბირს ესწრება 48 დელეგატი ადგილებიდან და 35 წარმომადგენელი ცენტრალურ დაწესებულებათაგან. ამხ. ცირულმა გააკეთა ვრცელი მოხსენება პარტიული ინფორმაციის მდგომარეობისა და მისი ძირითადი ამოცანების შესახებ. შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. კაროვეცკის მოხსენება საინფორმაციო მუშაობის დაყენების შესახებ არაპარტიულ ორგანიზაციებში და ამხ. სიმკინის მოხსენება ინფორმაციის დაყენების შესახებ ქვედა საფეხურის პარტორგანიზაციებში (ადს).

თვითკრიტიკის გატარების პირველი შედეგები

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მესამე პლენუმის დადგენილება

მოსკოვი, 3 სექტემბერი. პარტიის დირექტივებმა თვითკრიტიკის განვითარების შესახებ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებში და მუშათა მასებში უკვე ითამაშეს დადებითი როლი: აწიეს მასების აქტივობა დეფექტებთან ბრძოლის საქმეში, გააცხოველეს შინაპარტიული მუშაობა, გააძლიერეს პრესის მნიშვნელობა აპარატის ბიუროკრატიზმთან და სამეურნეო მუშაობის დეფექტებთან ბრძოლის საქმეში.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ტარდება თვითკრიტიკის გაბედული განვითარება მუშათა მასებში, პარტიისა და პროფკავშირის რიგებში გაცილებით მეტის წარმატებით სწარმოებს ბრძოლა გამხრწნელ ელემენტებთან ჩვენს ორგანიზაციებში და უკვე დაიწყო განხორციელება პარტიის ცენტრალური კომიტეტის უდიდესი დირექტივისა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის შესახებ.

ზოგჯერ თვითკრიტიკა მხოლოდ პრესისა და ცალკე კატეგორიის მუშაკების კუთვნილებას შეადგენს, მაშინ, როდესაც თვითკრიტიკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს „მასების გაბედული, გადამჭრელი და თანამიმდევარი ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის საქმეში, მთელი აპარატის შემოწმება და კონტროლი მილიონიანი მასების მხრივ და ამ აპარატის გაწმენდა უვარგის ელემენტებისაგან“.

საკ. კ. პ. (ბ) ტექნიკური საკონტროლო კომისია სთვლის, რომ თვითკრიტიკის შემდგომ განვითარებაში ცენტრალურ ამოცანას უნდა შეადგენდეს პროლეტარული მასების ფართოდ ჩაბმა თვითკრიტიკის გატარების საქმეში იმისათვის, რომ თვითკრიტიკა გადაიქცეს „იმ ბრძოლის ბერკეტად, რომელიც მიზნად ისახავს მთელი აპარატის ნამდვილად გაუმჯობესებას, ბიუროკრატიზმთან ნამდვილ ბრძოლას, მასიურ შეტევას ყველა ჩვენი მტრების წინააღმდეგ, დაწყებული კულაკიდან და დამხრწნელებიდან და გათავებული გამხრწნელი ელემენტებით ჩვენს საკუთარ რიგებში“. თვითკრიტიკის პირველი შედეგების მიხედვით, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია თვითკრიტიკის განვითარების საქმეში აღნიშნავს შემდეგ დეფექტებს და შეცდომებს:

1) პარტიის დირექტივა თვითკრიტიკის გაძლიერების შესახებ ჯერ კიდევ არ გამხდარა ერთ-ერთ სადღეისო ცენტრალურ ლოზუნგად. მრავალი პარტიული ორგანიზაცია პასიურად და არა საკმაოდ აქტიურად მიუდგა მუშათა მასებისათვის თვითკრიტიკის შინაარსის და მნიშვნელობის გაცნობისა და განმარტების საქმეს.

ხშირად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის განმარტებას აწარმოებდნენ მხოლოდ პარტიის წევრთა შორის. უპარტიო მუშები და მუშა-ქალები კი კავშირი რჩებოდნენ, რის გამო მუშათა დიდი ნაწილისათვის პარტიის მიმართვა ჯერ კიდევ უცნობია და არ არის საკმაოდ შეთვისებული.

2) საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 3 ივნისის მიმართვა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შეფასებული, რაც გამოიხატება იმაში, რომ პარტიის წევრები თვითკრიტიკის ლოზუნგს [illegible] მორიგ კამპანიად და არა პარტიის, პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების მუდმივ, ძირიად მნიშვნელობის ამოცანად.

3) ადგილი აქვს მისწრაფებას—ბიუროკრატიულად შეზღუდონ მუშათა ორგანიზაციების კრიტიკა და თვითკრიტიკა პარტიის შიგნით, რაც ნამდვილად ნიშნავს თვითკრიტიკის ჩახშობას. უფრო ხშირად ასეთი ცდები დაკავშირებულია მასების ანტი-პარტიულ განწყობილებასთან და იმასთან, რომ მუშათა მასებს ეშინიათ გამოამჟღავნონ პირთა და დაწესებულებათა შეცდომები.

4) თვითკრიტიკის ირგვლივ სუსტი ხელმძღვანელობა ეწევა მასების ორგანიზაციას პარტიულ ორგანოების (უჯრედების, კომიტეტების) მხრივ. ხშირად არავითარი ხელმძღვანელობა არ არის.

5) თვითკრიტიკის ძირითად დეფექტს წარმოადგენს მისი ჯერ კიდევ სუსტი შედეგები. მუშებისა და მუშა-ქალების წინადადებები და მათი მითითებანი დეფექტებზე ხშირად ეჯახებიან სამეურნეო და მართველი აპარატების და მათი ხელმძღვანელების ბიუროკრატიულ განწყობილებას. საწარმოო კომისიების და თათბირების წინადადებებს საკონტროლო კომისიების მუშაობის შედეგების შესახებ წარმოებებში და კედლის გაზეთების მამხილებელ მუშაობას ხშირად არა აქვს მიქცეული სათანადო ყურადღება, რაც იწვევს მასების აქტივობის შესუსტებას და კრიტიკის უშინაარსო სიტყვებად გადაქცევის შესაძლებლობას.

6) პროფკავშირების მუშაობაში ჯერ კიდევ არ მიუღია სათანადო განვითარება დირექტივას, თვითკრიტიკის საფუძველზე მასების ორგანიზაციის გაძლიერების შესახებ დეფექტებთან საბრძოლველად სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებში, პროფკავშირებში და წარმოებებში. კერძოდ, საკონტროლო კომისიების ორგანიზაცია წარმოებებში სწარმოებს ნელი ტემპით და უკვე არსებულ საკონტროლო კომისიების მიმართ პროფკავშირები არ იჩენენ მუდმივ ხელმძღვანელობას. სუსტად სწარმოებს მუშათა მასების ჩაბმა საწარმოო თათბირების მუშაობაში და სათანადოდ არ არის დაყენებული მეთვალყურეობა ცალკე მუშების, საწარმოო თათბირების, ეკონომკომისიების და სხვა წინადადებათა შესრულების საქმეში.

7) პრესა დიდ დადებით მუშაობას ატარებს დეფექტებთან ბრძოლის საქმეში. ამ უკანასკნელ თვეებში, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით, გაძლიერდა მუშათა კორესპონდენციების დენა გაზეთებში. მაგრამ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ადგილობრივ ორგანოთა ცდებს შეასუსტონ პრესის როლი თვითკრიტიკის განვითარების საქმეში და დააწესონ წინასწარი კონტროლი პრესის მამხილებელი მუშაობისათვის ხშირია შემთხვევები პრესის მუშაკებთან ანგარიშის გასწორებისა. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები ხშირად უყურადღებოდ ექცევიან კედლის გაზეთებში მოთავსებულ კრიტიკულ შენიშვნებს; ამავე დროს ადგილი აქვს მუშათა კორესპონდენტების აშკარა ან ფარულ დევნას.

ამასთან ერთად პრაქტიკულ მუშაობაშიც და პრესაშიც ხშირია დაუშვებელი გადამახინჯება: სენსაციის სიყვარული, სამეურნეო და ადმინისტრატიული მუშაკების სახელის შელახვა უსაფუძვლოდ. შეუმოწმებლობა იმისა, თუ რა გაკეთებულა მუშკორების მამხილებელ შენიშვნების გამო, პრესაში მოთავსებული ფაქტების შემდგარი გაშუქებისა, და ისეთი წერილების უყურადღებოდ დატოვება, რომელნიც უსაფუძვლოდ აბრალებენ პრესას სისუსტეს სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ დადებითი ამოცანების ირგვლივ მასების შემოკრების საქმეში.

8) კომკავშირელთა ორგანიზაციებს, მიუხედავად კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წერილისა თვითკრიტიკის შესახებ, ჯერ ცოტა რამ გაუკეთებიათ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების დეფექტების კრიტიკის განსავითარებლად მუშათა ახალგაზრდობის რიგებში. კომკავშირელთა ინიციატივით დაწყებული კეთილი საქმე, რომელიც გამოიხატება სპეციალური რაზმების შექმნაში დეფექტების გამოსააშკარავებლად, ტარდება ორგანიზაციების მეტად მცირე რიცხვში.

შემოქმედებითი თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის პარტიის რიგებში და პროლეტარულ მასებში, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი საჭიროდ სცნობს შემდეგ ღონისძიებათა გატარება:

1) საკონტროლო კომისიის ორგანოებმა უნდა აწარმოონ პარტიული და პროფესიონალური დემოკრატიის პრინციპების განხორციელების სისტემატიური შემოწმება.

2) სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომელნიც სდევნიან ან აძლევენ სხვებს საშუალებას სდევნონ თვითკრიტიკისათვის მუშები, მუშა-ქალები, მუშკორები და საწარმოო თათბირების და საკონტროლო კომისიების მუშაკები.

ადგილიდან მოხსნით და სასტიკ პასუხისგებაში მიცემით მკაცრად ებრძოლონ იმ მუშაკებს, ვინც არ აქცევს სათანადო ყურადღებას მუშების, მუშა-ქალების და მოსამსახურეთა წინადადებებს, რომელნიც მიმართულნი არიან წარმოების გაუმჯობესებისაკენ, ან აჭიანურებს ასეთ წინადადებათა ცხოვრებაში გატარებას.

3) საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი, იღებს რა მხედველობაში რომ ჯერ კიდევ აქვს ადგილი აშკარა და ფარული დევნის შემთხვევებს არა სასურველ კრიტიკისათვის, რომ კრიტიკით გამოსულ მუშებს უწოდებენ „კინკლაობისა“ და „აყალმაყალის“ ამტეხის სახელს, აგრეთვე მოთხოვნილებებს იმის შესახებ, რომ კრიტიკა დადასტურებულ იქნეს მთელი 100 პროცენტით,—წინადადებას აძლევს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საკონტროლო კომისიებს გააძლიერონ ბრძოლა ასეთ მოვლენებთან და უზრუნველჰყონ ყოველი მუშისა და მუშა-ქალისათვის კრიტიკის გაწევის შესაძლებლობა საწარმოში და საბჭოთა, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა ორგანიზაციათა მთელ სისტემაში.

4) აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმის შემოწმებას, თუ რამდენად არის აცილებული პრესის მიერ გამოაშკარავებული დეფექტები, ამასთანავე ასეთი შემოწმება უნდა სწარმოებდეს არა მარტო მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების საშუალებით, რომლებიც ვერ შესძლებენ ყველა შენიშვნის გამოკვლევას, არამედ წარმოების საწარმოო თათბირებისა და საკონტროლო კომისიების, მუშა-ახალგაზრდობის „მსუბუქი არტილერიის“, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების და საბჭოების საშუალებითაც. აუცილებელია რეგულიარულად გაიმართოს გაზეთების თათბირები მუშკორებთან და წარმოების კედლის გაზეთების მუშაკებთან იმ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომელთა საშუალებით აცილებულ უნდა იქნას (გამოტოვებულია).

დაწესებულებათა და წარმოებათა ხელმძღვანელნი ვალდებულნი არიან თავის დროზე მიიღონ ზომები პრესის მიერ გამოაშკარავებული დეფექტების გამოსარკვევად და ასაცილებლად და შედეგები აცნობონ გაზეთების რედაქციებს. ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული იმის წინააღმდეგ, რომ მეურნეობის ხელმძღვანელთა და ადმინისტრატორთა პასუხი პრესაში გამოქვეყნებულ მამხილებელ წერილზე არ შეიცავდეს სიყალბეს და სიძნელეების მიფუჩეჩებას, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია, რომ იმ შემთხვევაში, როცა დაშვებულია შეცდომები, პრესაში არა სწორი ფაქტების და შემცდარი შენიშვნების მოთავსების მხრივ, დაიბეჭდოს შეცდომების უარყოფა.

გაძლიერდეს ჩვენი მშენებლობის დადებითი ფაქტების გაშუქება, მაგრამ ამასთანავე ეს მუშაობა არ უნდა იყოს გამოყოფილი სპეციალურად და არ უნდა იქნას განცალკევებული [illegible]ილებათაგან, ჩვენი მშენებლობის დადებითი მხარეების გაშუქების დროს მიღწევათა შეფასებაში განდევნილ უნდა იქნას უნიადაგო ოპტიმიზმი.

ამასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს დადებითი ფაქტების ზედმიწევნით შერჩევას, გამოყოფილ იქნას სანიმუშო მაგალითები და ამ მაგალითების მიხედვით უნდა იქნას დახაბუთებული, თუ როგორი გზით შეიძლება ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება და წინსვლა.

5) პლენუმი აღნიშნავს რა „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცლების“ მნიშვნელობას, აუცილებლად სცნობს, რომ მიღწეულ იქნას საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფაქტიური მონაწილეობა ამ „ფურცლების“ ხელმძღვანელობაში, რისთვისაც საჭიროა მის რედაქტორებად დაინიშნონ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი.

6) თვითკრიტიკის ერთ-ერთი არსებითი ნაკლი თვით მუშათა წრეში არის ის, რომ იგი მიმართული არ არის იმ დეფექტების წინააღმდეგ, რომლებსაც ადგილი აქვს მუშათა საწარმოო ყოფა-ცხოვრებაში. საკმაოდ არ ტარდება ცხოვრებაში ბრძოლა შრომის დისციპლინის დარღვევასთან, ლოთობასთან, შრომის ნაყოფიერების დაცემასთან, სამუშაოს გაცდენასთან, უგულო მუშაობასთან და მანქანებისა და ინსტრუმენტებისადმი დაუდევარ მოპყრობასთან. თვითკრიტიკა თვით მუშათა წრეში მიმართული უნდა იყოს ამ დეფექტების აცილებისაკენ. თვითკრიტიკის გაძლიერება და განვითარება ფართო პროლეტარულ მასებში ხელს შეუწყობს მასების აქტივობის ზრდას, სოციალისტური მეურნეობის აღორძინებას და შრომის ნაყოფიერების აწევას.

7) წარმოებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები არა თუ განზე არ უნდა გაუდგნენ თვითკრიტიკას, არამედ ყოველგვარი საშუალებით უნდა ცდილობდნენ შეამსუბუქონ მუშათა მასების ბრძოლა წარმოებაში შემჩნეულ დეფექტებთან, რეგულიარულად წარუდგინონ მუშებს ანგარიში წარმოებათა საწარმოო და საკონტროლო კომისიების წინადადებათა გატარების შესახებ, თავის დროზე განუმარტონ მუშებს ამა თუ იმ წინადადებათა შეუსრულებლობის მიზეზები და მუშათა ორგანიზაციებთან ერთად (წარმოებათა საწარმოო და საკონტროლო კომისიები, და დაწესებულებათა ეკონომკომისიები) დასახონ ზომები წარმოების და აპარატის გასაუმჯობესებლად და დეფექტების თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია პერიოდულად მუშათა ორგანიზაციების დახმარებით მოეწყოს მუშათა წინადადებების შესრულების გეგმიანი შემოწმება და გამოაშკარავებულ იქნას მუშათა წინადადებების შედეგები.

8) კომკავშირმა მიზნად უნდა დაისახოს, რომ მუშა-ახალგაზრდობამ ყოველ ფაბრიკაში, ქარხანასა და დაწესებულებაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა მუშათა ყველა ორგანიზაციის (საწარმოო კომისიები, თათბირები, საკონტროლო კომისიები და ეკონომკომისიები) მუშაობაში, გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადოს დეფექტებს თავის საკუთარ რიგებში: შრომის დისციპლინის დარღვევას, ლოთობას და სიმახინჯეს ყოფა-ცხოვრებაში; ამასთან ერთად ცოტა ოდნავ მაინც დიდ წარმოებებში უნდა მოეწყოს „მუშათა და გლეხთა ინსპექციის მსუბუქი კავალერიის“ რაზმები.

საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მუდმივი კავშირი უნდა დაამყაროს „მსუბუქი კავალერიის“ რაზმებთან.

9) თვითკრიტიკამ სოფლად გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს პარტიის კლასობრივი ხაზის დამახინჯებასთან ბრძოლაში, თვითკრიტიკამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს აგრეთვე იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ კომუნისტები არ დაუკავშირდნენ კულაკურ და უცხო ელემენტებს. თვითკრიტიკა უნდა დაეხმაროს პარტიას იმაში, რომ მან განამტკიცოს მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო მასების ხელმძღვანელობა, გააძლიეროს მათი ჩაბმა იმ ბრძოლაში, რომელიც სოფლად სწარმოებს კულაკების გავლენის, ქვედა საფეხურის აპარატის დეფექტების და პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრივ საბჭოთა კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ. პარტკომიტეტებმა ამ მიზნით უნდა გააძლიერონ სასოფლო პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

10) საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა როგორც „გეგმიანი“, ისე გეგმის გარეშე გამოკვლევათა ჩატარების დროს აუცილებლად უნდა ჩაატარონ მუშაობა სახელმწიფო სამეურნეო აპარატის მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, ამასთანავე ამ მუშაობაში უნდა ჩააბან პროფკავშირები და დახმარება გაუწიონ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებს ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშების დაწინაურების საქმეში.

11) აუცილებელია, რომ პროფკავშირებმა და სამეურნეო მუშაკებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სპეციალისტებისა და ტექნიკოსების (განსაკუთრებით ახალგაზრდა სპეციალისტების) აქტიურ მონაწილეობას წარმოების დეფექტების გამოაშკარავების საქმეში მათი თავიდან აცილების მიზნით.

12) ცდა წარმოებათა და დაწესებულებათა მოხალისე მუშებისა და მოსამსახურეების მასაზიდათ მთელ რიგ ქალაქებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მშრომელთაგან მიღებული საჩივრების გამოკვლევისა და შემოწმებისათვის—უნდა გავრცელდეს ყველგან, ამასთანავე ამ მოხალისეების შემადგენლობა დადასტურებულ უნდა იქნას მუშათა კრებებზე.

13) თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარების შემოწმებამ ბევრ შემთხვევაში გამოააშკარავა საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სუსტი მონაწილეობა ამ საქმეში. ამასთან ერთად საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის (რომელნიც ახორციელებენ ბრძოლას სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის დეფექტებთან) მდგომარეობის თავისებურება ზოგჯერ აძნელებს თვით საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების დეფექტებისა და შეცდომების თავის დროზე გამოაშკარავებას და თავიდან აცილებას. ამიტომ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის სწორად დაყენების ძირითადი ნიშანი უნდა იყოს მათ მიერ საკუთარი დეფექტების სწრაფად აცილება, მტკიცედ დაყრდნობა მუშათა მასებზე და ამ მასების ჩაბმა საკონტროლო-შემამოწმებელ მუშაობაში. ამ მიზნით საჭიროა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამყარონ მუდმივი კავშირი წარმოებათა საკონტროლო კომისიებთან და საწარმოო თათბირებთან.

14) საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი ავალებს ყველა ადგილობრივ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას სისტემატიურად შეამოწმონ პარტიის ცეკას დირექტივის (1928 წ. 3 ივნისის თარიღით) ცხოვრებაში გატარება. (ადს).

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე

ზეიმი მოსკოვში

მოსკოვი, 3 სექტემბერი. 2 სექტემბერს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, დილის 11 საათზე ახალგაზრდობის მწყობრმა რიგებმა თავი მოიყარეს წითელ მოედანზე.

პირველი მოვიდა კომკავშირელთა პოლკი, სამხედრო ლაშქრობის მონაწილეთაგან შემდგარი, თუნგსტურმის ახალ ფორმაში გამოწყობილი, თოფებით. კომკავშირლებმა ცერემონიალური მარშით გამოიარეს მავზოლეუმს. ტრიბუნები სავსე იყო ორივე კონგრესის დელეგატებით, რომელნიც ტაშის კვრითა და ლოზუნგებით მიესალმნენ კომკავშირელთა პოლკს. დემონსტრანტებს სიტყვებით მიესალმნენ ამხ.-ბი უგლანოვი, იაროსლავსკი, კაშენი, ბუდიონი, ხითაროვი; მილჩაკოვი და სხვა.

კომკავშირელთა პოლკს მისდევენ ფაბრიკა-ქარხნების უჯრედები. ლოზუნგები უმთავრესად ეხებოდნენ კულტურულ რევოლიუციას. დემონსტრაცია დამთავრდა ნაშუადღევის პირველ საათზე.

საღამოს კულტურის ბაღში გაიმართა მასიური სეირნობა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მე-14 წლის თავის აღსანიშნავად. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საღამო სწვიმდა, ბაღი სავსე იყო ხალხით. მდინარე მოსკოვზე მოეწყვეს „საზღვაო ბრძოლა“ (ადს).

ახალგაზრდა გვარდიის დღესასწაულზე

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე წარმოიშვა როგორც პროტესტი ყაჩაღური ომის წინააღმდეგ. ამ დღესასწაულს მსოფლიო პროლეტარიატის ნორჩი თაობა ყოველთვის და ყოველგან მძლავრი დემონსტრაციების მოწყობით აღნიშნავდა.

თბილისის კომკავშირმა არ უღალატა განმტკიცებულ რევოლიუციონურ ტრადიციას. 2 სექტემბერს მან დიდ დემონსტრაცია-კარნავალი მოაწყო.

შუადღისთანავე ქალაქის ყველა რაიონიდან ცენტრისაკენ დაიძრნენ წითელ დროშებით კომკავშირელები და უპარტიო მუშა-ახალგაზრდობა,

დემონსტრანტების კოლონებს ჩირაღდნებს მოკავშირე რიგები ამშვენებდნენ. უცქერი

მთავარ სხელოსნოს კომკავშირელები

ამ ჩირაღდნებს, უცქერი სახეგაშლილ დემონსტრანტებს და რწმუნდები, რომ თვითეული მათგანი მზადაა ჩირაღდანივით აენთოს რევოლიუციის საქმისათვის.

რაიონები რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში ერთმანეთს უერთდებიან. იწყება დემონსტრაცია. პირველად მიდის ლენრაიონი, მას „26 კომუნარის“ რაიონი მიჰყვება, შემდეგ—ქალაქის რაიონი.

დემონსტრანტების ერთი ჯგუფი

საბარგო ავტომობილზე

დემონსტრაცია მიდის რუსთაველის პროსპექტით, რომელიც კაშკაშებს ჯერ ელექტრონის და შემდეგ ჩირაღდნების შუქზე. ცეცხლის აკიდოებით განსაკუთრებით მდიდრულად არის მორთული ა.ლ.კ.კ. ცენტრალური კომიტეტი.

თავისუფლების მოედანზე ქალაქის აღმასკომის წინ მოწყობილია ტრიბუნა, რომელზედაც ამხ. რუხაძე, ჯავახიძე, აზარაშვილი და სხვები მოსჩანან. მოედანი გაჭედილია ხალხით. მილიციას დიდი შრომა [illegible] იმისათვის, რომ დემონსტრაციას გზა გაუკაფოს.

ტრიბუნას უახლოვდება პირველი კოლონა—წითელ ყელსახვევიან პიონერთა რაზმი. „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის თავდაცვას“, „ჩვენი პიონერული სალამი ახალგაზრდობის მე-14 საერთაშორისო დღეს“, „გაუმარჯოს ბავშთა რევოლიუციონურ მოძრაობას“—ასეთია პიონერების პლაკატების წარწერა.

„გაუმარჯოს შეიარაღებულ კომკავშირს“, მოხატულია პლაკატი და მის ქვეშ კი მტკიცე ნაბიჯით მოდის ლენრაიონის შეიარაღებული მუშა-ახალგაზრდობა..

საერთო მხიარულების დროს არც კლასობრივი მტერი დავიწყებიათ. „ხუცები“ იერუსალიმში მიმავალ ქრისტეს მსგავსად შეუსვამთ სახედრებზე, „პოლიციელები“ „ლონე გამოლეულ“ ხელებით სასაცილოდ იქნევენ მათრახებს, მაგრამ მათი არავის ეშინია. იქ, საბარგო ავტომობილზე რამდენიმე ფრაკიანი პიროვნება გრძელ მაგიდას შემოსხდომია და მოთმინებით უსმენს ორატორის გაუთავებელ ახდა-უბდას—ეს სურათი ალბად მეორე ინტერნაციონალის კონგრესის ინსცენირებაა. აქ კი ცოცხალ-მკვდარი მეორე ინტერნაციონალი უკვე კუბოში ჩაუსვენებიათ და დასამარხავად მიაქვთ.

კარნავალი კოლონიალური ხალხთა ბრძოლის სურათებსაც იძლევა. აქა იქ მოსჩანან ფერად-კანიანთა ერთგვარ ტანსაცმელში ჩაცმული „წარმომადგენლები“ და მათი მჩაგვრელნი—„იმპერიალისტები“.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ავტომობილზე მოწყობილი სახრჩობელა, რომელზედაც რევოლიუციონერის გვამი ჰკიდია. აი, როგორ უმასპინძლდება ბურჟუაზია მებრძოლ პროლეტარებს. ჩვენი ახალგაზრდობა ამ სურათზე ბევრ რამეს ისწავლის.

კარნავალი თვალსაჩინოდ გამოხატავს ჩვენი მშენებლობის საქმეს: მოძრავი სამჭედლოთი „გრუზოვიკზე“. შენობა, რომელსაც დემონსტრაციის მსვლელობის დროს აგებენ და სხვა, სწორედ შეუდარებლად გადმოსცემს სოციალისტურ მეურნეობის განვითარების ტემპს.

კანდიდ.

სანიმუშო მასიური სანახაობა

პროლეტარული დღესასწაულის დედა აზრი, მისი შინაარსი გამომდინარეობს იმ მიზნებიდან, რომელთაც თავისი ბრძოლის დროს ისახავს ახალი კლასი; მაგრამ საქმე იმაშია, თუ როგორი ფორმა, გარეგნული გამოხატულება უნდა მიეცეს დღესასწაულის შინაარსს.

ძველი დღესასწაულების არც ერთი ფორმა არ ეგუება, არ შეეფერება ახალ დღესასწაულის შინაარსს.

ამიტომ არის, რომ ყველგან, როგორც გამარჯვებულ შრომის ქვეყანაში—საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთის მუშათა წრეებში, რამოდენიმე წელიწადია, სწარმოებს ძიება პროლეტარული დღესასწაულისათვის ახალი ფორმების გამოსანახავად.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ყოველი ჩვენი პროლეტარული დღესასწაული თავის გარეგნული გამოხატულების მხრით წარმოადგენდა ახალი ფორმების ძიებას, ამ უკანასკნელ წლების ცდებს შორის, საუკეთესო ცდას წარმოადგენს **გუშინწინ—ორ აგვისტოს მოწყობილი ახალგაზრდობის დღე.**

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ახალგაზრდობამ მიაგნო თავისი დღესასწაულის გარეგნულ ფორმას, რომელიც სავსებით შეესაბამება მის შინაარსს.

თუ წინანდელ სადღესასწაულო დემონსტრაციების დამახასიათებელი იყო ერთფეროვნება, გუშინწინდელი დღესასწაული ამ ნაკლისაგან შორს იდგა. წინად სჭარბობდა მშრალი პლაკატები და ლოზუნგები, გრძელი ზოგჯერ მომაბეზრებელი სიტყვები, რომელიც ღლავდა მაყურებლის თვალსა და ყურს.

გუშინწინდელ დღესასწაულზე ეს არ ითქმის. გუშინწინ აღსანიშნავი იყო სწორედ ის, რომ ყოველ ლოზუნგს თან სდევდა მისი მხატვრული განსახიერება.

პლაკატებიც რომ არ ყოფილიყო, არ იყო საჭირო მაინცა და მაინც დაკვირვებული თვალი რომ მიმხვდარიყავი, არა მარტო იმას, თუ რა ამოძრავებდა ახალგაზრდობის აზვირთებულ ზღვას საერთოდ, არამედ იმასაც, თუ როგორია დღეს მისი საჭირბოროტო ყოველდღიური საკითხები.

მიუხედავათ დღესასწაულის ასეთი „ყოველდღიურობისა“, ახალგაზრდობის გუშინწინდელი კარნავალი იყო მრავალფეროვანი და მხატვრული თვალსაზრისით ჩინებულად შესრულებული სანახაობა, რომელიც ხორცს ასხამდა პლაკატებზე წარწერილ ლოზუნგებს.

სახრჩობელაზე ჩამოკიდებული მებრძოლის ან კისერზე მუხრუჭ მოჭერებული ჩინელ მუშის ნახვის შემდეგ, ცხადია, მაყურებელში უფრო მეტ გამოხმაურებას პოულობდა, მაგალითად, ასეთი მოწოდება—„დავეხმაროთ კაპიტალისტის ტყვეობაში მყოფ რევოლიუციონერებს“, ან „სისხლისაგან დაცლილ ჩინელ ლატაკს“.

უფრო გასაგები გახდა გუშინწინდელი დღესასწაულის ერთ-ერთი ლოზუნგი—„მოახმარეთ ერთი თვის ხელფასი ინდუსტრიალიზაციის სესხს“! მაშინ, როდესაც ჩვენ დავინახეთ, თუ რას ხმარდება ჩვენ მიერ გაღებული კაპეიკები, როცა ჩვენ დავინახეთ,—ცეცხლისაგან გავარვარებულ გრდემლზე მომუშავე მუშა, რომელიც ჩვენ თვალწინ ქმნიდა იარაღს ინდუსტრიალიზაციისათვის, დავინახეთ მუშა-კალატოზი, რომელიც აგურზე აგურის დადებით ჩვენს თვალწინ აშენებდა სახლის თუ ქარხნის კედელს.

უკვე მშრალი ლოზუნგი არ იყო: „ძირს მოღალატე ინტერნაციონალი“, როცა ჩვენ მეორე ინტერნაციონალის ცნობილი ბელადები ვიხილეთ საერთო სუფრაზე პუანკარეებთან, ჩემბერლენებთან და მუსოლინებთან.

თითქმის არც ერთი მთავარი ლოზუნგი არ ყოფილა დატოვებული ისე, რომ მას თავის მხატვრული გაფორმება არ ჰქონოდა.

სამაგალითოდ იყო მოცემული ძველი ქვეყნის წარმომადგენელნი: ყველა ხალხების რელიგიური კულტის მსახურნი, ყოველი ქვეყნის ჟანდარმ-პოლიციელნი, ბურჟუები, კაპიტალისტურ ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწენი, ძველი რუსეთის მოხელენი, თეთრგვარდიელი გენერლები, ჩვენებური „კნიაზები“, მენშევიკები და სხვა.

განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა ნიღაბი, რომლებიც ზედმიწევნით სისწორით არის დაჭერილი ძველი ქვეყნის წარმომადგენელთა დამახასიათებელი ტიპიური თვისებები.

თვით კომკავშირელების თამაში იყო არტისტული, მათი მიხრა მოხრა, სიარული და თამაშის მანერა (გაზარებულ ფორმებში) რეალურად და სისწორით წარმოგვიდგენდა იმ პირებს, რომელთა როლსაც ისინი ასრულებდნენ.

ჩირაღდნების, მრავალი ორკესტრის გუგუნი, ფიზკულტურის რაზმები, ხალხური სიმღერები, კიდევ უფრო აძლიერებდნენ მხატვრულად მოწყობილ კარნავალის ემოციონალურ ზეგავლენას, რომელსაც ვერ აცდებოდა ვერც ერთი არა თუ ახალგაზრდა, არამედ მოზრდილი მუშაც, რომელიც 2 სექტ. ამ მშვენიერ სანახაობას, ამ ნამდვილ მუშურ ახალგაზრდობის დღესასწაულის მოწმე გახდა.

დალი.

პარტიული ცხოვრება

როგორ თავისუფლდება აჭარელი ქალი

ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთი მთავარ მონაპოვარს ქალის ჩაგვრა-მონობისაგან განთავისუფლება და მისი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა წარმოადგენს.

მართალია ყველაფერი, რაც ქალთა სრული განთავისუფლებისათვის არის საჭირო, ჯერ კიდევ არ გაკეთებულა, მაგრამ ის, რაც უკვე ხელთ გვაქვს, რაც უკვე გაკეთებულია, იმის უტყუარი თავდებია, რომ ახლო-მომავალში ძირ-ფესვიანად აღმოიფხვრება ქალთა ჩაგვრის ყოველგვარი ნაშთი.

კერძოდ, თუ ავიღებთ აჭარისტანს, უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დღემდე ძალიან ცოტა იყო გაკეთებული. ოქტომბრის მზის სხივმა, ჯერ კიდევ ვერ გაანათა აჭარელი ქალი. აჭარაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს აღმშენებლობის და კულტურული მუშაობის ფრონტზე, ხოლო ყოფა-ცხოვრების საკითხების და ძველი მავნებელი ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ ბრძოლაში კი მოვიკოჭლებდით.

დღეს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებასთან და აღმშენებლობის და კულტურის ფრონტზე მტკიცედ დაწყებულ მუშაობასთან ერთად, გადაუდებელ ამოცანად ჩადრის ახდის საკითხი შეიქნა. ამ საკითხის გადაჭრაზე დამოკიდებულია ყოფა-ცხოვრების ყველა სხვა საკითხების მოწესრიგება.

ჩადრი ქალს საშუალებას არ აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს განახლებულ აჭარისტანის აღმშენებლობის საქმეში და ისარგებლოს იმ კულტურული მიღწევებით, რომლებიც საბჭოთა აჭარისტანს ახასიათებს. ჩადრის ქვეშ მამას ნება ეძლევა თავისი ქალიშვილი ბავშობიდანვე მიყიდოს იმას, ვინც მას მეტ ფულს ან საქონელს მისცემს. ზოგჯერ ასეთი წესით გათხოვილი ქალი ვეღარ იტანს არასასურველი ქმრის ბატონობას და საქმე მკვლელობამდე მიდის, რაც თავის მხრივ სისხლის აღებას იწვევს. ერთი სიტყვით ჩადრის ქვეშ იფარება თითქმის ყველა ის უმსგავსოება და ბოროტმოქმედება, რომელიც აფერხებს საბჭოთა აჭარისტანის კულტურულ წინსვლას.

პარტიის და ხელისუფლების მთავარი ამოცანა იყო ამ ჩამორჩენილობისა და საბჭოთა კანონებით დაუშვებელ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა. ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა ჩვენს წინაშე. პარტიამ გარკვეულად გამოაცხადა: პირველ რიგში, ჩადრის ახსნის მაგალითის მაჩვენებელი კომუნისტი, კომკავშირელი და საბჭოთა მუშა-მოსამსახურე უნდა გახდესო.

აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა ეს საკითხი ორი თვის წინ დაამუშავა, რასაც საფუძვლად დაედო ამხ. მ. კახიანის მიერ ბათომის აქტივზე გაკეთებული მოხსენება ჩადრისა და რელიგიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების შესახებ.

ყველა მაზრებში ჩატარებული იქნა წინასწარი მუშაობა. აჭარელ ამხანაგებს გაეცნო პარტიის ამოცანები ამ საკითხში.

ჩადრის ახდის საკითხი, რომ თავის დრო[illegible] წამოყენებული, ამას მარტო ხულოს მაგალითი ამტკიცებს. ამ ჩამორჩენილმა ბათომიდან დაშორებულმა მაზრამ ყველაზე ადრე იკისრა ჩადრის ახდის ჩატარება. [illegible] რის ახდის საკითხის გადაჭრით [illegible] ხშირი იყო შემთხვევა, რომ ქალი, [illegible] საც მამა მისდა დაუკითხავად [illegible] სტოვებდა ძალად შერთულ ქმარს [illegible] შეყვარებულს მიჰყვებოდა. [illegible] ინსტიქტი სისხლით გამოაშკარავ[illegible] ბრძოლის კამპანიამ 15 დღის [illegible] ქმრის დატოვების შემთხვევებმა [illegible] იმატა. აჭარელმა ქალმა შეიგნ[illegible] განთავისუფლების საქმეს თვით[illegible] ჰკიდოს ხელი.

კამპანიის დაწყების მეორე [illegible] რომ გლეხობამ არც კი იცოდა [illegible] ზუნგი— „ძირს ჩადრი“, მაგ[illegible] ლება არ გა[illegible]. სამა[illegible]ლე აცნობეს სახალხო თემიდან, რომ იქ სამი უპარტიო ქალი უჩადროთ გამოცხადდა თემის ორგანოებში.

ეხლა უკვე შეიძლება ამ მუშაობის ზოგიერთი მიღწევებისა და უარყოფითი მხარეების აღრიცხვა. ხულოსა და ქედის მაზრებში პარტიის წევრებსა და აჭარელ მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ათეული უპარტიო გლეხებიც თავისი სურვილით გაყვნენ პარტიის ლოზუნგს და ქალთა საზეიმო [illegible] თავიანთ ცოლებს ჩადრი საჯაროდ ახადეს. ზოგიერთ სოფლებში საკუთარი ინიციატივით დაიწყეს ბრძოლა ჩადრის წინააღმდეგ.

ქობულეთის მაზრამ მოლოდინს გადააჭარბა. მიტინგზე 300—400 ქალი გამოცხადდა. პარტიულის და უპარტიოს ოჯახის წევრების გამოცნობა ძნელი იყო, ისე [illegible] უპარტიო მოსახლეობა პარტიის მუშაობას ჩადრის საწინააღმდეგო ბრძოლაში. როგორც ახალგაზრდა, ისე ხანში შესული ქალები[illegible] ტყვები მოწმობდნენ, რომ აჭარელი ქალის ჩადრიდან განთავისუფლება უზრუნველყოფილია. ასეთივე შედეგი მოჰყვა კამპანიამ ბათომის მაზრაში.

ამ მნიშვნელოვან გამოცდის ჩატარების დროს აშკარა გახდა, რომ აქა-იქ პარტორგანიზაციებში თურმე მერყევი ამხანაგებიც ყოფილა. ისინი ლაპარაკობენ ბევრს ლაპარაკობენ, საქმით კი უსუსურნი და გაუბედავნი არიან. საბედნიეროდ ასეთი ხალხი ჩვენს რიგებში ცოტაა.

დღეს მოსახლეობა ყველა ფენები გამოცოცხლებულია ამ საკითხით. თუ პარტია ღარიბ და საშუალო გლეხობასთან ერთად ჩადრის მოხსნას კულტურული რევოლიუციის ერთ-ერთ საკითხად სთვლის, საბჭოთა ხელისუფლების მტრები—კულაკობა და ხოჯები,—ამაში თავის აღსასრულის მოახლოვებას ხედავენ (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხოჯები ზოგან ცდილობენ გაატარონ ჩადრის ახდა, რათა მთლად არ დაკარგონ გავლენა მოსახლეობაში). ეს ნაძირალები ათასგვარ პროვოკაციას ავრცელებენ გლეხობაში, მაგრამ მათ ჭორებს ყოველგვარი საფუძველი შერყეული აქვს. გასულ წლებში ხოჯები ეუბნებოდნენ „თუ ჩადრი ან რელიგია აგვიკრძალეს, თურქეთში გადავსახლდებითო“, დღეს კი მათ ქემალის სასტიკი რეფორმების გამო თურქეთისაკენ გახედვაც ეშინიათ.

ამრიგად აჭარისტანის ორგანიზაციამ დაამტკიცა, რომ მან შეიგნო ქალთა განთავისუფლების დიადი მნიშვნელობა. მიღებული ფაქტები მოწმობს, რომ უპარტიო გლეხობა მთლიანად განახორციელებს პარტიის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს, ჩვენ ახლო მომავალში ვნახავთ, არა მარტო ჩადრის მონობიდან განთავისუფლებულ აჭარელ ქალს, არამედ რელიგიის საფუძვლების შერყევასაც. რელიგია კი მთავარი მტერია ჩვენი საქმიანობის.

საჭიროა არსებულ მიღწევებთა განმტკიცება და გაღრმავება, აგიტაცია-პროპაგანდის წარმოება მოსახლეობაში, კიდევ მეტი ენერგიული და შეუბრალებელი ბრძოლა ყველა მავნე და ამ დიად საქმეში ხელის შემშლელ ელემენტების წინააღმდეგ.

მ. ქილაძე.

ქალთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად

ქალთა შორის მუშაობის გამოცოცხლების მიზნით, ლენრაიონის ქალთა განყოფილებამ მოისმინა საუკეთო ქალ-ორგანიზატორების ანგარიშები.

როგორც გაირკვა, ქალთა შორის მუშაობას მრავალი დეფექტი ახასიათებს. წარმოებებში: ქალ-აქტივის უყოლობა, მუშა-ქალების სუსტი დაწინაურება საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, ქალთა სუსტი მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობაში და სხვ.

ქალთა განყოფილებამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი და დაუგზავნა თბილისის დეპოს, რკ. გზის მთავარ სახელოსნოებს, რკ. გზის სამმართველოს, რკ. გზის საავადმყოფოს და სხვ. ქალ-კომისიებს. ღონისძიებების მიხედვით საჭიროა პარტ-უჯრედთა ხელმძღვანელობის გაძლიერება ქალთა შორის მუშაობის დარგში. 3 თვეში ერთხელ [illegible] პარტუჯრედებმა უნდა მოისმინონ ქალ-კომისიის და ქალ-ორგანიზატორების ანგარიშები; უჯრედებმა უნდა აწარმოონ ქალთა აქტივობის აღრიცხვა და დააწინაურონ ისინი საბჭოთა დაწესებულებებში. გამორკვეულ უნდა იქნეს ქალთა მონაწილეობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში, დელეგატ-ქალებმა თავის მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა ჩააბარონ აქტივის და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებს; რკ. გზის მთავარ სახელოსნოებში და დეპოში უნდა ჩატარდეს ჯავშნით მიღებულ ქალიშვილთა მუშაობის შემოწმება მათი კვალიფიკაციის აწევის მიზნით.

ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყოფა-ცხოვრების საკითხების დასმას ქალთა კრებებზე. (ჭორწინება, ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა და სხვ.). მუშა-ქალებში უნდა გაღრმავდეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას პარტუჯრედები და ქალთა კომისიები უკვე შეუდგნენ.

ჯ—ლი.

ქუთაისის სამაზრკომში

პრეზიდიუმის დადგენილებით სამაზრკომში საღამოობით მუშაობა შემოიღეს. საღამოობით მუშაობა სწარმოებს კვირაში 3 დღეს. ამ დღეებში დღისით მუშაობა 10-დან 2 საათამდე გრძელდება.

პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად გაუქმებულია აგრეთვე უჯრედებისა და ბიუროების ოქმების გადმოგზავნა სამაზრკომში. უჯრედი სამაზრკომში მხოლოდ იმ დადგენილებების ამონაწერს გზავნის, რომელიც სამაზრკომთან უნდა იქნეს შეთანხმებული. უჯრედების მუშაობის გამოკვლევა კი ხდება გამოყოფილ მოხალისე ინსტრუქტორების საშუალებით.

ასეთი წესის შემოღებას კარგი შედეგი უნდა მოჰყვეს. უჯრედებიდან ოქმის გზავნა იწვევდა ზედმეტ ხარჯებს, საქმის გაჭიანურებას და ზედმეტ დატვირთვას—ვინაიდან ორგანიზაციაში 86 უჯრედი ირიცხება, საიდანაც მაზრკომში 172 ოქმი ერთად მოდიოდა. ოქმების წაკითხვაც კი ძნელი იყო, არამც თუ გარჩევა და დამუშავება.

საღამოს მუშაობა კი იმით არის მიზანშეწონილი, რომ წინად მაზრკომს უჯრედთან ცოცხალი კავშირის დაჭერის საშუალება არ ჰქონდა. ძნელი იყო უჯრედთა მდივნების თათბირის მოწვევა, რადგან მდივნები თავის მუშაობას მოსწყდებოდნენ და ამით წარმოება-დაწესებულებებს ზიანი მიადგებოდა.

ამჟამად კი სამაზრკომს შეუძლია მდივნების თათბირი ხშირად მოიწვიოს. ამას გარდა პარტიის ყველა წევრს საშუალება აქვს საღამოობით მოვიდეს პარტკომში და ყოველი საჭირბოროტო საკითხი სიტყვიერად შეუთანხმოს ხელმძღვანელ ამხანაგებს, მიიღოს მისთვის საჭირო ცნობები, ახსნა-განმარტება და სხვა.

ს. მესხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

აგრონომიული დახმარების საქმე

სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის აგრონომიული დახმარების საქმის მოწყობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს განსაკუთრებით საქართველოს დღეს, როდესაც ხელისუფლების მთავარ ამოცანას შეადგენს სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნა.

მიწების კულტურულად დამუშავებისათვის, ბაღ-ვენახების შესაფერისად მოვლა-პატრონობა, მოსავლის ნაყოფიერების გადიდება, გლეხობისათვის რჩევა-დარიგების მიცემა,—ყველაფერი ეს დამოკიდებულია სოფლად მომუშავე აგრონომიული ცოდნით აღჭურვილ პირებზე, ისინი უნდა იყვნენ ამ საქმეში გლეხობისათვის გზის მანათობელნი.

ჩვენში ჯერ კიდევ სავსებით არ არის მოწესრიგებული აგრონომიული დახმარების საქმე. თვითეულ აგრონომს ხშირად ისეთი დიდი რაიონი აბარია მოსავლელად, რომ ის ვერ სწვდება ამ სამუშაოს. აგრო-დახმარების საქმეს აფერხებს აგრეთვე აგრონომების სიმცირეც. თვითმპყრობელობის დროინდელი სკოლა ზრდიდა არა აგრონომებს, არამედ ჩინოვნიკებს, კანცელარიის მოხელეებს.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრონომების აღზრდის საქმეს. ახლო მომავალში ჩვენ საკმაოდ გვეყოლება ასეთი ძალები. მაგრამ რომლებიც გვყავს ამჟამად, მათი მოვალეობაა ენერგიულად ჩაებან სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში, ხელი შეუწყონ საბჭოთა ხელისუფლების დასახული ამოცანების განხორციელებას.

აქვს თუ არა ყველა აგრონომს შეგნებული ეს აშკარა ჭეშმარიტება? სამწუხაროდ არა. მათში არიან ისეთებიც, რომლებიც ზერელედ უცქერიან დაკისრებულ მოვალეობას, მხოლოდ ფორმალურად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას.

ერთი ასეთი აგრონომის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვათავსებთ წერილს დ. აბაშიდან. აქ რაიონის აგრონომი ნარდის თამაშს უფრო ეტრფის, ვინემ გლეხობისათვის აგრონომიული დახმარების გაწევის საქმეს.

რა თქმა უნდა, ეს რომ პირველი შემთხვევა იყოს და მხოლოდ აბაშის რაიონს ეხებოდეს, კიდევ არ იქნებოდა დიდი უბედურება, მაგრამ ასეთ მოვლენებს სხვა რაიონშიაც აქვს ადგილი.

სამაზრო აღმასკომებისა და პირველ რიგში კი მიწათმოქმედების განყოფილების მოვალეობაა მტკიცე ხელმძღვანელობა გაუწიოს სოფლად მომუშავე აგრონომებს. ისედაც მცირერიცხოვან საგრონომო ძალების მიზანშეწონილად გამოყენებას გადაუდებელ აუცილებლობა მოითხოვს.

სოფლელი.

ყოფილი აზნაური „კვაჭის" როლში.

დ. მესტია, ზემო-სვანეთი

11 აგვისტოს მესტიაში გამართა გრანდიოზული საღამო სტ. აკაკი ჯაფარიძის სასარგებლოდ. ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველს გავაცნობთ ამ საღამოს გამართვის მოკლე ისტორიას და თვით ჯაფარიძე-კვაჭის პიროვნებას. ეს ვაჟბატონი, როგორც კი ჩამოვიდა მაზრაში მეორე დღესვე მოითხოვა დროებითი ადგილი, რომ ზაფხულის განმავლობაში სტიპენდია ხელუხლებლად შეენახა. თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა და შემდეგ იფიქრა: ცოტა არტისტული ნიჭი ქვ მაქვს, მოდი საღამოს გავმართავ ჩემ სასარგებლოდ და მოზრდილ თანხას შევაგროვებო. თავისი ძმა-ბიძების დახმარებით ასეთი საღამო მართლაც მოაწყო და ორას მანეთამდე ფული ჩაიგდო.

ეხლა საინტერესოა გავიგოთ, მართლა ღარიბი სტუდენტია აკაკი ჯაფარიძე, თუ კარგად შეძლებულ ყოფილ აზნაურის (ამჟამად კულაკის) შვილი? მისმა მშობლებმა ამას წინად ააგეს ევროპიულ სტილზე ერთსართულიანი სახლი, რომელიც გაქირავებული აქვთ. ბლომად ჰყავთ ცხენები და ფეხით სიარულს არ კადრულობენ. თვით აკაკი ჯაფარიძე საუცხოვოთ ჩაცმულია. საცხოვრებელი სახლი მდიდრულად აქვთ მორთული.

მართლაც ღარიბი მოსწავლე სვანეთის მაზრას ბევრი ჰყავს, მაგრამ მათი დახმარებისათვის დიდად არავინ იწუხებს თავს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯაფარიძეს სულ არ ეკუთვნის სტიპენდია და თავის სასარგებლოდ საღამოს გამართვის უფლებაც არ უნდა მიეცათ. ამისათვის ამ შემთხვევაში საყურადღებოა მესტიაში არსებული კულტსექცია. ღრმა კვლევის მოღვაწეობას სოფლად ბოლო მოეღოს და აკაკი ჯაფარიძეს მოეხსნას უნივერსიტეტში სტიპენდია. ამ საკითხის მოგვარება სვანეთის მაზრის განათლების განყოფილების მოვალეობას შეადგენს.

ხ. ხეტიშვილი.

ნარდის მოთამაშე აგრონომი

დ. აბაშა, სენაკის მაზრა

აბაშის რაიონის გლეხობა დიდი ხნიდან იყო მოწყურებული, რომ მიეღო აგრონომიული დახმარება. სამაზრო მიწათმოქმედების განყოფილებაც აქცევდა ასეთ მდგომარეობას ყურადღებას და გასულ წელს სხვადასხვა დროს დ. აბაშაში გამოგზავნა ორი აგრონომი, მაგრამ ორივენი უცოდინარი გამოდგნენ.

მიმდინარე წლის აპრილში აბაშის აღმასკომის მოთხოვნით რაიონში სამუშაოდ გამოგზავნეს აგრონომი დავით ხელიძე. აბაშის აღმასკომი და გლეხობა დიდ იმედებს ამყარებდა ახალ აგრონომზე, გვეგონა, აგრონომი დახმარებას გაგვიწევს და მეურნეობაც წინ წაიწევსო, ამბობდენ გლეხები. მაგრამ იმედი ნაადრევი შეიქნა. უკვე ხუთი თვე გათავდა, რაც „დავით პავლოვიჩი" (ასე ეძახიან აბაშის ქალიშვილები მას), მოევლინა აბაშის გლეხობას, მაგრამ როგორც მოსკოვიდან ჩამოსულ აგრონომს არ უნახავს აბაში, ისე ხელიძეს არ უნახავს არც ერთი გლეხის მეურნეობა. გლეხობამაც არ იცის ჰყავს თუ არა მას აგრონომი.

როგორც ვიცით აგრონომი მოწოდებულია იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს გლეხობას, მისცეს ახსნა-განმარტება, რომ კულტურულად წარმართოს თავისი მეურნეობა.

ჩვენი აგრონომი გლეხობაში ახსნა-განმარტების მაგივრად, ზის ლატარიის სახლის აივანზე და ნარდის კამათლებს აგორებს დილიდან საღამომდის. რასაკვირველია მუდამ ნარდის თამაში მოსაწყენია, სამაგიეროდ ლატარიის სახლში გროვდება აბაშის რიცხვი მორიგე ქალიშვილებისა, რომლებიც ართობენ უსაქმოდ დარჩენილ პენსიონერ აგრონომს. კარგი ფულია თვეში 130 მანეთი. ხელი ქვს რა ენაღვლება. იკითხოს ჩვენმა გლეხობამ და სახელმწიფო სალარომ, რომელიც უსაქმოდ მყოფ აგრონომს აძლევს თვიურად 130 მანეთს.

თემაღმასკომი ამჩნევს აგრონომის უსაქმურობას. ხშირად გაიგონებთ აღმასკომის თავმჯდომარისაგან: რას აკეთებს ნეტავი ჩვენი აგრონომი, რომ ტყვილად მიაქვს ჯამაგირიო მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა ისეთი ხორცმეტები, რომლებიც მოწოდებულნი არიან იმუშაონ გლეხობაში და ისინი მუშაობის მაგივრად ნარდის თამაშში და ქალებთან ლაზღანდარობაში ატარებენ, თავიდან მოვაცილოთ გლეხობას.

დღეს აბაშის რაიონის გლეხობას თამამად შეუძლია სთქვას, რომ მას არა ჰყავს აგრონომი, თუმცა სახელმწიფოს მიერ ამისათვის როგორც ვსთქვით გაღებულია საკმაო თანხა.

ჩვენ ველით პასუხს. სიტყვა მაზრის მიწათმოქმედების განყოფილებას ეკუთვნის.

გლეხი.

მიკრუშია თუ დალალი?

გამოჩინებულის თემი, ქუთ. მაზრა.

საბჭოთა კანონმდებლობით მიწების ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აკრძალულია, მაგრამ ამ ბოროტებას ზოგან ხელს უწყობენ თვით მიწის კომისიის წევრები. გამოჩინებულის თემის მიწკომის თავმჯდომარე ალექსანდრე ნიკოლეიშვილს თავისებური კანონი აქვს გამოგონებული. ის პირი, რომელიც მისი გარიგებით იყიდის მიწას, მასზე არ ვრცელდება არსებული მიწის კანონი.

აი ამის ერთი მაგალითიც: ისაკი შანიძისაგან სამოსახლო მიწა იყიდა ივანე მახარაძემ. ამ ფაქტმა გლეხობაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია და ეს აცნობეს ნიკოლეიშვილს, მაგრამ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ მიწის ეს ნაკვეთი ნაყიდი კი არა აქვს მახარაძეს, არამედ მიცემულიო. თუ ეს ასეა, საჭიროა გამოირკვეს ნიკოლეიშვილი ღარიბ გლეხს აძლევს მიწას თუ ვაჭარს და კულაკს?

გორმალელი.

წერილებიდან

ს. კახათი, (ზუგდიდის მაზრა). კარგა ხანია რაც კახათის 7 წლიანი შრომის სკოლა ბინის უქონლობის გამო უმწეო მდგომარეობაშია ამ გარემოებას თემაღმასკომმა ჯერ კიდევ 1926 წელში მიაქცია ყურადღება და დაიწყო ერთსართულიანი აგურის შენობის აგება, მაგრამ მის დამთავრებას დღემდისაც არაფერი ეშველა. ნეტავი როდის ვეღირსებით სკოლის შენობის დამთავრებას?

ფორი.

განმარტა

გაზ. „კომუნისტი"-ს № 155-ში მოთავსებული კორესპონდენცია სათაურით: „ყველაფერი რიგზეა საგარეჯოს ცხრაწლედში", არ ეკუთვნის ამხ. გალ. დოლიძეს.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

მეტრიული რეფორმა

ა. კ. სახკომსაბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება მეტრიული რეფორმის გატარებლად შესრულებულ მუშაობის შესახებ. სახკომსაბჭოს და უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველობის წინადადება მიეცა არ მიიღოს განსახილველად ისეთი საკითხები, რომლებშიაც ზომა და წონა გამოანგარიშებული იქნება ძველი სისტემით.

დავალიანების დაფარვა

ა. კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ფოსტა-ტელეგრაფის ა. კ. ოლქის სამმართველოს წარუდგინოს ა. კ. ფინსახკომს სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ იმ დაწესებულებათა სია, რომლებზედაც ითვლება დავალიანება ტელეფონით სარგებლობისათვის 1926—27 და 1927—28 წლებში. ა. კ. ფინსახკომმა ორი კვირის განმავლობაში უნდა დაუჭიროს აქ დაწესებულებებს კრედიტებიდან მთელი დავალიანება.

გლეხთა ანაბარების საიდუმლოთ დაცვა

ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა შეიტანოს სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების წესდებაში დამატება, რომლის თანახმად ამხანაგობების მმართველ ორგანოების წევრები ყველა თანამშრომლები. და აგრეთვე ის პირები, რომლებიც რევიზიას და გამოკვლევას ახდენენ, ვალდებული არიან საიდუმლოთ შეინახონ მათთვის ჩაბარებული საქმეები და ანგარიშები. ყოველგვარი ცნობები კლიენტების ანაბარების და ოპერაციების შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ თვითონ კლიენტებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს, და აგრეთვე სამოსამართლო-საგამომძიებლო ორგანოებს მომქმედ კანონთა სისწორით დაცვით. არც ერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის საგადასახადო ინსპექციასაც, არ აქვს უფლება მოითხოვოს ცნობები. ის პირები, რომლებიც დაარღვევენ ამ წესებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული. ანაბარების ჩამორთმევა ან მათზე რაიმე გადასახდელის დაწესება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს და სამოსამართლო-საგამომძიებლო ორგანოების დადგენილებით.

დასასვენებელი სახლები

1928 წლის ზაფხულზე

საქართველოს პროფსაბჭომ ჯამი გაუკეთა დასასვენებელი სახლის მუშაობის მიმდინარე წლის ზაფხულზე, ე. ი. 1-ლი ივნისიდან 15 აგვისტომდე.

წელს საქართველოში მუშაობს 5 დასასვენებელი სახლი: წაღვერში, სურამში, ქობულეთში, წყალტუბოში და ბორჯომ-პლატოზე.

ყველა ამ დასასვენებელ სახლებში მათი მუშაობის სამი თვის განმავლობაში (ივნისი, ივლისი, აგვისტო) გაიარა 8.827 კაცმა; აქედან წაღვერის სახლში გაიარა 2.233 კაცმა, წყალტუბოში—667, ქობულეთში—812, სურამში—810 და ბორჯომ-პლატოზე—305.

ბორჯომის ნახევრად სანატორიუმში გატარებული იქნა 119 კაცი.

დასასვენებელი სახლები საქართველოში იმუშავებენ 15 ოქტომბრამდე.

ნათესების კონტრაქტაცია

1928—29 წლისათვის

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა, ამიერ-კავკასიისათვის 1928—29 წლის ნათესების კონტრაქტაცია 50.000 ჰექტარით განსაზღვრა.

კონტრაქტაციის აღნიშნული სივრცე შემდეგ ნაირად განაწილდა: აზერბეიჯანში დაითესება 10.000 ჰექტარი ბრინჯი, საქართველოში 40.000 ჰექტარი სიმინდი.

ნათესების კონტრაქტაციისათვის გლეხობას თითოეულ ჰექტარზე ბრინჯის მოსაყვანად მიეცემა 100 მანეთი, ხოლო სიმინდზე 8 მანეთი.

ნათესების კონტრაქტაცია ჩატარდება კოლმეურნეობების, სამელიორაციო დასამანქანო ამხანაგობების და გლეხთა ჯგუფურ განაერთების მიწებზე.

თესვის კამპანიას მთლიანად ჩატარებენ აღნიშნული ორგანიზაციები.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტი

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოთა კავშირის მთავრობის რწმუნებულმა ჭიათურის კონცესიის „საქართველოს მარგანეცი"-ს ჩაბარების საქმეში ამხ. ურულაშვილმა შემდეგი განაცხადა.

„საბჭოთა კავშირის მთავრობასა და სააქციო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი"-ს (ჰარიმანის კონცესიის) წარმომადგენლებს შორის კონცესიის ლიკვიდაციის შესახებ, მიღწეულ შეთანხმების გამო, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო შეუდგა ყოფილ კონცესიონერის ქონების ჩაბარებას, რაც დამთავრდება სექტემბრის შუა რიცხვებში. ქონების ჩაბარება საბოლოოდ დამთავრდება იმ დროისათვის, როცა კონცესიონერი შეადგენს ბალანსს და დამტკიცებული იქნება შეთანხმება.

რამდენადაც ვიცი, საკავშირო მთავრობამ უკვე დაამტკიცა საბოლოო შეთანხმება კონცესიის ლიკვიდაციის შესახებ.

რაც შეეხება ჭიათურის რაიონის მარგანეცის მრეწველობის მართვა-გამგეობას, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უკვე მოაწყო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის ტრესტი, რომელსაც, საქართველოს სახკომსაბჭოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილებათა თანახმად, ეკისრება მარგანეცის ამოღების, გარეცხვის და დახარისხების სამუშაოები. ამჟამად ტრესტი ორგანიზაციის პერიოდშია, თუმცა 1 აგვისტოდან ის უკვე ეწევა მუშაობას კონცესიაზე. ძირითადი დირექტივა, რომელიც მიცემული აქვს ტრესტს, მდგომარეობს იმაში, რომ საჩქაროდ მოაწყოს მარგანეცის ამოღება-გარეცხვის წარმოება ფართო მასშტაბით, ვინაიდან უკანასკნელად საკონცესიო მუშაობა ჭიათურაში ძალიან შემცირებული იყო. მუშაობდა მხოლოდ ერთი ქარხანა (ყოფ. სიმონოვის) მაღაროთი, რომელშიაც მუშაობდა დაახლოვებით 400-მდე მუშა.

ყველა დანარჩენი მაღაროები და ქარხნები უმოქმედოდ იყვნენ".

ტრესტის მომავალი წლის საწარმოო პროგრამის შესახებ ამხ. ურულაშვილმა განაცხადა:

მარგანეცის ამოღება-გარეცხვის საწარმოო პროგრამა 1928—29 წლისათვის დასახულია 500.000-დან 600,000 ტონამდე. ტრესტს ევალება აამუშაოს ყველა გამოსადეგი მაღაროები და ქარხნები, შეაკეთოს ისინი და მიიღოს ყოველივე ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებანი.

დასახულ საწარმოო პროგრამის შესასრულებლად, წარმოებებში იმუშავებს არა ნაკლებ 4.000 მუდმივი მუშისა.

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა ტრესტის მმართველად დამტკიცა ამხ. კარპეზ მოდებაძე, მის მოადგილეთ განზრახულია ერთ-ერთი ჭიათურელი მუშის წამოყენება.

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა მიმართა სამთამადნო მუშათა კავშირს თხოვნით—წამოაყენოს მუშები ტრესტის წარმოებებში ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობათა დასაკავებლად. ამჟამად სწარმოებს თანამშრომლების შერჩევა, ტრესტის შტატის ჩამოყალიბება, საფინანსო საქმის მოწესრიგება.

ამხ. ურულაშვილი ეხება საკითხს მარგანეცის საზღვარგარეთ გატანის შესახებ და ამბობს:

მარგანეცის ექსპორტის ორგანიზაციისათვის საკავშირო მასშტაბით და ნიკოპოლის და ჭიათურის მარგანეცის ტრესტების მუშაობის ერთმანეთთან შესათანხმებლად, მოწყობილია მარგანეცის ექსპორტის საკავშირო სააქციონერო საზოგადოება. საკავშირო მთავრობამ ამ სააქციონერო საზოგადოებას მისცა საზღვარგარეთის ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლის უფლება.

სააქციონერო საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას და მისი თავმჯდომარე ა. სვანიძე გაემგზავრა საზღვარგარეთ მარგანეცის გასაღების საქმის მოსაგვარებლად.

საბჭოთა გემთმშენებლობა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის თავმჯდომარე და გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. ვ. ზოფი.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში საზღვაო ტრანსპორტის პერსპექტივების შესახებ ამხ. ზოფმა განაცხადა:

ამ ერთი თვის წინად შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა-სავაჭრო გემთმშენებლობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია დამზადებული იქნას 300 ახალი გემი. ამათში 270 გემი დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირის ქარხნებში, ხოლო 30-კი საზღვარგარეთ.

უნდა აღინიშნოს, რომ გემთსაამშენებლო ქარხნები ლენინგრადსა და ნიკოლაევში მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და საწარმოო გამძლეობის მხრივ არ ჩამორჩება უცხოეთის გემთსაამშენებლო ქარხნებს.

მიმდინარე წელს ლენინგრადის ქარხანა დაამზადებს 4 ახალ გემს. უკვე დამზადებულია ორი გემი—„ა. რიკოვი" და „რუძუტაკი".

ახლო ხანში დამზადებული იქნება სამი გემი: „მერუნსკი", „ციმბირი" და „კოოპერაცია".

შავი ზღვის ხაზზე სამუშაოდ ლენინგრადში მზადდება 12 საბარგო გემი.

ამას გარდა, აგებული იქნება 4 სამგზავრო საბარგო გემი, რომელიც იმუშავებს ადესა-ყირიმ-კავკასიის ხაზზე.

ასეთივე ტიპის ორი გემი „ყირიმი" და „საქართველო" უკვე აგებულია და ახლო ხანში გამოყენებული იქნება შავ ზღვაზე სამუშაოდ.

ლ. ნ. ტოლსტოის იუბილესათვის

10 სექტემბრიდან იწყება საიუბილეო ზეიმი ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო.

ტოლსტოის იუბილეზე საბჭ. კავშირში მოწვეული არიან გამოჩენილი მწერლები, საფრანგეთიდან, ბელგიიდან, ინგლისიდან, შვეიცარიიდან, რუმინეთიდან, ისპანიიდან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, დანიიდან, შვეციიდან, ჰოლანდიიდან, ნორვეგიიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, იაპონიიდან, ჩეხო-სლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ჩვენში ტოლსტოის იუბილე მიიღებს მასიურ ხასიათს, მოეწყობა საღამოები ტოლსტოის ხსოვნის აღსანიშნავად, იმავე საღამოებზე მოეწყობა ტოლსტოის ნაწარმოებთა კითხვა და საუბრები მისი პირადი ცხოვრების შესახებ.

სოფლად საიუბილეო ზეიმის ჩასატარებლად უკვე შემუშავებულია პროგრამა, რომლის ჩატარებას უხელმძღვანელებენ ქოხ-სამკითხველოები. ამ მიზნით შერჩეულია ტოლსტოის ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც უფრო გასაგებია გლეხურ მასისათვის.

საიუბილეო კომიტეტის წარმომადგენლობა

ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო, იუბილეს ჩასატარებლად საქართველოში საქ. განათლების სახალხო კომისარიატთან შესდგა იუბილეს საორგანიზაციო კომიტეტი.

კომიტეტში შედიან: საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ამხ. დ. კანდელაკი (თავმჯდომარე), მიქიაშვილი, (პასუხის მგებელი მდივანი), წევრები: ამხ. თოგ. ნიკაშვილი, ტოროშელიძე, პროფ. კეკელიძე, პროფ. ციტკავიჩი, ასირბეკოვი, ა. მიქაძე, მიქიაშვილი, ტ. ტაბიძე, აბაშელი, გუნიძე, თოდრია; ჭენტი, ნაჭაფოვი და ქიქოძე.

კომიტეტი ახლო მომავალში შეიმუშავებს საიუბილეო ზეიმის ჩატარების გეგმას.

მოაწერეთ ხელი სესხს!

თათბირი ა.-კ. ფინსახკომში

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ოფიციალურად ხელის მოწერის დაწყების გამო, ა. კ. ფინსახკომთან შესდგა საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენლების და საფინანსო დარგის მუშაკთა თათბირი.

რომ თავიდან იქნეს აცილებული პარალელიზმი საკრედიტო დაწესებულებათა მუშაობაში, თათბირმა მიამაგრა თვითეულ ასეთ დაწესებულებებზე სათანადო რიცხვი კოლექტივებისა.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ იმ კოლექტივებმა, რომლებიც წინანდელ კამპანიების დროს მიმაგრებული იყვნენ ამა თუ იმ საკრედიტო დაწესებულებაზე, განაგრძონ მუშაობა წინანდებურად, რაც შეეხება მიუმაგრებელ კოლექტივებს, ისინი მიმაგრებულნი იქნებიან იმ დაწესებულებებზე, რომლებთანაც უფრო დაკავშირებული არიან. გადაწყდა საბინაო ამხანაგობაში და სახლთა სამმართველოებში კოლექტიურ ხელის მოწერას უხელმძღვანელოს საქართველოს კომუნალურმა ბანკმა. შინამრეწველთა და ხელოსანთა კავშირი მიმაგრებულია საკავშირო კოოპერატიულ ბანკზე.

ხელის მოწერის ჩატარება თავისუფალი პროფესიის პირთა შორის დაევალა ფინსახკომის აპარატს. კერძო ვაჭრებს შორის ხელის მოწერის ჩატარება ევალება თბილისის აღმასკომთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას.

გამოხმაურება წარმოება-დაწესებულებებში

ერთი თვის ხელფასი

30 აგვისტოს, დღის 2 საათზე შესდგა თბილისის აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის სავალიუტო განყოფილების გამგემ ამხ. ქორიავამ.

მომხსენებელმა კრებას გააცნო სესხის გამოშვების მიზანი და მოუწოდა დამსწრეთ სესხის კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მიღებისაკენ.

შემდეგ ილაპარაკა ამხ. დოლიძემ და ბაბუნაშვილმა. მოხსენებისა და სიტყვების მოსმენის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა ობლიგაციების შესაძენად გადადონ თითო თვის ხელფასი.

გ. ოზანოვი.

მილიციის მუშაკთა წვლილი

31 აგვისტოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგა თბილისის მილიციის და ადმინგამის თანამშრომელთა საერთო კრება. კრებას დაესწრო რესპუბლიკის მილიციის უფროსი ამხ. ხ. ხმალაძე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბახტაძემ, მან განუმარტა დამსწრეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურ მდგომარეობის განსამტკიცებლად ინდუსტრიალიზაციის სესხს.

სესხის შესახებ აგრეთვე ილაპარაკეს კრებაზე მონაწილეებმაც, რომლებიც მოუწოდებდენ ამხანაგებს ხელი მოეწერათ სესხზე.

— ჩვენ მილიციის მუშაკები, აცხადებენ ისინი, საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოთ მზად ვართ გავიღოთ ჩვენი წვლილი და დავანახოთ ჩვენს მტრებს, თუ როგორ ეხმარება მშრომელი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს გადაუდებელს ქვეყნის გასაძლიერებლად.

კრებამ ერთხმად დაადგინა მეორე სესხის ობლიგაციები შეიძინონ თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

მ. მახვილაძე.

12.180 მ. ობლიგაციები

ღვინის ხარდაფების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელიც შესდგა 27 აგვისტოს, სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელმა ამხ. ინწკირველმა გააკეთა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

კრებამ მოხსენების მოსმენის შემდეგ, ერთხმად მიიღო დადგენილება, ობლიგაციების შესაძენად გადადონ თითო თვის ხელფასი. ღვინის ხარდაფების მუშა-მოსამსახურეთა საერთო თვიური ხელფასი შეადგენს დაახლოებით 12.180 მანეთს.

ვ. მრიმოვი.

40.500 მანეთი

სამ სექტემბერს სამსახურის გათავების შემდეგ სასახლის წითელ დარბაზში შესდგა ა. კ. ცაკის, ა. კ. სახკომსაბჭოს, საქ. ცაკის, საქ. სახკომსაბჭოს, საქ. საგეგმო კომისიის და საგარეო საქმეთა სახკომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება სადაც ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. წ. ქორიავამ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება სესხზე ხელის მოწერის შესახებ თვითეული თანამშრომლის თვიური ხელფასის რაოდენობით; წინასწარ გამოანგარიშებით ზემოთ აღნიშნული დაწესებულებების თანამშრომლები შეიძენენ 40.500 მანეთის ობლიგაციებს.

ი. ქ—ძე.

1-ლ სტამბაში

31 აგვისტოს შესდგა პირველ სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მელიქაძემ. მოხსენების შემდეგ კრებამ გადაწყვიტა სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა ობლიგაციების შესაძენად გადადონ თითო თვის ხელფასი.

დამსწრე.

ქუთაისი

ქუთაისის მოძრაობის დარგის ადგილკომმა, თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა რა ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის ჩატარების საკითხი, დაადგინა სხვებისათვის მაგალითის მისაცემად პირველ რიგში სესხზე ხელი მოაწერონ თვითონ ადგილკომის წევრებმა და სარევიზიო კომისიის წევრებმა ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც შეადგენს 1,700 მანეთს.

შემდეგ ადგილკომმა გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა სესხის კამპანიის ჩატარების გეგმის შედგენა. ადგილკომი მუშა-მოსამსახურეებს შორის კამპანიის ჩატარებას უკვე შეუდგა 1-ლ სექტემბრიდან.

ს. ბ—ხი.

მიწა-ტყის კავშირში

მიწა-ტყის კავშირის თანამშრომელთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. კუკვაძემ. მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის თანახმად თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით, რაც შეადგენს 7.000 მანეთს.

ა.-კ. რესპუბლიკების მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს კომისიამ ამხ. კასიორის თავმჯდომარეობით განიხილა და დაამტკიცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1928—29 წლისათვის.

საქართველოს მრეწველობისათვის კაპიტალური სამუშაოები გადიდებულია 12.400.000 მანეთამდე, წინაამდეგ 9.271.000 მანეთისა, რომელიც წინეთ იყო განზრახული. თანხების გადიდება გამოწვეულია საექსპორტო ხეტყის წარმოების გაფართოვების და ცემენტის ქარხნის სამუშაოების დაჩქარების საჭიროებით.

სომხეთში კაპიტალური სამუშაოების საერთო თანხა დამტკიცებულია 6.420.000 მანეთის რაოდენობით. თანხები გაუდიდდა საფეიქრო მრეწველობას, დამტკიცებული არ იქნა ტყავის ქარხნის სამუშაოები. კერძო მრეწველობას უფლება მიეცა გახარჯოს 150.000 მანეთის ხარჯი ადგილობრივ საშუალებებიდან.

აზერბეიჯანში კაპიტალური სამუშაოები დამტკიცებულია 10,783.000 მანეთის რაოდენობით; აქედან 1.045.000 მანეთი ბალანსის გარეთ რჩება (815.000 მანეთი გადადებულია საბინაო მშენებლობისათვის, 300.000 მან. მეაბრეშუმეობის განსავითარებლად). კაპიტალურ ხარჯების თანხიდან გამორიცხულია 850,000 მანეთი, რომელიც უნდა დახარჯულიყო საქართ. ფაბრიკის გაფართოვებაზე.

რესპუბლიკების საერთო პროდუქცია მიღებულია უცვლელად.

დამტკიცებულია აგრეთვე კაპიტალური სამუშაოები აფხაზეთის სატყეო მრეწველობაში. 1928—29 წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 950,000 მანეთი, აქედან ბზიბის კომბინატის მოწყობაზე 700.000 მანეთი, ყუთების ცეხის მოწყობაზე გაგრის ხე-ტყის ქარხანასთან—100.000 მან. და კოდორის ხე-ტყის ქარხნის გადაკეთებაზე—150.000 მანეთი.

ს. მ. უ. საბჭოში

შუშეულობის ახალი ქარხანა

ვინაიდან საქართველოში არსებულ ერთადერთ ბორჯომის შუშეულობის ქარხანას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბორჯომის მინერალური წყლების ქარ[illegible]კა, ამიტომ ს. მ. უ. საბჭომ დაადგინა ააგოს სურამის ან ხარაგოულის რაიონში ბოთლების დიდი მექანიკური ქარხანა, რომელმაც წლიურად უნდა დაამზადოს 38.400.000 ბოთლი. ქარხანას ექნება გენერატორი და ლინჩის რვა მანქანა. ქარხნის აგება დაჯდება 3.213.000 მანეთი. საზღვარგარეთიდან საჭირო იქნება 350.000 მანეთის მოწყობილობის შემოტანა. ამ ქარხნის აგების შემდეგ, ს. მ. უ. ს. სამთო ტრესტის გამოანგარიშებით, ბოთლის ფასი შემცირდება 4.1 კაპიკამდე. ქარხანაში იმუშავებს 270 კაცი.

შაქრის ქარხანა

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ საკავშირო ს. მ. უ. ს. გორის მაზრაში შაქრის ქარხნის აგების საკითხი გადასწყვიტა დადებითად და ახალშენებათა საკონტროლო ციფრებში ამ მიზნით შეიტანა 4.500.000 მანეთი.

თბილისის საბჭოს სექციებში

ბრძოლა ხულიგნობასთან

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციამ გუშინდელ სხდომაზე მოისმინა თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ გამგის ამხ. საჯაიას მოხსენება ხულიგნობასთან ბრძოლის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხულიგნური გამოსვლების რიცხვი კლებულობს, ხულიგნობა ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ სავსებით არ არის აღმოფხვრილი. მიზეზი ამ გარემოებისა არის მილიციელთა შტატის სიმცირე: არის მთელ რიგი რაიონები, განაპირა უბნები, სადაც არც ერთი სამილიციო საგუშაგო არ არსებობს. ასეთ რაიონებში ხულიგნური გამოსვლები შედარებით უფრო მეტია, ვიდრე იმ რაიონებში, სადაც საგუშაგოები არსებობს.

ვინაიდან შეუძლებელია მილიციის შტატის გადიდება, მომხსენებელი მიზანშეწონილად სცნობს გატარებული იქნეს შემდეგი ღონისძიება: თბილისში მეეზოვეთა რიცხვი 500 კაცს აღწევს, თუ მეეზოვეებს განთავისუფლებულნი იქნებიან ისეთი მოვალეობის შესრულებისაგან, რომელიც მილიციელების ფუნქციას შეადგენს, თბილისში არსებულ სახლების მოსავლელად და სადარაჯოთ საკმაო იქნება სამასი მეეზოვე. დანარჩენი 200 მეეზოვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამილიციო საგუშაგოებზე სამუშაოდ. რასაკვირველია, ეს 200 კაცი შეიარაღებული უნდა იქნეს.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა თვით მილიციის მდგომარეობაზე, აღნიშნა მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება, კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

კომისიების გამოყოფა

კომუნალურ სექციის გუშინდელ სხდომაზე ძირითადი მოხსენება სოც. დაზღვევის კომიტეტის მუშაობის შესახებ მომხსენებელის გამოუცხადებლობის გამო არ შემდგარა. სექციამ განიხილა მიმდინარე საკითხში დასმული წინადადებები კომისიების გამოყოფისა და ფოსტის გადაზიდვის გამარტივების შესახებ.

თვითკრიტიკის გაძლიერების გამო ჩვენს პრესაში მრავალი წერილები და შენიშვნები იბეჭდება ჩვენი ცხოვრების უარყოფით მოვლენებზე (ბიუროკრატიზმზე, უყაირათობაზე, ქალაქის მეურნეობის, სწავლა-განათლების სუსტ მხარეებზე და სხ.).

იმ მიზნით, რომ გაზეთში მოთავსებული კრიტიკა გამოუხმაურებლად არ დარჩეს, საჭიროა თბილისის საბჭოს სექციის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაზეთებში მოთავსებულ წერილებში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ამისათვის აუცილებელია ყოველი სექციიდან კომისიების მოსაწყობად გამოყოფილი იქნეს წევრთა განსაზღვრული რიცხვი. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სექციამ ეს წინადადება მიიღო და აირჩია 30 კაცი კომისიების შესადგენად.

საფოსტო ყუთები ტრამვაის ვაგონებზე

მეორე წინადადება შეეხებოდა ფოსტის გადაზიდვის გამარტივებას.

ფოსტის დამტარებელთა განსაზღვრული შტატი და აგრეთვე თვით მუშა-მოსამსახურეთა მოუცლელობა ხშირად ართულებს და აგვიანებს საფოსტო ამანათების, კორესპონდენციების და წერილების გადაზიდვას.

ფოსტის გადაზიდვის გასამარტივებლად მიზანშეწონილი იქნება თუ ტრამვაის ზოგიერთ ვაგონზე დაიდგმება საფოსტო ყუთი, რომელიც მუშა-მოსამსახურეთ გაუადვილებს წერილების გაგზავნას.

ასეთ ვაგონებში ერთი მუდმივი ადგილი დაეთმობა ფოსტის დამტარებელს.

სექციამ ეს წინადადება მიიღო და დაადგინა სათანადო ზომები მიიღოს ამ საკითხის მოსაწესრიგებლად.

ბრძოლა მალარიასთან აჭარისტანში

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამთავრა მუშაობა წყალის ჭაობების ამოსაშრობად ხულოს მაზრაში. მუშაობა სწარმოებდა 100 ჰექტარის სივრცეზე. დაგუბებული წყლების გადასაშვებად სხვადასხვა ადგილებში გაყვანილია არხები 1.500 მეტრის მანძილზე. მუშაობა სწარმოებდა ცენტრალურ ტროპიკულ სადგურის ინიციატივით და მისი მიზანი იყო სოფ. წყალთის, ბაძაურის და ამ რაიონის სხვა სოფლების გაჯანსაღება, რომელთა მცხოვრებლები დაავადებული არიან მალარიით.

ჭაობების ამოშრობის შემდეგ სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გამოკვლევას ახდენდა ამ რაიონში, აღნიშნა მალარიით დაავადების შემთხვევების შემცირება და მოსახლეობის ჯანმრთელობის სწრაფი გაუმჯობესება.

ჭაობების ამოშრობა დაჯდა 3.500 მანეთი. ამაში არ შედის მუშა-ხელი, რომელიც უფასოდ გამოიყვანა მოსახლეობამ. ამჟამად მთავრდება ბაძაურის ტბის ამოსაშრობი სამუშაოები; ტბის სივრცე უდრის 5 კვ. კილომეტრს. აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველომ შეადგინა აგრეთვე სხვა დაჭაობებულ ადგილების ამოშრობის გეგმა; ასეთი ადგილებია ზემო-აჭარაში სოფ. ხიხაძირი, ხირი, წანუზ-ოღლი, კოდისძირი და სხვ.

ამასთანავე შედგენილია მთიან საძოვრების მორწყვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სარწყავი არხების გაყვანას 35 კილომეტრზე, რითაც მორწყული უნდა იქნეს 2.000 ჰექტარი საძოვრები. წინასწარი მუშაობა დაიწყება ახლო მომავალში.

თბილისის მაზრის გლეხკომების პლენუმი

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელ სხდომაზე სწარმოებდა კამათი გლეხკომის მუშაობის საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მახარაშვილმა, გვრიტიშვილმა, [illegible], ხომერიკმა, ნაზაროვმა, ორჯონიკიძემ, ადიკაშვილმა, კოპალაძემ, ჩიქოვანმა და სხვ.

ორატორები უმთავრესად ლაპარაკობდენ გლეხკომების ნაკლულოვანებებზე და სამაზრო გლეხკომების ხელმძღვანელობის გაძლიერების საჭიროებაზე. ორატორები მოითხოვდნენ გლეხკომების ინსტრუქტორების გადიდებას, ამომრჩევლებისათვის საანგარიშო მოხსენებების ჩაბარებას, გლეხკომებში ქალებისა და ადგილობრივ ინტელიგენციის ჩაბმას და სხვა.

კამათის შემდეგ მოსმენილი იქნა საინფორმაციო მოხსენება ყოფ. დუშეთის მაზრის გლეხკომების მუშაობის და მისი თბილისის სამაზრო გლეხკომთან გაერთიანების შესახებ.

მოხსენების მოსმენის შემდეგ დადგენილია აღნიშნულ მაზრების გლეხკომების გაერთიანება. გაერთიანებულ გლეხკომის პრეზიდიუმში დამტკიცებული იქნენ შემდეგი ამხ. ცოამია (თავმჯდომარე), ადიკაშვილი, ლალიაძე, კაციანი, კოხტოვი, გვანცელაძე, მესხიშვილი (თბილისის მაზრიდან), დუშაური და მახარაშვილი (ყოფ დუშ. მაზრიდან).

ბოლოს პლენუმმა მიიღო რა მხედველობაში პირობები, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა სამაზრო გლეხკომს, მისი მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად. პლენუმმა მუშაობის გასაცხოველებლად დაადგინა: გადიდებულ იქნეს გაერთიანებული მაზრის შტატი და გამოძებნილი იქნეს მუდმივი საარსებო წყაროები; გარდა ამისა პლენუმმა დაადგინა დაჩქარებულ იქნეს თბილისში გლეხთა სამაზრო სახლის მოწყობა; დაევალოს პრეზიდიუმს ჩაატაროს იმ გლეხკომების გამოკვლევა, რომლებიც გამოუკვლეველი დარჩა საანგარიშო წელში; მიღებული იქნეს ზომები, რათა სოფლის უმოქმედო გლეხკომები გაერთიანებული იქნენ მახლობელ სოფლების კარგად მომუშავე გლეხკომებთან; მუშაობის გაცხოველების მიზნით ადგილობრივ გლეხკომებში შემოღებული იქნეს ტექნიკურ მომუშავეების ჯამაგირიანი თანამდებობანი; აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებმა გაუწიონ საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობა გლეხკომებს; ჩატარებული იქნეს წევრ-გლეხების თვითდაბეგვრა გლეხკომების საშუალებათა გასაძლიერებლად; მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება წევრებისათვის შრომითი და ფულადი დახმარების გაწევის საქმის გაძლიერებას; დაევალოს ადგილობრივ გლეხკომებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის კამპანიაში და თვითეულმა გლეხკომმა შეიძინოს ობლიგაციები არა ნაკლებ 25 მანეთისა; მიღებული იქნეს ენერგიული ზომები, რათა გლეხკომებმა შემოდგომის თესვის კამპანიაში ყოველგვარი დახმარება გაუწიონ გლეხებს და ღარიბ გლეხებს საკრედიტო ამხანაგობებში წევრად ჩაეწერონ საკუთარი საშუალებებით; გაძლიერდეს მუშაობა გლეხკომებში ქალებისა და ინტელიგენციის ჩასაბმელად; დაევალოს გლეხკომებს სამ თვეში ერთხელ ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს და ამავე დროს შეიძინონ მანქანები ღარიბ გლეხებისათვის.

სახალხო კვების მუშაკთა კავშირის მეორე პლენუმი

გუშინ საღამოს პროფსაბჭოში შესდგა საქართველოს სახალხო კვების მუშაკთა კავშირის მორიგი მეორე პლენუმი.

პლენუმზე კავშირის ცენტრ. გამგეობის საორგანიზაციო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხიხარულიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახ. კვების მუშაკთა კავშირის მეშვიდე ყრილობის მიერ არჩეული გამგეობა მუშაობას შეუდგა ა. წ. 3 მარტიდან. საანგარიშო ხნის განმავლობაში გამგეობამ საფუძვლიანად დაამუშავა მეშვიდე ყრილობის რეზოლუციები და პრაქტიკული წინადადებები, კავშირის ცენტრ. კომიტეტის ახალი სატარიფო ცნობარი და შეიმუშავა კოლხელშეკრულებების ახალი ტექსტი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა გორის, აფხაზეთის და აჭარისტანის განყოფილებების გამოკვლევა.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მრავალი დეფექტები. განსაკუთრებით მუშაობა მოისუსტებს გორსა და აჭარისტანში. საანგარიშო ხნის განმავლობაში გორის ორგანიზაციის მუშაობა ხასიათდება საგრძნობი დეფიციტით.

კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გორისა და აჭარისტანის ორგანიზაციების მუშაობის გასაჯანსაღებლად გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი.

აჭარისტანის განყოფილება ფინანსიურათ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აჭარისტანის ორგანიზაციის ცენტრ. გამგეობის არც ერთი დირექტივა არ შეუსრულებია. მოისუსტებს მუშაობა სატარიფო დარგშიაც.

რაც შეეხება აფხაზეთის განყოფილებას, იგი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. მას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს კულტურულ და სატარიფო მუშაობის დარგში.

შემდეგ მომხსენებელი გადადის მიმდინარე ზაფხულში აგარაკებზე მოწყობილ სამუშაოების დახასიათებაზე და აღნიშნავს, რომ იქ ყველაფერი რიგზე არ არის.

სარევიზიო კომისიის მუშაობა მოისუსტებს. ამას ამტკიცებს გაფლანგვებისა და გადახარჯვის შემთხვევები.

გაფლანგვას ადგილი ჰქონდა კავშირის რამდენიმე რაიონულ ადგილკომში. მიღებულ ზომებით გამფლანგველები პასუხისგებაში არიან მიცემული. ზოგმა მათგანმაც გაფლანგული თანხა სავსებით აანაზღაურა.

კულტურულ დარგში მუშაობა ვერ გაფართოვდა, რადგან ამას ხელს უშლიდა კლუბის უქონლობა. ახლო მომავალში კლუბის დასრულებასთან ერთად მოეწყობა შინა-მოსამსახურე ქალთა საერთო საცხოვრებლები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

აბჰესის გაფართოება

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილების ცნობით მომავალ საანგარიშო წელში დაიწყება აბჰესის მთავარი სადგურის გაფართოება.

სადგურის გაფართოება გამოწვეულია მის ენერგიაზე მოთხოვნილების გაზრდით და იმ გარემოებით, რომ აბჰესის ენერგიაზე მომავალ წლიდან გადასვლას აპირებს ქუთაისი, სამტრედია და ფოთი. სადგურის გასაფართოებლად დადგენილია 821,000 მანეთი. ხაზიროო მოწყობილობანი უკვე შეძენილია. სადგურთან მომავალ წლიდანვე მოეწყობა კანალიზაცია, წყალსადენი და იწარმოებს ქვითილოწყობა სადგურის ფარგლებში.

ამავე წლიდან დაიწყება მთავარი ხაზის გაყვანა სამტრედიისათვის ენერგიის მისაწოდებლად.

სამტრედიისათვის ენერგიის მისაწოდებლად გამოყენებული იქნება ქუთაისისათვის აბჰესის ენერგიის მთავარი გადამცემი ხაზი. სამტრედიამდე ხაზი გაყვანილი იქნება ზონიდან, რომელზედაც უკვე დაწყებულია ქუთაისის ხაზის გაყვანა.

აბჰესი ენერგიას მიაწვდის სამტრედიის რკინის გზის სადგურს, რკ. გზის სახელოსნოებს, ქალაქს და მის რაიონს. სამტრედიისათვის აბჰესის ენერგიის მისაწოდებელ ხაზის და ქვე-სადგურის მოსაწყობათ გადადებულია 180.000 მანეთი.

ალაზნის ველის მორწყვა

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიამ მოისმინა ამხ. ავერბახის მოხსენება ალაზნის ველის მორწყვის შესახებ. მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ მასალების მიხედვით ალაზნის არხის გაყვანის შემდეგ ტექნიკურ მცენარეების, ვენახების და პურეულის მეურნეობისათვის გამოსადეგი იქნება დამატებით 28.000 ჰექტარი მიწა. გარდა ამისა, მორწყვის შემდეგ საგრძნობლად გადიდდება ალაზნის ველზე წარმოებულ მეურნეობათა მოსავალი.

არხის გაყვანის შემდეგ ალაზნის ველზე განსაკუთრებით იწარმოებს ბამბის და თამბაქოს მეურნეობა. იმ მიზნით, რათა ალაზნის ველზე ბამბის მეურნეობა დაწყებული იქნეს ფართო მასშტაბით, მოეწყობა დიდი საბჭოთა მეურნეობა, ამავე მიზნით ადგილობრივ აგებული იქნება ბამბის ქარხანა.

მელიორაციაქნილ რაიონებში ყოველგვარი მეურნეობა იწარმოებს წინასწარ შემუშავებული გეგმით.

შემდეგ მომხსენებელმა კომისიას გააცნო პროფ. ტიმოფეევის და ჩოლოყაშვილის გეგმები, იმის შესახებ, თუ მელიორაციის შემდეგ ალაზნის რომელ ზონაში რა დარგის მცენარეების წარმოება იქნება მიზანშეწონილი.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

თბილისის მაზრაში

გუშინ, დღის 12 საათზე ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც ყოფ. თბილისის მაზრაში ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დოლიძემ. ყოფ. თბილისის მაზრაში—განაცხადა მომხსენებელმა— სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღრიცხვა დაიწყო მიმდინარე წლის იანვრიდან.

სასოფლო-სამეურნეო ობიექტების აღრიცხვა უკვე დამთავრებულია მთელს მაზრაში. ჩატარებულ აღრიცხვის შედეგები ასეთია: წელს სულ აღრიცხულია 33.405 დასაბეგრი მეურნეობა, შარშან კი დაბეგრილი იყო 32.768 მეურნეობა, ე. ი. წელს დასაბეგრ მეურნეობათა რაოდენობა გაიზარდა 2 პროცენტით. შარშანდელთან შედარებით წელს მაზრაში არამშრომელთა (ვაჭრები, მოხუცები და სხ. არა) რაოდენობა გადიდებულია 3,5 პროცენტით, მშრომელთა რიცხვი კი 3,2 პროცენტით.

საგრძნობლად გადიდებულია ნათესების სივრცე ასე მაგალითად ხორბლის სივრცე გადიდებულია 5,3 პროც., ნათესების—35,5 პროც., ბამბის ნათესები—125 პროც., კარტოფილის—50,9 პროცენტით, სამაგიეროთ შემცირებულია ბაღჩების სივრცე—9.8 პროცენტით, ბაღების—12,9 პროც. და სხ.

შარშან დაბეგრილი 32.768 მეურნეობა შეფასებული იყო 6.145.194 მ., წელს კი 33.405 მეურნეობის დასაბეგრი ობიექტები შეფასებულია 6.973.812 მანეთით.

გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული იყო 7.275 მეურნეობა, როგორც უღარიბესი, წელს კი განთავისუფლებულია 17.069 მეურნეობა.

შარშან მთელ მაზრაზე გადასახადის სახით გაწერილი იყო 299.702 მანეთი, წელს კი გაწერილია—445.223 მანეთი.

საშუალოდ თვითეულ მეურნეობაზე შარშან მოდიოდა 11 მ. 77 კაპ., წელს კი მოდის —23 მ. 60 კ.

ინდივიდუალურ გადასახადით დაბეგრილია 679 მეურნეობა. მათზე გაწერილია 148.804 მანეთი. ინდივიდუალური გადასახადით დაბეგრილია ისეთი მეურნეობანი, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ დაქირავებული შრომით და ეკუთვნიან სოფლის კულაკურ ნაწილს.

საერთოდ, ამბობს მომხსენებელი, წელს მაზრაში გადიდებულია მეურნეობათა შემოსავლიანობის უნარი, რამაც ბუნებრივად გაზარდა შარშანდელთან შედარებით გადასახადის რაოდენობაც. ამ რიგათ წელს ყოფ. თბილისის მაზრაში შარშანდელთან შედარებით აკრეფილი იქნება 48 პროცენტით მეტი, ვიდრე იყო შარშან.

ადგილებზე დაარსებულია საგადასახადო საჩივრების განმხილველი კომისიები, რომლებიც იხილავენ გადასახადის შეწერით უკმაყოფილო პირების საჩივრებს და დაუყოვნებლივ არკვევენ საქმის ვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა ვერ სწარმოებდა სათანადოთ ზოგიერთ თემებში, რაც უნდა მიეწეროს ადგილობრივ ხელისუფლების სუსტ მუშაობას. მიღებულია ზომები ასეთ თემებში შემჩნეულ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მაზრაში გადასახადის აკრეფა დაიწყო პირველ სექტემბრიდან. 1 ოქტომბრამდე აკრეფილი უნდა იქნეს მთელი გადასახადის რაოდენობის 20 პროცენტი. 1 დეკემბრამდე 70 პროცენტი, ხოლო მომავალ წლის 1 თებერვლამდე—10 პროცენტი.

წინასწარი ვარაუდით აღნიშნულ ვადებში გადასახადი სავსებით აკრეფილი იქნება.

რაჭა-ლეჩხუმის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა გამოკვლევა

ამ დღეებში „სოფლის კავშირმა" დაასრულა ცაგერის, ონის, ჭრებალოს, პატარა ონის და ხების სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა გამოკვლევა.

ონის საკრედიტო ამხანაგობა გასული წლის პირველ ოქტომბრამდე აერთიანებდა 579 წევრს ხოლო 1 აგვისტოსათვის წევრთა რიცხვი—1068-დე აღწევდა. წევრთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით გაიზარდა საპაიო კაპიტალიც. გასულ წლის პირველ ოქტომბრამდე 4.698 მანეთი იყო, 1-ლ აგვისტოსათვის კი აღნიშნული თანხა 8.287 მანეთამდე გაიზარდა.

ონის რაიონის საკრედიტო ამხანაგობებს, საანგარიშო ხნის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობა ჩაუტარებიათ. ცენტრიდან მიღებული 71.000 მანეთი ამხანაგობებმა დანიშნულებისამებრ მოიხმარეს. მუშა საქონლის შესაძენად გლეხობას მიეცემა 9286 მანეთი, სას. სამ. იარაღების შესაძენად—8.940 მანეთი, მეფუტკრეობის განსავითარებლად 1381 მანეთი; სხვადასხვა შენობების ასაგებად დაიხარჯა—7.781 მან. და ასე შემდეგ.

ამას გარდა, ონის საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელობით მოეწყო მიწათმოქმედების, სამანქანო და წველა-დღვების კოლმეურნეობები. ამხანაგობა შეუდგა აგარაკ შოვში ჩამოსულთათვის რძის პროდუქტების მისაწოდებლად სარძევე ფერმის მოწყობას. ფერმისათვის უკვე შეძენილია 9 ჯიშიანი ძროხა.

ცაგერის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობაში ჩაბმულია მთელი მოსახლეობის 17,82 პროც.; აქედან ღარიბი გლეხობა 43.27 პროცენტს შეადგენს. წევრთა რიცხვის ზრდასთან ერთად ცაგერის ამხანაგობაში იზრდება გლეხთა აქტივი.

ჭრებალოს ამხანაგობა აერთიანებს 1594 მეურნეს. ე. ი. მთელი მოსახლეობის 43.5 პროც. ჩაბმულია ამხანაგობაში. ჭრებალოს რაიონის გლეხობა უმთავრესად ეწევა მევენახეობას.

ჭრებალოს საკრ. ამხანაგობამ მიმდინარე წელს გააშენა 60.000 ძირი ნამყენი ვაზი, რომელიც გაუნაწილდება გლეხობას. ამას გარდა, გაშენებულია 4 ჰექტარი ვენახი, 33.500 ძირი ვაზი. ამხანაგობამ გლეხებისათვის დროზე მისაწოდებლად ადგილობრივათ გააშენა ამერიკული ვაზის სანერგე.

ჭრებალოს ამხანაგობა ახლო მომავალში დაასრულებს ღვინის შესანახ მარანს, რომელშიც 15.000 ვედრო, პირველი ხარისხის ღვინის („ხვანჭკარა"-ს) დამზადებს, მარანის აგება ჯდება 35.000 მანეთი.

[illegible] ადგილობრივ, ისე მაზრაში;

„რემედასის" ლატარიის გათამაშება

როგორც ვწერდით საქ. რემედასის, ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტმა გამოსცა ერთდროული ჟურნალი „კაპიტალის ტყვეების ხმა". ჟურნალის გავრცელებასთან დაკავშირებით მოეწყო ლატარიის გათამაშება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ჟურნალის მისაღებ ტალონის შემძენნი.

გათამაშებულ იქნება სამი ადგილი ბორჯომის, წაღვერის და ქობულეთის დასასვენებელ სახლებში. სამი სეზონური აბონემენტი სახ. ოპერაში, ხუთი სეზონური აბონემენტი კინოში და 250 პრემია რემედასის ბიბლიოთეკების სახით.

ა.-წ. 28 აგვისტოს რემედასის, პარტიის, კომკავშირის და რკინის გზელ მუშათა წარმომადგენელთა თანდასწრებით მოხდა რემედასის ლატარიის გათამაშება.

პრემიები ხვდა შემდეგ ნომრებს:

ერთი ადგილი ბორჯომში—38849, ერთი ადგილი წაღვერში—6666, ქობულეთში ერთი ადგილი—85.194. სამი აბონემენტი ოპერაში—43868, 97633, 1149. ხუთი აბონემენტი კინოში—55323, 0945, 77,989, 62826; 51.386.

რემედასის პატარა ბიბლიოთეკები ხვდა შემდეგ ნომრებს: 56445, 0854, 100000, 25832, 58193, 99239, 59348, 38405; 62301; 47644; 30245; 61850; 56792; 61850, 5209. 99741 94160, 56792, 7155, 0149, 58260 19639, 3813, 55905, 55 48561, 17522, 28278, 658, 97859, 7731, 10328, 655, 33526, 1337, 48592 17766, 0634, 4996, 76118, 35409, 88443, 16952, 24431, 95363, 64941, 62843, 85212, 8473, 0262, 31767, 64136, 69685, 44498, 92628 10684, 80355, 19944, 53376, 8974, 36640, 14486, 45041, 80849, 89, 79549, 18117, 1898, 74100, 98859, 92131, 98056, 4173, 38359, 12475, 56865, 50620, 12735, 76751, 39900, 826, 55744, 59687, 2359 929, 32923, 22315, 90115, 57806, 58281, 97991, 0462, 34137, 50611 79522, 0481, 56332, 32462, 44515, 56397, 91894, 80832, 63509, 57916, 66396, 49084, 28637, 58477, 31774, 57212, 54734, 83928, 24, 17969, 3537, 6321, 55369, 31599 1441, 75099, 75795, 46218, 16802, 27539, 93468, 6112, 27826, 3822, 19165, 26197, 85042, 8067, 4668, 0159, 54320 70634, 69636, 59818, 56040, 34947, 83786, 15549, 0352, 26541, 72946, 0488, 0738, 99147, 75426, 0450, 72092 ,91563, 88869, 6653 71619, 11489, 96440, 6862, 32587, 65143, 59206, 919, 68474, 124, 319, 9314, 97254, 88455, 793, 57385, 98645 168, 44303, 17640, 88486, 87007, 698, 57861, 39916, 56979, 27931 763, 5234, 31116, 690, 197, 94236, 6137, 14718, 45729, 311, 829, 72, 15548, 408, 40, 33242 26019, 61005, 57101, 8840, 82647, 884, 71057, 1, 6970, 35284, 33658, 46631, 51679, 46617 679, 12048, 48798, 67390, 810, 25359, 65714, 17195, 2698, 89009, 858, 58514, 7053 722, 720, 62039, 83323, 61815, 428, 25024, 2590, 70245, 76786, 1579, 26 52859, 441, 599, 63621, 32320, 84199, 3656, 92469, 659, 96482, 93565, 429, 34199, 86780, 95657, 22104.

მოგების მისაღებათ, მოგებულ ტალონების პატრონებმა უნდა მიმართონ საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტში (ლენინის ქ. № 29).

მუშათა ცხოვრება

ზორაპნის აგურის ქარხანაში

ზორაპანში ამჟამად შენდება აგურის დიდი ქარხანა. აღნიშნული ქარხნის აგებაზე ჯერჯერობით მუშაობს ასამდე კაცი. ქარხნის დამთავრებისთანავე მუშათა რიცხვი გაიზრდება ხუთას კაცამდე. ამ ქარხანას დიდი მომავალი აქვს, ვინაიდან აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება აგურის დასამზადებელი თიხა—მიწა, აგრეთვე დიდი მოთხოვნილებაა ნაწარმოებზედაც.

ოთხშაბათს, 29 აგვისტოს შესდგა აღნიშნულ ქარხნის მუშათა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა გაზ. „კომუნისტი"-ს და „მუშა" ინსტრუქტორმა ამხ. ნ. იტრიევმა.

მომხსენებელი შეეხო ყველა ამ საკითხებს, თუ მუშა და გლეხ კორესპონდენტებმა რაზე უნდა სწერონ, მიუთითა შრომის დისციპლინაზე, შეეხო მუშათა ახალ ყოფა - ცხოვრების საკითხებს და განსაკუთრებით კი ლოთობას, თუ რა ზიანი მოაქვს ამ უკანასკნელს, როგორც მუშის ოჯახის ბიუჯეტზე, აგრეთვე იმ წარმოებისათვის, რომელშიაც ის მუშაობს. დაახასიათა წარმოებებში კედლის გაზეთის გამოცემის უდიდესი მნიშვნელობა, მუშკორთა წრის ჩამოყალიბების საჭიროება და სხვ.

მუშებმა შეკითხვებთან ერთად კამათშიაც მიიღეს მონაწილეობა. შემდეგ არჩეულ იქნა კედლის გაზეთის დროებითი სარედაქციო კოლეგია, რომელმაც უნდა გამოუშვას კედლის გაზეთი და ჩამოაყალიბოს მუშკორთა წრე.

მუშკორი მუშა

—:—

დაუმატეთ ორი თანამშრომელი

(ქუთაისი)

ქუთაისის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან მოთავსებულია სამისამართო ბიურო, რომლის მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს. სამი წელიწადია, რაც სამისამართო ბიურო არსებობს და ჯერ კიდევ არ არის ის ხეირიანად ჩამოყალიბებული. ქალაქის მცხოვრებთა ოცი პროცენტიც არაა აღრიცხვაზე აყვანილი. არ ტარდება ცხოვრებაში ის წესი, რომელიც საერთოთ დაწესებულია ქალაქის მცხოვრებთათვის. ამ დიდ საქმის შესრულებას აფერხებს ორი კონტროლიორის უქონლობა. ბიუროს შემოსავალი საკმაო აქვს, 4—5 ათასი მანეთი ყოველწლიურად.

არა ერთხელ მოსთხოვა ადმინგანმა ქუთაისის აღმასკომს კონტროლიორების დანიშვნა სამისამართო ბიუროსათვის. მაგრამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ყოველთვის უარი განაცხადეს. ორი კონტროლიორის შენახვა წლიურად დაჯდებოდა დაახ. 850 მანეთი, ხოლო სარგებლობას კი გაცილებით მეტს მივიღებდით.

საჭიროა ამ საკითხს დაუფიქრდეს ქუთაისის აღმასკომი და სამისამართო ბიუროს მუშაობა შესაფერ კალაპოტში ჩააყენოს.

მცოდნე.

—:—

დადგენილება არ ტარდება

(ხაშური)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას 5 ივლისის მოწოდებაში აღნიშნულია ბრძოლა ყოველგვარ ბიუროკრატიულ და გადაუდებელ ელემენტებთან, რის მსხვერპლიც გახდა ერთი ერთი მართლაც ბიუროკრატი ადმინისტრატორი შზ-2 სკავინსკი. ეს პიროვნება 15 მეტ-ჯერ იყო მოთავსებული გაზეთის ფურცლებზე თავის ბიუროკრატიულ მოქმედებისათვის, რასაც სათანადო ორგანოებმა მიაქციეს ყურადღება და მრავალ გაფრთხილების შემდეგ დაადგინეს მისი სამსახურიდან მოხსნა, მაგრამ დადგენილება არ განხორციელდა და ისიც განაგრძობს თავის ბიუროკრატიულ მოქმედებას.

ისმის საკითხი, საკავშირო კომპარტიის მოწოდება უნდა გავრცელდეს თუ არა ამ პიროვნებაზე? უდაოა, რომ ისეთი ყოფილა, გადამიზეზებული ადამიანი, როგორიც შზ-2 სკავინსკია არამც თუ მოხსნილი უნდა ყოფილიყო სამსახურიდან, არამედ პასუხის გებაშიაც უნდა მიეცათ, მაგრამ ალბად ვიღაც მფარველი ყავს.

იმედია მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიაგნებს ბიუროკრატის მფარველს და ორივეს პასუხს მოსთხოვს.

„ფთერი"

უყურადღებოდ მიტოვებული დარგი

ქალაქ თბილისში მკურნალობის საქმე მოქცეულია ჯანმრთელობის კომისარიატის ხელში საიდანაც მუშა-მოსამსახურენი იღებენ როგორც უფასო მედიკამენტებს, ისე ყოველივე საექიმო დახმარებას.

მაგრამ ჯანმრთელობის კომისარიატს ჯერჯერობით უყურადღებოდ აქვს მიტოვებული ერთი დარგთაგანი—დამხმარე წარმოება მოსახლეობის მკურნალობის უზრუნველყოფის საქმეში, ესაა „ორტოპედიული წარმოება". მართალია, ჯანმრთელობის კომისარიატს აქვს ასეთი [illegible], მაგრამ ის არ არის სათანადო ნიადაგზე დაყენებული, ვინაიდან, როგორც ვიცით, ისე ჯანმრთელობის კომისარიატი მას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

თბილისში არსებობს გორბატოვის, ჩერნომორდინის ტერ-ასატუროვის ორტოპედიული კერძო სახელოსნოები, რომელნიც დატვირთულნი არიან მუშაობით. რადგანაც მათ თბილისის ექიმები უგზავნიან სამუშაოს. ქარხნების მეპატრონენი ყოველივე, ხრიკებს მიმართავენ, რომ მოატყუილონ გულუბრყვილო ავადმყოფები. ისინი ათასნაირ ჭორებს აგრცელებენ მათთან მისულ ავადმყოფებში, საპროტეზო სახელოსნოებზე, უსპობენ მოქალაქეებ მიიღონ კარგი და იაფი ორტოპედიული ნაწარმები და ბანდაჟი.

ამიტომ საჭიროა ჯანმრთელობის კომისარიატმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და კერძო მესაკუთრეებს აუკრძალონ ორტოპედიული ნაწარმოების დამზადებით ვაჭრობა, ისე როგორც აკრძალულია მედიკამენტებით ვაჭრობა.

ჰაკანა.

განზრახვა სისრულეში მოიყვანეთ

ქალაქ თბილისის სკვერები ამჟამად მეტად კარგ მდგომარეობაშია. შეიძლება ითქვას, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა ასეთი მზრუნველობის ქვეშ. მიუხედავად ამისა საჭიროა ერთი ნაკლის [illegible] აღნიშვნა. როგორც ვიცით, მიმდინარე ზაფხულში განზრახული იყო თბილისის ბაღ-სკვერების აგურის ფხვნილით მოფენა, მაგრამ დღემდე ეს განზრახვა არ სისრულეში მოყვანილა.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რათა თბილისის ბაღ-სკვერები შეიძლება დაჩქარებით მოეფინოს აგურის ფხვნილით.

ს—ნი.

—:—

საჭიროა გამოირკვ[illegible]

(სადგ. ბათომი)

რკინის გზის ზოგიერთი აგენტის დაუდევრობა იქამდის მიდის, რომ ცა დაუბებს ვერ არჩევენ ტვირთიანს საგზ[illegible] ქვაბებს ხშირად მათ უკან გზავნიან ცარიელს [illegible]თად. მაგალითად, ბათომის სადგურ[illegible] და მაზუთით სავსე ქვაბი № 343,254 [illegible] ვიღაცას დაუდევრობით ეს ქვაბი [illegible] ვირთული. ცარიელ ქვაბებთან ერთად [illegible] რუნეს უკან, ბაქოს მიმართულებით [illegible] ვისტოს მატარებელ № 101-ით.

საჭიროა ეს დაუდევრობა გამოირკვეს თანადო ორგანოს მიერ და დამნაშავეს სუხი მოეთხოვოს. ასეთი შემთხვევები [illegible] ველი არ არის.

ბახელი[illegible]

მუშკორთა წერილებიდან

თადარიგიანი თანამშრომელი. „მიასოპრო[illegible]დუქტის" თანამშრომელი კოლია რამაზაშვილი სამსახურის გამო გადაყვანილია ბათომში გასულ წლის მაისიდან და იქ ცხოვრობს. ამავე დროს მას ეგორის ქუჩაზე 46 ნომერ სახლში დაქირავებული ორი ოთახი, ამ ხნის განმავლობაში დაკეტილი აქვს. საჭიროა ეს ოთახები გადაეცეს უბინაო მუშას.

მცოდნე.

დაამტკიცეთ კოლხელშეკრულება. მალე დაიწყება ახალი კოლხელშეკრულებების დადების კამპანია, ხოლო მუშკოოპის გამგეობასა და სახკვების კავშირს შორის გასულ წელს დადებული ხელშეკრულება ჯერაც არაა დამტკიცებული. ნუ თუ ამას არ ქვია საქმის გაჭიანურება? კავშირო მიიღე ზომები.

ა. დ. მათხოვრელი.

რკინის გზებზე

მოზარდ მუშათა და მოწაფეთა კოლონიები

ა. წ. 25 ივლისიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის სამმართველო ჰგზავნიდა ცემში კლიმატიურ საკურორტო ზონაში მოზარდ მუშებს და რკინის გზის სკოლების მოწაფეებს სამი კვირის ვადით, სრული უზრუნველყოფით. მიმდინარე სეზონის განმავლობაში კოლონიაში გაგზავნილ იქნება 200 მუშა და 320 მოწაფე.

ჭაობების ამოშრობა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის სამმართველო აწარმოებს ჭაობების ამოშრობას რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ ზოლში. აღნიშნული საქმიანობა დამთავრდება პირველ ოქტომბრისათვის.

თანხები განაწილებულია შემდეგნაირად: გორის რაიონში დაჯდება 8.000 მან., უფლისციხის—500 მ., ხაშურის—5.000 მან., გარდაბანის—500 მ., კარაკლისის—8.000 მან. და ერევანის—1.000 მან.

დაჯახება

პირველ სექტემბერს ღამით სადგ. თბილისში, მე-13 ხაზზე ნავთით დატვირთულ მატარებლის ჩამოყენების დროს, მოხდა დაჯახება. დეპოდან მომავალი ორთქლმავალი № 125 შეიჭრა მატარებლის შემადგენლობაში გვერდით. [illegible] დაზიანდა ორი ცისტერნა.

მატარებლის ქვეშ

ორთაჭალის-ლენინაკანის გადასარბენის მე-218 კილომეტრზე მატ. № 93 აღმოჩნდა რკინის გზის ხაზზე გადამავალ ურემს. ურემი დაიმსხვრა, მატარებელმა გასრისა ურემზე მჯდომარე გლეხი ხუდო ისა-ოღლი—50 წლის.

გვამი გადაგზავნილია რკ. გზის საავადმყოფოში.

ნიაღვრები

ქიურდამირის რაიონში, რამდენიმე დღეა მოდის ძლიერი წვიმები. მთის მდინარეები გამოვიდნენ კალაპოტიდან, რაც აფერხებს სადგ. ქიურდამირის წყლით მომარაგებას.

სინათლის მიწოდება

სადგ. ხანლარისათვის ელექტრონის ენერგიის მისაწოდებლად, ამიერ-კავკ. გამგეობა შეუდგა სხვადასხვა მოწყობილობის დადგმას. სამუშაოებისათვის გამგეობამ გადასდო 20 ათასი მანეთი.

ელ. ენერგიას სადგურს მიაწვდიან ალავერდის კომბინატიდან.

ქრონიკა

ა.-კ. საბეითლო ინსტიტუტი

1928—29 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტს მიეცა 800.000 მანეთი საორგანიზაციო ხარჯებისათვის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ბინის და ლაბორატორიების და კაბინეტების მოსაწყობად.

ამჟამად დამთავრებულია სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის აგება 50 კაცისათვის და ეწყობა მეორე საერთო საცხოვრებელი 80 კაცისათვის.

25 სექტემბერს დაიწყება საკონკურსო გამოცდები იმათთვის, ვინც მივლინებულია ა.-კ. სავეტერინარო ინსტიტუტში რესპუბლიკებიდან.

ინსტიტუტის საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ მოსკოვიდან ერევანში გამოემგზავრა პროფ. მასინო.

ფ.-ტ. მუშაკთა მოსამზადებელი სკოლა

წელს ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა მოსამზადებელი სკოლა დაამთავრა 60 კაცმა. კურსდამთავრებულთა გამოშვების შემდეგ სკოლა დაიხურა, რადგან ყველა ადგილები ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში შევსებულია. სკოლა არსებობდა 3 წელიწადი.

ახალი სკოლა ჩაქვაში

სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობამ დაადგინა შეიტანოს თავის ხარჯთაღრიცხვაში 25.000 მანეთი ახალი სკოლის ასაგებად ჩაქვაში; ეს სკოლა აგებული იქნება ნაცვლად 1925 წელს დამწვარ სკოლისა. ახალი შენობა გადაეცემა ადგილობრივ საბჭოს, რომელმაც შენობის ღირებულება უნდა გადაუხადოს საზოგადოებას.

მდინარეების გამოკვლევა

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილებამ გადასწყვიტა საქართველოს ელექტროფიკაციის მიზნით მოახდინოს მდინარეების გამოკვლევა როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **მილიციის მდგომარეობის** გასაუმჯობესებლად თბილისის აღმასკომმა გამოჰყო კომისია ამხ. საჯაიას, აკოფოვის და თხილავას შემადგენლობით.

◆ **თბილისის აღმასკომის** თავმჯდომარე ამხ. ვ. ბოლქვაძე დაბრუნდა შვებულებიდან და 3 სექტემბრიდან შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **მეცადინეობა** სახ. უნივერსიტეტში დაიწყება 21 სექტემბრიდან.

◆ **სესიები.** სახალხო უნივერსიტეტში შემოდგომის სესიები დამთავრდება 20 სექტემბერს.

სხვადასხვა

◆ **ამხ. სერგო ორჯონიკიძის** სახელობის პარტსკოლაში მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 სექტემბრიდან. მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს.

◆ **ჰიდრო-ელსადგური.** სახალხო მეურ. უმ. საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილება იმუშავებს გეგმას მდ. ხრამზე (თბილისის მაზრა) ახალ ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ.

◆ **სამომხმარებლო კოოპერაციის** მოანგარიშეთათვის თბილისში გაიხსნა გადასამზადებელი კურსები.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** თელავიდან—ეგიროვს, ხიდისთავიდან—შავგულიძეს, ლიბანიდან—გეგელაშვილს, ყაზბეგიდან—ბერპერაშვილს, ანაგიდან—დოლაშვილს.

სასამართლო

„მარუსიებს" მოუნდა საფართლო მაღაზია

თითქო „მარუსია" ყველას ჰყავდა „ტექსტილტრესტ"-ის № 2 საფართლო მაღაზიის თანამშრომლებს შორის.

„მარუსიები" პეპლებივით თავს ეხვიენ როგორც მაღაზიის გამგეს მიხეილ გურგენიძეს, ისე მის თანაშემწე ალექსანდრე აზიზოვს, კანტრალიორ ალექსანდრე კევხიევს და სხვ.

— თუ სხვები აცოცებენ, მე სხვაზე ნაკლები ვარ!—სთქვა კანტრალიორმა კევხიევმა და სამი მეტრი ბატისტი გადაუჭრა თავის დას მარუსიას, რომელიც ხარბი თვალებით მისჩერებოდა თაროებზე შემოლაგებულ ძვირფას მატერიებს.

— ეხლა წადი ჩქარა! არავინ შეინიშნოს. მე ვიცი რომელი მატერია მოგწონს საკაბედ. შემდეგ შემოიარე და გახვეულს დაგახვედრებ.

დღეს ბატისტით დაკმაყოფილდა მარუსია. გათენდა მეორე დღე და მარუსიამ საჩუქრად მიიღო საკაბე „კოფე სმალაკომ", რომელზედაც გუშინ თვალი დარჩა.

— სულელს დამიძახებენ, თორემ სხვას თავი დავანებოთ. ყველა ქურდობს ჩემ დაწესებულებაში და მე დავალო ხმა?—გამგე გურგენიძემ გახვია 7 ნაჭერი შევიოტი და გამოვიდა მაღაზიიდან.

სად წაიღო ამდენი შევიოტი იკითხავთ. შორს არ წასულა. შევიოტი „ხელმისაწვდომ ფასებში" შეიძინა გურგენიძის ნათესავმა კომახიძემ, რომელიც ზესტაფონში ვაჭრობდა მანუფაქტურით.

გურგენიძემ თავისი „მარუსიები" გაიჩინა. ასევე იღლიტებოდენ მაღაზიის სხვა თანამშრომლებიც. მაგალითად, გამგის თანაშემწედ წოდებული აზიზოვი, პავლე კობახიძე, გრიგოლ ოვანესოვი, კონსტანტინე ლანგე.

„მარუსიების" და „შინაური მუშტრების" მიღება ხდებოდა რიგს გარეშე არა მაღაზიაში, არამედ საწყობში, სადაც ისინი გემოვნებას მიხედვით არჩევდენ ფართლეულს და ხელდამშვენებული მიდიოდენ სახლში.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა იპარავდა, გასული წლის პირველ მარტში მომხდარი აღწერით არა თუ დანაკლისი არ აღმოჩნდა (!) მაღაზიაში, პირიქით, ქსოვილების სექციაში ნაჩვენებია 332 მანეთის საქონლის მომატება.

სასწაულიაო—იტყვით. მაგრამ აქ არაფერია გასაკვირი. აღწერა მოახდინეს იმ პირებმა, რომლებიც ქურდობდენ. აბა რომელი ქურდი გასცემს თავის-თავს!

ძალიან ცუდი ხმები გავრცელდა „ტექსტილტორგ"-ის № 2 მაღაზიის შესახებ. დაინტერესებულმა პირებმა აცნობეს გამგე გურგენიძეს, რომ ყურადღების მიქცევაა საჭირო კანტრალიორ კევხიევისათვის.

გურგენიძე ამ დროს მხოლოდ იმას აქცევდა ყურადღებას, რომ სხვას არ ეჯობნა მისთვის საქონლის გაცოცებაში და რაც შეიძლება მეტი გაეტანა.

„ტექსტილტორგის" ა.-კ. კანტორამ ცირკულიარული წერილი გაუგზავნა № 2 მაღაზიის გამგეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ ყოფილიყო დაშვებული ნახევრად არალეგალური საწყობის არსებობა.

ეს ცირკულიარი გადუძახეს კალათაში.

რაში იყო საქმე? რად დასჭირდა ამ ცირკულიარის გაგზავნა ა.-კ. კანტორას.

საქმე იმაშია, რომ № მაღაზიასთან ამ ჩვენს „სპეც-მანუფაქტურისტებს" ჰქონდათ ნახევრად არალეგალური საწყობი. სადაც ინახავდენ ძვირფას ქსოვილებს და ყველაზე უფრო საჭირო ფართლეულს, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა ბაზარზე.

და აი ამ არალეგალური საწყობიდან,—რომლის გასაღები გამგესაც ჰქონდა, თანაშემწესაც და კონტროლიორსაც,—ხდებოდა „მარუსიების" დასაჩუქრება და ნაცნობ-მეგობრებში ფართლეულის გასაღება.

ქურდებმა იცოდენ, რომ საქონლის დანაკლისი დიდი იყო. საჭირო იყო დანაკლისის დაფარვა.

გაუშვეს იაფ-ფასიანი საქონელი ორმაგ ფასებში. ფასების დაკლების მაგიერ, მთელი ასი პროცენტით აუწიეს ფასებს.

ასეთი საშუალება იქნება მართლაც მოსპობდა დანაკლისს, მაგრამ მოულოდნელად მოვიდა განკარგულება მაღაზიის ლიკვიდაციის შესახებ.

რაღა იყო სალიკვიდაციო! ისედაც დიდი ხნით ადრე ლიკვიდაცია ქმნილი ყო მაღაზიაში ყველაფერი, რაც კი რამ სასიკეთო მოიპოვებოდა. სული განუტევა მაღაზიამ უდროვოდ. „მარუსიებს" ეკითხოთ იმის ცოდვა.

შეიკრიბა „დამსაფლავებელი" კომისია, რომელმაც ჰპოვა 10,528 მანეთის საქონლის დანაკლისი.

უნდა გეყურებიათ რა ამბავში იყვნენ მაღაზიის ძველი „ჭირისუფლები", როცა მოსთხოვეს დანაკლისის შესახებ პასუხის გაცემა.

— მე რა ვიცი!.. ალბად, კანტრალიორი ქურდობდა ამბობს გამგე.

— რაო? ნუ მათქმევინებ ყველაფერს... შენ არ იყავი, მუშას რომ აჰკიდე შევიოტები და გააცოცე! — კანტრალიორი პირში წაუდგა.

— მე ბატონო, თანაშემწე გახლდით და ბევრი არაფერი მეკითხებოდა,—მიძვრება კარებისაკენ გამგის თანაშემწე ალექსანდრე აზიზოვი.

ამბავი ეცნობა საგამომძიებლო ორგანოს გამოძიებამ დაადასტურა, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებით იღლიტებოდენ და ერთმანეთს ნაშუს უნახავდენ ზემოდ ჩამოთვლილი პირები: მაღაზიის გამგე **მიხეილ გურგენიძე**, მისი თანაშემწე **ალექსანდრე აზიზოვი**, კანტრალიორი **ალექსანდრე კევხიევი**, თანამშრომლები: **პავლე კობახიძე, გრიგოლ ოვანესოვი და კონსტანტინე ლანგე.**

მათ დაეკისრათ პასუხისმგებლობა 10.528 მანეთის საქონლის მითვისებისათვის.

ახლო მომავალში მოხდება ბოროტმოქმედთა გასამართლება.

ბერ.

ხელოვნება

როგორი იქნება ოპერის მომავალი სეზონი

მოსკოვიდან დაბრუნდა სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრის დირექტორი ლ. ჯაფარიძე, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სახელმწიფო ოპერის მომავალი სეზონის პერსპექტივების შესახებ განაცხადა:

— სეზონის მშენებლობას ჩვენ საფუძვლად დაუდეთ ძლიერი, მაგრამ მცირერიცხოვანი დასი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ მხატვრულად გამართული წარმოდგენები. ამიტომ ჩვენ გადავსწყვიტეთ შევამციროთ დასადგმელ ოპერების რიცხვი 20-დე (ამაში ახალი დადგმებიც). ამავე დროს ჩვენ მიზნად ვისახავთ გადავსინჯოთ ძველი დადგმები და სიახლე შევიტანოთ მათში. ამ მუშაობას უხელმძღვანელებს სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეული ცნობილი რეჟისორი, დამსახურებული არტისტი **ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.**

ახალ დადგმათა რიცხვში ამ სეზონში შეტანილი იქნება **კ. მეღვინეთ-უხუცესის** ოპერა **„ამირანი"**, რომელსაც დასდგამს **კ. მარჯანიშვილი** მხატვარ **დ. კაკაბაძის** ესკიზების მიხედვით; პუჩინის ახალი ოპერა **„პრინცესა ტურანდოტი"**, რომელიც დიდის წარმატებით სარგებლობს საზღვარ-გარეთ და მიმდინარე სეზონში დასადგმელად მზადდება მოსკოვის დიდ თეატრში. ამას გარდა, დადგმული იქნება ცნობილ კომპოზიტორის **ს. ვასილენკოს** ახალი ოპერა **„მზის ვაჟი"** (ლიბრეტო **მ. გალპერინის**), რომლის სიუჟეტი აღებულია ჩინელ ბოქსერთა აჯანყებიდან. აღნიშნული ოპერაც დასადგმელად მზადდება მოსკოვის დიდ თეატრში. კომპოზიტორი ვასილენკო პირადათ უხელმძღვანელებს ოპერის დადგმას ჩვენს თეატრში და ლოტბარობას გასწევს პირველ წარმოდგენაზე. ნ. ბოგოლიუბოვს წინადადება მიეცა აგრეთვე დადგას **ვოლ. ფერარის** ახალი ოპერა **„ოთხი დესპოტი"**, რომლის მასალები შეკვეთილია გერმანიაში. ამასთანავე დადგმული იქნება **„პერიკოლა"** სრულიად ახალი ლიტერატურული ტექსტით.

მომავალ სეზონში სრულიად ახალი დადგმით წავა ოპერა **„ლაკმე"**, რომლის ახალი ლიბრეტო დაწერილია **მ. გალპერინის** მიერ. ლიბრეტოში ნათლად არის დასურათებული ინდოეთის ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმთან. ამ ოპერის დადგმამ შარშან მოსკოვში დიდი ინტერესი გამოიწვია და ის იყო პირველი და მოხდენილი ნიმუში ძველი ოპერების გადაკეთებისა. ოპერის მუსიკალური ტექსტი სრულიად უცვლელი დარჩა.

გასული სეზონის რეპერტუარიდან განახლებული დადგმით წავა „ფაუსტი", „პიკის ქალი", ევგენი ონეგინი", „აიდა", „გოფმანის ზღაპრები", „ჯამბაზები", „ოტელო", „ურიის ქალი" და „კარმენი", ქართული ოპერებიდან: **„აბესალომ და ეთერი"**, ვ. აფრამეევას და ე. სტეპანოვას მონაწილეობით ეთერის პარტიაში; **„დაისი"**, ს. მიგაის მონაწილეობით კიაზოს პარტიაში, და **„თამარ ცბიერი"** ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით თამარის პარტიაში.

ჩვენ მიერ დადებულია ხელშეკრულება ბაქოს ოპერის თეატრის დირექციასთან, რომლის ძალით ბაქოს თეატრის მსახიობები ვალდებულნი არიან პერიოდულად გამოვიდნენ ჩვენ თეატრში; ასევე ჩვენი თეატრის მსახიობებიც მიიღებენ მონაწილეობას ბაქოს თეატრის წარმოდგენებში.

წელს კი ჩვენ მოგვიხდა მოლაპარაკების წარმოება პირადათ დიდი და ყოფ. მარიის თეატრის აქტიორებთან. მოსკოვის დიდი თეატრი დათანხმდა მისცეს იმ არტისტებს რომლებმაც ხელშეკრულება დასდეს ჩვენთან, შვებულება ერთიდან ორ თვემდე, ჩვენ თეატრში სამუშაოდ.

დირიჟორი დამსახურებული არტისტი **ა. პ. პავლოვ-არბენინი** კი, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას მიმდინარე წელში, დიდ თეატრის მიერ მოვლინებულია ქ. თბილისში 5 თვით. სოპრანო **ნ. პ. სიროვცკაია** კი განთავისუფლებულია 4 თვით. დირიჟორთან პავლოვ-არბენინთან ერთად მოწვეულია აგრეთვე სახალხო არტისტი **ი. პ. ფალიაშვილი.**

თითო თვით სამუშაოდ თბილისში მოწვეულნი არიან მოსკოვის და ლენინგრადის თეატრების პრემიერები: **ე. ა. სტეპანოვა, დ. დ. გოლოვინი, ს. ი. მიგაი, ს. ი. კოზლოვსკი, გრიგოლ პიროგოვი, ვლ. რ. სლივინსკი** და პრიმა-ბალერინა დიდი თეატრისა **ა. ი. აბრამოვა** და ბალეტის პრემიერი **მ. მ. გაბოვიჩი.** ყველა მოწვეულ არტისტებთან დადებულია ხელშეკრულებები და გაცემულია ავანსი.

უცხოეთთან კულტურული კავშირის საზ. თავმჯდომარის **ო. დ. კამენევას** საშუალებით სწარმოებს მოლაპარაკება ცნობილ ლატვიელ მომღერალ ქალ **ბლეხმან-შტენგელთან** (სოპრანო) მისი გასტროლების მოწყობის შესახებ დიდ თეატრსა და თბილისის ოპერაში.

ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ აგრეთვე ცნობილ იტალიელ ტენორ **ბერგამასკისთან** მის მოწვევის შესახებ გასტროლებზე. უკვე მიღებულია ნებართვა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საუწყებათაშორისო კომიტეტიდან მისი მოწვევის შესახებ.

ჩვენი დასის ძირითად შემადგენლობაში მიწვეულნი არიან შემდეგი მსახიობები: **სოპრანო**-ყოფ. მარიინის თეატრის პრემიერი **ა. ი. კობზარევა, ვ. მ. აფრამეევა, ჰექტორ-ზაბორსკაია, ნ. პ. სიროვცკაია** (ოთხი თვით) და **ვ. მრავალი**; მეცცო-სოპრანო **ფატმა-მუხტაროვა**; ტენორები: მოსკოვის თეატრის პრემიერი—**ა. მ. ალექსეევი, ვ. პ. ვიქტოროვი, ა. ა. დრომძოვი, ნ. ი. ქუმსიაშვილი**, და **ალ. ატამანოვი** (ნემიროვიჩ-დანჩენკოს სტუდიიდან) და **ლ. საბინინი** (ბაქოს თეატრიდან); ბარიტონები: დამსახ. მსახიობი—**ა. ლ. ბრაგინი, სანდრო ინაშვილი, ვლ. ქაშაკაშვილი**, და **იახონტოვი**; ბანები: **ლეონ ისეცკი** და დამსახურ. მსახიობი **ა. ბ. ნიკოლსკი.** ამ სეზონისათვის გადახალისებულია ბალეტის სრული შემადგენლობა. მოწვეული არიან ახალი არტისტები მოსკოვის, ხარკოვის და ლენინგრადის თეატრებიდან. პრიმა-ბალერინებათ, გარდა ა. ი. აბრამოვასა, რომელიც მოწვეულია „წითელი ყაყაჩოსა" და „გედის ტბის" საბალეტო წარმოდგენების ჩასატარებლად, მოწვეულნი არიან აგრეთვე: **ვ. კ. მელხასინა** (ხარკოვის თეატრიდან) და **ი. პ. იარიგინა.** პრემიერათ გაბოვიჩის გარდა, **ვ. ბანანინი** მსახიობ ქალ გელცერის ცნობილი პორტნიორი და **პ. პავლოვი.** ბალეტმეისტერებათ მოწვეულნი არიან: **რ. ი. ბალანოტი** და **ს. სერგეევი**, ბალანოტი თბილისში ჩამოვა ამ დღეებში და მხატვარ **ნ. კ. პელიონკინთან** ერთად შეუდგება კომპოზიტორ გლიერის ბალეტის გაფორმებას. ეს ბალეტი წარმოადგენს პირველ საბჭოთა ბალეტს, რომელიც მოსკოვში განუწყვეტელი ანშლაგებით მიდის. კომპოზიტორი გლიერი პირადათ გაუწევს დირიჟორობას ბალეტის პირველ წარმოდგენებს. ბალანოტი სერგეევთან ერთად გადაახალისებს ყველა ბალეტებს ძველ ოპერებში.

სახელმწიფო ოპერის დირექცია თავის მთავრით ამოცანად ისახავს თეატრის გარშემო საბჭოთა მაყურებლის დარაზმვას და მჭიდრო კონტაქტის დამყარებას მუშათა აუდიტორიასთან.

ჩვენი თეატრი უშვებს აბონიმენტებს, რომელიც 10 წარმოდგენას შეიცავს. მათ რიცხვში შევა ოთხი ახალი დადგმა, ოთხი განახლებული ოპერა და ორი საბალეტო წარმოდგენა.

აბონიმენტის წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ძირითად შემადგენლობის გარდა მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრებიდან მოწვეულნი პრემიერები, არა ნაკლებ ოთხი მსახიობისა.

აბონიმენტს უშვებთ ორმოცი პროცენტის დაკლებით და ექვსი თვის გადახდის ვადით პროფკავშირთა წევრებისათვის. აბონემენტის მყიდველს მიეცემა გადაცემის უფლებით და აგრეთვე გარანტიით იმ შემთხვევისათვის, თუ იგი ვერ წავა აბონემენტში აღნიშნულ წარმოდგენაზე (თუ კი იგი ნაშუადღევის ორ საათამდე განაცხადებს ამის შესახებ სალაროში); მას მიეცემა შესასვლელი ტალონი მთელი სეზონის განმავლობაში ერთ წარმოდგენაზე დასასწრებად.

ყველა ჩვენი აბონენტები მიიღებენ ჩვენი თეატრის ორკვირეულ ბიულეტენს, სადაც მოთავსებული იქნება დადგმების სრული ლიბრეტო, სახელმძღვანელო წერილები დადგმებისა და თეატრის მმართველობის შესახებ. გარდა ამისა დირექცია მოაწყობს ორგანიზაციულად დარაზმულ მაყურებლების კონფერენციებს, მოუსმენს და გაეცნობა თავის აბონენტებს და აუდიტორიას და ამგვარად მუშა მაყურებელს გახდის თეატრის ხელმძღვანელად.

საბონიმენტო სისტემა რომ შეესაბამება ფართო მასების ინტერესებს, ამას აშკარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ სასეზონო აფიშის გამოკვრამდე თეატრის კასაში უკვე შემოსულია ადგილკომების განცხადებები თითქმის მთელ პირველ აბონიმენტზე.

საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს პროლეტარ. მწერალთა ასოციაციის არსებობიდან არ მომხდარა ასოციაციის წევრთა სოციალური, კულტურული და ყოფა-ცხოვრებითი შემოწმება. თანახმად ს. პ. მ. ა. დადგენილებისა, გამოყოფილია ცენტრალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ჩაატაროს რესპუბლიკის მასშტაბით წევრთა აღრიცხვა მათი შემოწმების მიზნით.

ასოციაციის ყოველი წევრი, ვალდებულია თავის დროზე გატარდეს აღრიცხვაზე.

წევრთა შემოწმების დრო დანიშნულია 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე. თბილისში მყოფი წევრები აღრიცხვაში გატარდებიან ამხ. ს. ეულთან (განსახკომში), პროვინციაში აღრიცხვა სწარმოებს საქ. პრ. მწ. ასოც. განყოფილებებში.

აღრიცხვის ჩამტარებელი ცენტრალური კომისია.

ხელოვნების ქრონიკა

საბავშვო თეატრი

სახელმწიფო დაწესებულებათა მთავარ მართველობის ცნობით, მომავალ სეზონში თბილისში გაიხსნება საბავშვო თეატრი. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია. თეატრთან იმუშავებს ქართული, რუსული და სომხური სექტორები. ქართულ სექტორის ხელმძღვანელად მიწვეულია მსახიობი ა. თაყაიშვილი.

მთელი სეზონის განმავლობაში სულ წარმოდგენილი იქნება 6 ახალი საბავშვო პიესა.

◆ **ტოლსტოის საიუბილეო** დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მოსკოვში მიავლინა **ტიციან ტაბიძე.**

◆ **ყიხარევას გასტროლი.** დღეს მედსანშრომის მუშაკთა კლუბში გაიმართება ყიხარევას გასტროლი.

ხელოსანთა კლუბში 5 სექტემბერს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს ბერდიაევის ხელმძღვანელობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

კინო

სახელმწიფო კინო-მრეწველობაში

„სამანზე". დაბრუნდა მუხიანიდან რეჟ. ესაკიას ექსპედიცია, რომელმაც დაასრულა ნატურის გადაღება. ორი პავილიონის გადაღების შემდეგ დაიწყება სურათის მონტაჟი, ოპერატორი პოზმანი.

„დღეები". მ. კალატოზიშვილი და ლოლობერიძე ახლო ხანში დაამთავრებენ „დღეების" მონტაჟს, მთავარ როლებში კაუცკი, მაკდონალდი და მთელი მეორე ინტერნაციონალი. სურათი გამომუშავებული იქნება სექტემბრის შუა რიცხვებში.

„მწყემსები". ზემო თუშეთიდან დაბრუნდა რეჟ. შ. ბერიშვილის ექსპედიცია და შეუდგა პავილიონების გადაღებებს. სცენარი სულაკაურის. სურათი დასრულებული და გასაშვებული იქნება სექტემბრის დამლევისათვის.

„კომუნარის ჩიბუხი". რეჟ. კ. მარჯანიშვილი აწარმოებს ქ. ქუთაისში სურათ „კომუნარის ჩიბუხი"-ს მასიურ სცენების გადაღებას, რომლის დასრულების შემდეგ შეუდგება სურათის მონტაჟს.

„მალარია". რეჟ. ლ. პუში გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში ადგილების დასათვალიერებლად, სადაც გადაღებული იქნება სამეცნიერო ფილმი „მალარია".

„კორნეტი სტრიშნიოვ" რეჟისორმა შ. ჭიაურელმა ი. ძიგანთან ერთად დაამთავრა სურათი „კორნეტი სტრიშნიოვი". ახლო მომავალში დანიშნულია სურათის გასინჯვა.

„ხუთი წუთი". სახკინმრეწვის მოსკოვის განყოფილებაში დასრულდა სურათ „ხუთი წუთი"-ს გასინჯვა. თბილისში სურათის გასინჯვა მოხდება არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

„ჩქარი № 2" რეჟ. გ. მაკაროვის ჯგუფი გაემგზავრება ბაქოში სურათ „ჩქარი № 2" გადასაღებათ. სცენარი შ. ხუსკივაძის და პ. მორსკოის.

„კომკავშირელები". რეჟ. მ. გელოვანი ასისტენტი დ. რონდელთან ერთად აწარმოებს სურათ „კომკავშირელები"-ს მოსამზადებელ მუშაობას. სცენარი ე. მდივნის. ოპერატორი ა. დიუმელოვი.

კოტე მიქაბერიძეს მიენდო გადაღება ეთნოგრაფიულ ფილმის „საქართველოში მოსახლე ხალხები". სურათი ასახავს ფშავების, ხევსურების, თუშების, სვანების, ოსების, ქისტების და სხვა მთიულების ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

ფიზკულტურა და სპორტი

მოსკოველი ფეხბურთელების ჩამოსვლა

10—12 სექტემბერს თბილისში მოელიან მოსკოვის წითელი არმიის და ფლოტის ცენტრალური სახლის ფეხბურთელთა გუნდს, რომელიც აქ ჩაატარებს რამოდენიმე ამხანაგურ შეჯიბრს.

სპარტაკიადაზე და სრულიად საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში გამარჯვებული მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი. სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: ხოლინი, ტროცკი, სტაროსტინი, ლეუტა, ისაკოვი, ლეონოვი, სელინი, რუშინსკი, ბლინკოვი, ეგოროვი და სტაროსტინი მეორე.

აღნიშნული გუნდი ერთ-ერთ უძლიერესი გუნდია მოსკოვში. გუნდში შედიან: მეკარე—მატვეევი, მცველები—პჩელიკოვი და ისაევი, (სათადარიგო — ხალკიტოვი), შუალები: მალახოვი, რატოვი, ნიკიშინი (სათადარიგო—სტრელჟეევი და ბარლიაევი), თავდამსხმელები: დუბინინი, სავოსტიანოვი, კოვალოვი, რიბინი, ყიბოედოვი (სათადარიგო— სტაროვეროვი).

გუნდის წარმომადგენელია—**კულაგინი.**

თბილისს გარდა მოსკოველი ფეხბურთელები ესტუმრებიან ბათომს და ერევანს.

თბილისში სტუმრებთან ითამაშებს „დინამო" და პროფკავშირთა ნაკრები გუნდი.

„დინამო"-ს დაბრუნება

ამ დღეებში თბილისში დაბრუნდება ფეხბურთელთა გუნდი „დინამო", რომელიც გამოდიოდა საკავშირო სპარტაკიადაზე.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ „დინამო" მოსკოვიდან გაემგზავრა ივანოვო-ვოზნესენსკში და ორეხოვო-ზუევოში. სადაც იგი მიწვეული იყო რამდენიმე შეჯიბრის ჩასატარებლად.

ცილობა პინგ-პონგში

2 სექტემბერს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში გაიხსნა საქალაქო საკლუბთაშორისო შეჯიბრება პინგ-პონგში (ტენისი მაგიდაზე).

გუნდობრივ ცილობაში მონაწილეობას იღებს 11 გუნდი. პირველობა აიღო საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილი ხვდა ტენისის კლუბის გუნდს.

გუშინ, 3 სექტემბერს, დაიწყო ინდივიდუალური ცილობა პინგ-პონგის თამაშში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 78 კაცი.

დღეს ამავე კლუბის სეზონში ჩატარდება ქალების ინდივიდუალური შეჯიბრება. მონაწილეობას იღებს 20 ქალი.

შემთხვევები

კატასტროფა საბჭოთა ქუჩაზე

გუშინწინ, ღამით, ტრამვაის ვაგონი № 102 (მარშრუტი 11), რომელსაც მართავდა ვატმანი გიორგი თედორეს ძე ეგოროვი საბჭოთა ქუჩაზე დაეჯახა ამავე ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს № 303 (მარშრუტი 11). დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ვაგონი № 303 სერიოზულად დაზიანდა.

მძიმედ დაშავდა № 303 ვაგონის ვატმანი ბურჭულაძე. მსუბუქად დაშავდენ მგზავრები: ანა სიმონის ასული ანანოვა (მცხ. საზოგადოების ქუჩა № 2) ატამ მელქონისძე ხაჩატუროვი (კახეთის ქ. № 11, არტაშ ანუშავანის ძე ვართანიანი (მცხ. ვაზნის მოედანი), მიკირტიჩ ოსკანის ძე მიკირტუმოვი (პუშკინის ქ. № 17), ხორენ ხაჩატურის ძე სარქისიანცი და მარია გიორგის ასული კარსავა.

დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ვატმანი გიორგი ეგოროვი დაპატიმრებულია.

კვლევა-ძიება გრძელდება.

„ჟოკეი—კლუბში" მომხდარ დებოშის გარშემო

გუშინ მერვე უბნის გამომძიებელმა ი. ადამიძემ „ჟოკეი-კლუბში" მომხდარ დებოშის შესახებ დამატებით ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

თომა სანდულაშვილი (მცხ. ვერის შესახ. № 5) და შ. გედევანიშვილი (მცხ. მატერიალური ქუჩა № 5) ერთმანეთთან ცუდ განწყობილებაში იყვნენ. სანდულაშვილი ცნობილი ხულიგანია, რომელიც ამას წინად გასამართლებული იყო ზაჰესის სამმართველოს სალაროს გაქურდვისათვის.

სანდულაშვილი დარწმუნებული იყო, რომ იგი გედევანიშვილმა გასცა და ციხიდან მუქარის წერილებსაც უგზავნიდა მას.

ა. წ. 1 სექტემბერს, გედევანიშვილი მივიდა სანდულაშვილის ბინაზე შესარიგებლად, მაგრამ უკანასკნელმა სუფრის დანას წაავლო ხელი და მოინდომა სტუმრის დაჭრა. გედევანიშვილი სწრაფად გამოვარდა ოთახიდან. ამავე დღეს, საღამოთი ორთავე შეხვდნენ ერთმანეთს „ჟოკეი-კლუბში".

როცა გედევანიშვილმა დაინახა სანდულაშვილი, ერთ-ერთ ამხანაგისაგან ითხოვა რევოლვერი და გადასწყვიტა მისი მოკვლა.

როცა სანდულაშვილი საკონცერტო შენობის კარებთან იყო გაჩერებული, გედევანიშვილმა ზურგიდან ესროლა მას რევოლვერი.

მაგრამ რევოლვერის ტარზე ხელი დაუკრა იქვე მდგომმა მოქ. ვასო ხუციშვილმა. ამგვარად, ტყვია ასცდა სანდულაშვილს და მოხვდა მოქ. ბ. კვაჭაძეს. ხუციშვილმა წაავლო ხელი რევოლვერზე. მაგრამ გედევანიშვილმა არ დაინდო ის და მძიმედ დასჭრა მუცელში.

შეიქნა პანიკა აურ-ზაური. აღსანიშნავია, რომ გედევანიშვილმა რამოდენიმეჯერ გაისროლა რევოლვერი ხალხში.

ამავე დროს იქვე მოქ. კ. კანდელაკმა სამჯერ გაისროლა „კარაბელუმიდან".

რის ვაი-ვაგლახით სამივე ხულიგანი დააპატიმრეს.

მკვლელობა

სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ 9 წლის ეპაჩიცევმა სანადირო თოფით უცაბედათ მოჰკლა 14 წლის და ზინაიდა.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 4 სექტემბერი

დღეს, 4 სექტემბერს, თბილისის 4-კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—გამოცდები ქართულ ენაზე.

გლეხური რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

მოხსენება „ინდუსტრიალიზაციის მეორე [illegible]"—ქართულ ენაზე.

მოხსენება—„საშემოდგომო თესვის კამპანია"—რუსულ ენაზე.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

5 სექტემბრის პროგრამის გადაცემა—ქართულ და რუსულ ენებზე.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა. ხელზე

დღეს, 4 სექტემბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: არშაკ ახირბეგოვი; ილია იაშვილი; ალექსი კომლაძე; არტაშეს ოგანეზოვი, აბრამ ბამულაშვილი, ლეონ ემილიანცი; ნიკოლოზ სოლომაშვილი; ლუკა ლადუნჯიაშვილი, რუბენ სოგიმოლოვი, ლიუბა ჩხეიძე, ანდრონიკ სააკოვი, ვასილ ელისეევი, ბესარიონ მაისურაძე; ეკატერინე ბახტაძე; ლევან რაპალსკი; იოსებ ლაცაბიძე; შალვა სულხანიშვილი; კონსტანტინე ანდრეევი, სევერიანე მაისაშვილი, ფლორა მელნიკოვა, გრიგოლ პოარვინი; ელენე ალექსანდროვა, არამ ოგანეზოვი; გრიგოლ ბაბაიანი, ანნა ბებრუჩკოვა; გალუსტიანი, ვართანიანი, ივანე მაგოლეტკინი, ირინა ზვერინცევა; ბარბალე ჟუკოვა; ალექსანდრე მელიქაშვილი, ნიკოლოზ მეტრეველი; მარიამ იორამოვა; ნინო ტურკინა; პავლე წიწივაძე; ანნა მალახიანცი, იუსტინე კაპიროძე; ბარბალე ენუქიძე, ჰიბო დარხვინიანი, ევგენია ულიანოვა; სიმონ ოლაგოვი, იოსებ ტატულოვი, დავით მაღალაშვილი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: აპოლონ ხეცურიანი, ნატალია ბეჟანოვა, შტეინბერგი; ნინო კორჩაევა; არმენაკ ტაროიანი, პორფილე თვალაძე, თამარ ნერსესოვა, ვაიკ ახტიანი; მარგარიტა ზარატიშვილი, ვერა ლებედინსკაია, აბრამ ლიფშიცი, ალექსანდრა ნუდელი, ეკატერინე მალიანცი, ევგენია ზაბოზლაევა, ელენე პუგინოვა; თამარ წურუმოვა, ნატალია სტეპანოვა, ლუბა ახობაძე, მარიამ ინაშვილი; ელენე გალიევსკაია; ილარიონ ხარბედია; ნიკოლოზ ჯმუხაძე; ალექსანდრე ბლაგიძე; მიხეილ გაზაროვი, ესტატე ჭურციკიძე; კარაპეტ გალუსტოვი; მიხეილ მანჯგალაშვილი; ბახშო ბარსეგოვი, ალექსანდრე მუშმურიძე; აბრამ დავითაშვილი, შალვა ებრალიძე, გიორგი იხტიაროვი, ლევან სანტურჯიანი; შალვა რობაქიძე; გიორგი ჩხეიძე, აბესალომ წერეთელი; გიორგი ფარულავა, ალექსანდრე ჭურდიანი, ნინო სულამანიძე და სოფიო გამრეკელი.

პარტიული კალენდარი

თბილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედების პასუხისმგებელ და ტექნიკურ მდივნებს, დღეს, სამშაბათს დღის 12 საათზე გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში.

მოულოდნელად თავზარდაცემულნი: დედა დარო, დიდედები: ევა და დარო, დედის დები: ნატაშა და სუსანა, მამიდები: ლიზა და მარო, ბიძა მიშა ლელაშვილი, სიძეები: ნიკო, არშაკა და ერასტი, ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად დაიღუპა მათთვის დაუვიწყარი

ვალოდია ალექსანდრეს ძე მარანელი

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 4 სექტემბერს, დღის 4 საათზე ყ. არამიანცის საავადმყოფოდან ვერის ახალ სასაფლაოზე.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის და მასთან არსებული ინტერნატის თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 2 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი თანამშრომელი

მინა (ნინო) იოსების ასული რაზმაძე

გამოსვენება დღეს 4 სექტემბერს, 3 საათზე. ქალაქის 1-ლი საავადმყოფოდან (ყოფილი არამიანცის), კუკიის სასაფლაოზე. 4025

მოულოდნელი უბედურობით თავზარდაცემული მშობლები: დედა მართა, მამა სოფრომი შვილებით, რძლით და შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 2 სექტემბერს, ბათომის საავადმყოფოში მოულოდნელი მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

კეთო სოფრომის ასული ბიბილნიშვილისა

რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, სოფ. ვანში (ქუთაისის მაზ.) დღის 3 საათზე. 4017

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი	დუგლს ფაერბენქსი რასუთში	**რობინ ჰუდ**	
საზაფხულო ეთერი	სეზონის საუკეთესო სურათი	**პურგა**	სურათის ჩვენების დროს უკრავს გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი 10 კაცის შემადგენლობით
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული სურათი	**შავი ბოძი**	
საზაფხულო პალასი	განთქმული სურათი	**აბრეკ ზაური**	რეჟისორი მიხინი
პროლეტარი ავლაბარი		**ზღვის გმირი**	3 და 4 სერია

ანონსი: მალე საზღვარ გარეთის მხატვრული ფილმი „ნეპტუნი" 0—2

მუშათა ახალი კლუბი

დღეს, 4 სექტემბერს,

სიმფონიური კონცერტი

ვალერი ბერდიაევის ხელმძღვანელობით

პროგრამაში—რიმსკი-კორსაკოვი, შეხერეზადე, ვებერი, ლისტი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.

ბაღში—კინო.

შემდეგი კონცერტი ხვალ, 5 სექტემბერს, მედსანშრომის კლუბში. ნ. 1543 3—1

ს.ს.ს.რ. სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო

ლითონის მრეწველობის ტრესტი

„მეტალტრესტი"

თბილისი, საბჭოთა, 115, ტელ. 20—53.

აცხადებს, რომ ყოველდღე ოთხშაბათიდან, 1928 წ. 5 სექტემბრიდან, დღის 2 ს—დან საღამოს 6 საათამდე ცენტრალურ საწყობში პავლოვის ქ. (ტრესტის რაიონი)

გაგრძელდება ღია ვაჭრობა

სხვადასხვა უღლიკვიდაციო ქონების გასასყიდად, რომელიც შესდგება: სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ავტოქონებისა (რომელთა შორის არის სავულკანიზაციო აპარატები), ინსტრუმენტებისა, დინამო-მანქანებისა, ახალი საექიმო ინსტრუმენტარიებისა, ლითონის ნაკეთობათა, სხვადასხვა მასალებისაგან და სხ.

დაწვრილებითი სიების დათვალიერება შეიძლება **ტრესტის კომერციულ განყოფილებაში** დილის 8 საათიდან დღის 2 საათამდე. ნ. 1546

გამოვიდა და იყიდება მაღაზიებში

„ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო"

ი. ავალიშვილისა. 2—1

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე. (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35. 13—1.

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე.

მიღება სწარმოებს 15 სექტემბრამდე ჩოდრიშ. სახ. კლუბში მდივანთან პლეხანოვის პრ. № 66 ან კურსების გამგე ივანე ზაქ.-ძე ტერ-სტეფანოვთან ბოჭორიშვ. (1 თუმანოვის ქ. № 13, კურსებზე უფასოდ იქნებიან მიღებული მსმენელთა 20% ხელოსნები და მათი შვილები. 4032

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. ცენტრ. პარტ. სკოლაში

მეცადინეობა განახლდება ა. წ.

1 ოქტომბრიდან,

ხოლო მისაღები გამოცდები ახლად შემომსვლელთათვის დაიწყება ა. წ. 20 სექტემბერს.

4028 სკოლის გამგეობა.

ФАБР. МАРКА

Утвержд. В.С.Н.Х. СССР за № 2561

АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО

„МУЗЫКА"

Харьков, пл. Р. Люксембург № 10

Производство и продажа музыкальных инструментов

ГАРМОНИИ

2-х, 3-х рядные, венские и хроматические. НАРОДНО-СТРУННЫЕ и ДУХОВЫЕ музыкалньные инструменты в громадном выборе. Требуйте прейскурант № 3, высылается за 3 восьмикопеечные марки

31—1

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი

გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—8 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

25—1

ანონსი

მალე

კინო-

ეთერში

სეზონის

საუკეთესო კომედია

ორი მეგობარი მოდელი და მეგობარი ქალი

[illegible]

დადგმის დღეს

ნ. 1540

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე



სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორი დაყენება სპეციალისტ ექიმის მიერ

უფასოდ

სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ

ქ. თბილისის 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ვ. პ. გაბუნია

ამით აცხადებს, რომ ის 8 სექტემბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 1 გურამიშვილის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ელენა ტალმაჩევა-გუნცაძისას და ირაკლი გუნცაძის მოძრავ ქონებას: ერთ პიანინოს „რეინიშის" ფირმისას შეფასებულს 300 მანეთად, ვასილი ღლონტის 361 მ. ნ. 48 კაპ. ვალის და ხარჯების დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მაზრა ქალაქის სასამართლოსაგან 21 თებერვლის 1928 წ. თარიღით, № 936 | 2 1927 წ. გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4019

ბაღდათის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე ის გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** სოფ. ბაღდათში (ქუთაისის მაზრა) გედეონ სიმონის ძე გუმბერიძის სამ თვალ დუქანს აგებულ აგურის მასალისაგან, დახურულს ჟესტით, შეფასებულს 2000 მან. დასაკმაყოფილებლად კიკნაველეთის თემ. აღმასკომის ფულადი გადასახადისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 4030

ქ. ქუთაისის 1 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 14 სექტემბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 5, ათაბეგოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ქიქიკო გაბეშიძის მოძრავ ქონებას: რკინის კრაოტს, ტანისამოსის შკაფს, დურგლის დაზგას გამბულ ხერხს და სხვ. შეფასებულს 117 მანეთად, ფილიპე გორგიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 17 ივლისიდან 1928 წ. თარიღით, № 3334 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქალ. ქუთაისის მეორე უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ 10 სექტემბერს, 1928 წ., დილის 11 საათ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ანნა მიქელაძის ორსართულიან ქვიტკირის სახლს № 41, მდებარე ქ. ქუთაისში სარაჯიშვილის ქუჩ., რომელიც შეიცავს 10 თვალ საცხოვრებელ ოთახს, ოთხი სამზარეულოთი, შუშაბანდით, სარდაფით, დახურულ კრამიტით, აგებული ნაკვეთ მიწაზე, ზომით ორასი კვად. საჟენი, სახლი შეფასებულია 4,000 მან. და იყიდება სახალხო მამულების ტრესტის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები ს. ს. კოდ. 311 და 312 მუხ. თანახმად, საწინდარი 10 პროც. ნ. 1542

ქალ. ქუთაისის 1-ლი რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 18 სექტემბერს 1928 წ. დ[illegible] 11 საათზე სახლში საბჭოთა ქუჩაზე, მანგალაძის სავაჭროში **საჯარო ვაჭრო[illegible]** გაყიდის ერმილე მანგალაძის მოძრავ ქონებას: 20 ცალს რეზინას ეტლის [illegible] ბორბლებისათვის და ოთხ ცალს ასეთივე რეზინას წინა ბორბლებისათვის შეფასებულს 428 მანეთად, ს.მ.უ.ს. ტრესტის სავაჭრო კანტორის [illegible] დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. მე 2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 10 ივნისიდან 1928 წ. თარიღით, № 2647 ბრძანებისა [illegible].

ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს [illegible]სრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ქუთაისში აკაკი წე[illegible]ის ქ. № 153, დღის 1 საათზე 18 სექტემბერს 1928 წ. დანიშნულია **საჯარო ვა[illegible]ბა** რაჟდენ სარდიონის ძე ნარეშელაშვილის ორ სართულიანი ქვიტკირის [illegible], რომელიც დახურულია კრამიტით, შესდგება ზედა სართული ორი [illegible]საგან და აგებულია საეზოვე მიწაზე ნადგამებით ვარაუდით, ზომი[illegible]0 ოთხკ. საჟ. შეფასებული 700 მან საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფ[illegible] თანხიდან ს.მ.უ.ს. ტრესტის კანტორის სავაჭროს და სხვ. ძიების [illegible]მაყოფილებლად. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მი[illegible]და წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპრ. კოდ. [illegible]ობის შეფასების 10%-ის საწინდარი. 4009

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპა" (ყოფ. „ნოეს"), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევ № 8. 25—2

ექიმი

გიორგი ნიკოლოზის-ძე

ორნოვი

სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—6 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—6-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინ ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი** ავადმყოფობა, სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—0

დავკარგე

შვილი **ვასილ გოგრიჭიანი**, ტანად საშუალო, 16 წლისა, სულით ავადმყოფი. ტანზე აცვია წითელი ხალათი და შავი შარვალი, ფეხზე წაღები. მნახველი მიიღებს განსაკუთრებულ ჯილდოს. უნდა აცნობოს ჩერქეზიშვილის ქ. № 147. **სამსონ გოგრიჭიანს.** 3302

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 24150, ვლადიმერ სარდიონის-ძე ალხაზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4034

დავკარგე: ხეზე მომუშავეთა კავშირის წიგნაკი № 4158, დამხმარე სალაროს წიგნაკი და პირადობის მოწმობა სერგო მიქელაძის სახელზე ჩ. გ. 4033

დავკარგე საბჭოთა და სავაჭროთა კავშირის წიგნაკი № 11296, ვასო ალმასხანის-ძე სიხარულიძეს სახელზე ჩ. გ. 4024

დავკარგე: ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 96373, გაცემული მსახიობ დავით ჩხეიძის სახელზე, ჩ. გ. 4021

დავკარგე: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 79, გაცემული სენაკის მაზრის სოფ. ონოღიის შვიდწლიანი შრომის სკოლიდან 27 ივნისს 1927 წ., ალექსანდრე ილარიონის ძე ქიქიას სახელზე, ჩ. გ. 4023

დავკარგე: საჩიჯაოს თემაღმასკომიდან გაცემული მოწმობა ცხენის შესახებ № 564, ორესტი ჭანტურიას სახელზე, ჩ. გ. 4012

დავკარგე გასაწვევი წიგნაკი ფორმა № 3, გაცემული ზუგდიდის სამხედრო კომისარიატთან არსებულ საალრიცხვო მაგიდის მიერ, ნიკოლოზ ნესტორის-ძე უგულავას სახელზე ჩ. გ. 4011

დავკარგე: 180 და 430 მანეთის თამასუქი, მომგებიანი სესხის ობლიგაცია, საქონლის მოწმობა, პირადობის მოწმობა № 249 და მდგომარეობის მოწმობა № 553. დიმიტრი სიკოს-ძე ბოკელავაძეს სახელზე ჩ. გ. 4010

დავკარგე: პირადი წიგნაკი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულობისა ფორმა № 4, გიორგი კლიმიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4027

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 235, გიორგი ტურაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4029

დავკარგე: სამხედრო საალრიცხვო ბარათი იოსებ გარსევანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4029

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი № 4, მიხა შონიას სახელზე, ჩ. გ. 4029

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი ჯურამ რაჟდენის-ძე გვეტაძის სახელზე, გაცემული თბილისის ცენტრალური მმაჩიდან 1924 წ. ჩ. გ.

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი იაკობ ონისიმეს-ძე ბუხრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4022

დავკარგე: სამხედრო აღრიცხვის მოწმობა ფორმა № 4, გაცემული ტფილისის მ-3 სამილიციო უბნის მიერ ისიდორე თედორეს-ძე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 4020

დავკარგე: პარტიული ბილეთი № 0866368 და პროფკავშირის წიგნაკი № 1070, კონსტანტინე ნინუას სახელზე, ჩ. გ. 1416

დავკარგე: სარეგისტრაციო წიგნაკი, თეოფილე ფილიპეს-ძე გრძელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1415

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი ცუცა ნოეს ასული ფრანგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4013

დავკარგე: სამხედრო საალრიცხვო ბარათი სამსონ გოგეჯიშვილის სახელზე ჩ. გ. 4026

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.